

ISSN 2233-3606

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

მოამბე
XXXVI
MOAMBE

**INTERNATIONAL PRECISED AND REVIEWED
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE**

თბილისი 2019 TBILISI

„მოამბე“ გამომცემის 1995 წლიდან
„MOAMBE“ IS PUBLISHED SINCE 1995

სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNusx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა).
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვანოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს: ჟურნალის ერთი გვერდი 6 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება 5 ლარი. უცხოელი ავტორებისთვის სტატიის სრული გადასახადი 50 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

სტატიების გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

temur.babunashvili@mail.ru; mariizoria@mail.ru;

ტელეფონები: 593 23 99 58; 593 95 92 47

ვებ-გვერდი: www.sbma.ge

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail).
3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and English languages too. The price of article's publication is one page of Journal 6 Gel (lari). And author will pay tjis price after getting positive respond. Also, the price of Journal is 5 GEL (lari). For foreign authors the full tax of the article is 50 USD equivalent in GEL.

E-mail: temur.babunashvili@mail.ru; mariizoria@mail.ru;

Tel: 593 239 958; 593 959 247

www.sbma.ge

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციის გზით 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTIFICATE #1982)

„მოამბე“
საერთაშორისო რეზერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო ჟურნალი, №36, 2019 წელი

თეიმურაზ ბაბუნაშვილი - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ბიზნესის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
ქ. თბილისის საპატრიო მოქალაქე.

სარედაქციო კოლეგია
მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

აბდუშელიშვილი გივი, აბესაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, ბაბუნაშვილი გიორგი (აშშ), ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი, ბერიძე თეიმურაზი, გვალია ნარგიზი, გომოხია რევაზი, გველესიანი მირაზი, გეგუაძე პაპი, ელიაშვილი ლია, თურნაშვილი ნათია, იზორია მარინა, კურტიანიძე დავითი (აშშ), კუჭუხიძე რომანი, კვალაიაშვილი ვაჟა, ლაბარტყავა გულთაზი, ლემონჯავა ვარვანე, ლოგუნიძე გივი, ლეკაშვილი ეკა, მალაშვილი გიორგი, მალაძე სერგო, მეტეხიშვილი ელგუჯა, ნარმანიანი დავითი, ნადარაია ნუგზარი, პაიჭაძე ნუგზარი, როკატელიშვილი მისხილი (აშშ), სარჩიშვილი მამუკა, სილაგაძე ავთანდილი (საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), უგრეხელიძე მინდია, ქარჩავა ლიონი, ქველავაშვილი ომარი, ქუთათელაძე რუსუდანი, ყიფიანი გელა, ყუფუნია გურამი, ყორღანაშვილი ლარისა, შენგელაძე თეიმურაზი, შენგელაძე რევაზი, ჩიხლაძე ნიკო, ჭითანაშვილი ნოდარი, ჭუმბურიძე მამია, ხაღურდიანი ნოდარი, ხალაშვილი იოსები, ჯავახიშვილი რევაზი, მამედოვი ფიზული (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერძანიანი ნაიკი (სომხეთი), ალირზაევი ალი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორზდოვა ტატიანა (ბელორუსია), ალუხანოვი ესპერანტი (ყაზახეთის რესპუბლიკა), ბაღინა ლოპუშინა (უკრაინა), ზალენინი ინგა (ესტონეთი), ვდოვინკო ნატალია (უკრაინა), მიხაილ ვარჩოლა (სლოვაკეთი), ბაღინა კუზმენკო (უკრაინა), ტაღეიშვილი ტროციკოვსკი (პოლონეთი).

შეიქმნა რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს

№36, 2019 წელი

„MOAMBE“
QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED №36, 2019

TEIMURAZ BABUNASVILI- Editor-in-Chief and Head of Editorial Board,
Doktor of Economic Science, President of
Georgian Academy of Business Science,
Honored citizen of Tbilisi

EDEDITORIAL BOARD
Doctors of science, Professors

ABDUSHELISHVILI GIVI, ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, BABUNASHVILI GIORGI (USA), BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, ELIAVALIA, TURNAVA NATIA, IZORIA MARINA, KURTANIDZE DAVITI (USA), KUCHUKHIDZE ROMANI, KUTATELADZE RUSUDANI, KVALIASHVILI VAJA, LABARTKAVA GULTAZI, LEMONJAVA PARMENI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MALASHKHIA GIORGI, MELADZE SERGO, MEQVABISHVILI ELGUJA, NARMANIA DAVITI, NADARAIA NUGZARI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI (USA), SARCHIMELIA MAMUKA, SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI, KESHELASHVILI OMARI, KIFIANI GELA, KUFUNIA GURAMI, KORGANASHVILI LARISA, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGELIA REVAZI, CHIKHLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, KHADURI NODARI, KHELASHVILI IOSEBI, JAVAKHISHVILI REVAZI, MAMEDOVI FIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINA), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUKHANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), GALINA LOPUSHNIAK (UKRAINA), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA), GALINA KUZMENKO (UKRAINA), TADEUSZ TROCIKOWSKI (POLAND)..

შინაარსი

| | |
|---|------------|
| 1. ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მილოცვა | 7 |
| 2. ბიორგი ტაავა | 9 |
| ფულისთეორიებისეკონომიკურიდაინფორმაციურიზონების, „მიმოქცევისთვისსაჭირო ფულადი მასის რაოდენობრივი გაანგარიშების ფორმულაში“ კორექტივის შეტანის ობიექტურობა | |
| 3. ნაირა ბალახვარიძე, ნინო ჭიქელიძე | 25 |
| ადამიანის ჯანმრთელობის ეკონომიკის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები | |
| 4. დალი ბაკაშვილი | 32 |
| ფსიქოლოგიური მახასიათებლებით პერსონალის ქცევის მართვის ზომიერითი ასპექტი | |
| 5. ნინო ზაალიშვილი, ნინო გომართელი | 38 |
| „აგრეგუმის გზა» და კავკასია | |
| 6. IRMA BARATASHVILI, MARIA KLDIASHVILI | 43 |
| ADAPTIVE PROJECT MANAGEMENT FOR MANAGEMENT OF CHANGES IN THE BUSINESS ABSTRACT | |
| 7. თამარ ბუკია-ვერულაშვილი | 51 |
| ექსტრემალური ტურიზმის საწყალმონო სახეები | |
| 8. ირაკლი მიქაძე | 56 |
| ბორჯომის მინერალური წყლის საბადო | |
| 9. გივი კახიშვილი | 63 |
| ზოგადი ცნებები არგონოკალური შედეგების შესახებ | |
| 10. სოფიკო ჯვარციანი, უჩა გომრიჭიანი | 70 |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე | |
| 11. ბიძინა აბესაძე | 76 |
| ბოჭორვანი კომპოზიტიური მასალებების თვისებების აღმწერი განზოგადებული მოდელები | |
| 12. Марина Изория | 83 |
| К ВОПРОСУ СОЗДАНИЯ И РАЗВИТИЯ КОНФЛИКТОВ | |
| 13. ვაჟა დანელია | 91 |
| ეკონომიკა, სასაქონლო ბიზნესი და ინტერტენიემენტი | |
| 14. ნაირა ბალახვარიძე, სოფია გოლეთიანი | 96 |
| საბჭოთა საბინაო სისტემა და მისი გავლენა საქართველოზე | |
| | |
| ილიაოზა ყვარელი - ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის სტუმრობა ყვარელი ილია ჭავჭავაძის იუბილეზე | 102 |
| ნეკროლოგი- აკადემიის წევრების გარდაცვალებასთან დაკავშირებით | 106 |

CONTENTS

| | |
|---|---------------|
| 1. ADDRESS BY THE PRESIDENT OF THE ACADEMY OF BUSINESS SCIENCES | 7 |
| 2. GEORGE TSAAVA | 9 |
| The Evolution of Money Theories and the Obligation to Make adjustments “to the quantitative calculation formula necessary money supply in appeals ”by Irving Fisher | |
| 3. NAIRA GALAKHVARIDZE, NINO CHEGELIDZE | 25 |
| Current Issues in Human Health Ecology Management | |
| 4. DALI BAKASHVILI | 32 |
| General Aspects of the Role of Psychology in Human Resources Management | |
| 5. NINO ZAALISHVILI, NINO GOMARTELI | 38 |
| „The Silk Road» and the Caucasus | |
| 6. IRMA BARATASHVILI, MARIA KLDIASHVILI | 43 |
| Adaptive Project Management for Management of changes in the Business Abstract | |
| 7. TAMAR BUKIA-VERULASHVILI | 51 |
| Extreme types of water tourism | |
| 8. IRAKLI MIKADZE | 56 |
| Borjomi mineral water field | |
| 9. GIVI KAXISHVILI | 63 |
| General Notes on of argon-arc welding | |
| 10. SOFIKO DZHVARSHVILI, UCHA GOGRICHLANI | 70 |
| The Impact of foreign direct investment on economic development of Kvemo Kartli region of Georgia | |
| 11. BIDZINA ABESADZE | 76 |
| describing properties of fiber composite materials generalized models | |
| 12. MARINA IZORIA | 83 |
| TO THE QUESTION OF CREATION AND DEVELOPMENT OF CONFLICTS | |
| 13. VAZHA DANELIA | 91 |
| Economics, Sports Business and Entertainment | |
| 14. NAIRA GALAKHVARIDZE, SOFIA GOLETIANI | 96 |
| The Soviet housing system and its impact on Georgia | |
| NEW BOOK - M. IZORIA, G. MARKHULIA “TERRITORIAL DISPUTE IN RELATIONS BETWEEN UKRAINE AND ROMANIA”..... | 59 |
| CONGRATULATIONS - the anniversary dates of the Academy members | 60 |

ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მილოცვა

მაქვს პატივი მოგესალმოდით საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და აკადემიის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის სახელით და მოგილოცოთ დამდეგი 2020 წელი.

2019 წელი ჩვენი აკადემიისა და ჟურნალისათვის ნაყოფიერი და შინაარსიანი წელი იყო. აკადემიისა და რედაქციის რიგებს შეემატნენ როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი მეცნიერები, რომლებიც თავიდანვე ჩაებნენ ერთობლივ საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ საგრძნობლად დაიხვეწა და საინტერესო გახდა სამეცნიერო სტატიების შინაარსი, პრობლემატიკა და სიახლეების შემოთავაზება. ჩვენ დღენიადაგ ვცდილობთ უფრო მეტად გავაუმჯობესოთ და გავაფართოვოთ ჩვენი ამ ორი ორგანოს სამუშაო არეალი, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე, საერთაშორისო მასშტაბით. ამ მიმართულებით 2019 წელს აკადემიის მხრიდან ხელი მოეწერა უკრაინის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან მემორანდუმს. ასევე, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობა აზერბაიჯანის ტექნოლოგიურ და ბაქოს ეკონომიკურ უნივერსიტეტებთან. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ვენისა და ტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან შემდგომ თანამშრომლობაზე. ასევე, აკადემია აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ დონეზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტებთან. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ორი ფაკულტეტის პროფესორები ჩვენი აკადემიის და რედაქციის წევრები ბრძანდებიან. არის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „მოამბე“ ჩართული იქნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო დისერტაციებისადმი წაყენებულ მოთხოვნათა შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში, რომელიც ჩვენს თანამშრომლობას უფრო მაღალ დონეზე წარმოაჩენს.

ძვრიფასო მეგობრებო, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აკადემია ხშირად არის მინვეული და აქტიურად მონაწილეობს სამთავრობო ღონისძიებებში. ეკონომიკის მინისტრთან ქ-ნ ნათია თურნავასთან ეკონომისტებთან შეხვედრაზე, ასევე, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილესთან ბ-ნ გიორგი ხანიშვილთან, თბილისის საკრებულოს საკონსულტაციო საბჭოსთან. ეკონომიკისა და ბიზნესის საერთაშორისო ორგანიზაციასთან. აკადემიის წევრები ხშირად მონაწილეობენ როგორც რესპუბლიკურ, ასევე, საერთაშორისო კონფერენციებში და გამოდიან მოხსენებებით.

უღრმესი მადლობა მინდა მოგახსენოთ თითოეულ თქვენთაგანს, რომლებმაც, როგორც აკადემიის, ასევე, სარედაქციო კოლეგიის მუშაობაში მიიღეთ აქტიური მონაწილეობა, მადლობა ყველა ავტორს და უცხოელ კოლეგებს, რომლებმაც აირჩიეს ჩვენი ჟურნალი და გამოხატეს ყურადღება და კოლეგიალობა. განსაკუთრებით დიდი მადლობა, ჩვენს უცხოელ წევრებს, რომლებიც არჩეულ იქნენ, როგორც

აკადემიის შემადგენლობაში, ასევე რედკოლეგიაში. ისინი მოხსენებებით წარსდგნენ აკადემიის სხდომებზე, როდესაც აკადემიას სტუმრობდნენ. ესენი იყვნენ: ქ-ნი გალინა კუზმენკო — ეკონომიკის დოქტორი, კიევის ტექნიკურ-ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორი; ბატონი ფიზული მამედოვი – აზერბაიჯანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

აკადემიისა და რედკოლეგიის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ღირსეული წევრები, რომლებიც სამწუხაროდ 2019 წელს გარდაიცვალნენ და მინდა სამარადისო ხსოვნა და არდავინწყება გამოვხატო ჩვენი წასული კოლეგების მიმართ.

ძვირფასო მეგობრებო, ცხოვრება გრძელდება. ჩვენ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმეები გვაქვს საკეთებელი. მითუმეტეს, როცა ჩვენს აკადემიას და ჟურნალ „მოამბეს“ 2020 წელს დაარსებიდან 25 წელი უსრულდება და მე დარწმუნებულ ვარ, რომ ამ თარიღს ჩვენ ერთად ღირსეულად აღვნიშნავთ. ეს იქნება წლების განმავლობაში მოპოვებული ავტორიტეტისა და პატივისცემის ნათელი დასტური, რომელიც აკადემიამ საქართველოს სამეცნიერო წრეებში და საზოგადოებაში მოიპოვა.

გილოცავთ ძვირფასო მეგობრებო ახალ 2020 წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას თქვენს ოჯახებთან ერთად, შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**პატივისცემითა და კეთილი სურვილებით,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი და ჟურნალ „მოამბის“ მთავარი
რედაქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე
თეიმურაზ ბაბუნაშვილი**

ფულის თეორიების ევოლუცია და ირვინგ ფიშერის „მიმო- ქცევისთვის საჭირო ფულადი მასის რაოდენობრივი გაან- გარიშების ფორმულაში“ კორექტივის შეტანის ოპიატიზაცია

**გიორგი ცაავა-
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი**

ეკონომიკის განვითარებაში ფულისა და ფულადი სისტემის როლის თაობაზე ფულის აღიარებული სხვადასხვა თეორია არსებობს. ფულის თეორიის ევოლუცია განვითარების ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებით განისაზღვრება და ყველა თეორია ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებაზეა მიმართული. ესა თუ ის თეორია დასტურს ღებულობს და გარკვეული პერიოდი ბატონობს კიდევაც. თუმცა თანამედროვე პირობებში ზოგიერთი მათგანი, პირიქით, რეალურად ვერ იმკვიდრებს ადგილს, რამდენადაც პრაქტიკა მათ ან არ ადასტურებს, ან გარკვეულ კორექტირებას მოითხოვს, ზოგიერთი კი, უბრალოდ, შეიძლება უარყოფილიც იქნეს.

ფული - რეალურად, ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ელემენტია, ეკონომიკის მუშაობის ხელშემწყობია და იგი წარმოების პროცესის ყველა სტადიაზე შემოსავლებისა და ხარჯების წრებრუნვის სასიცოცხლო ძალაა [1, გვ. 6-8]. ფულის ძირითადი ფუნქციებია: ღირებულების საზომი, მიმოქცევა საშუალება, გადახდის საშუალება, დაგროვებისა და დაზოგვის საშუალება, მსოფლიო ფილი [1, გვ. 10-21; 10, გვ. 126-143]. თანამედროვე პირობებში ფული ასევე სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებსაც ასრულებს (უფრო დეტალურად იხ. 2, გვ. 239-243).

მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციურ გაფართოებაზე და იმაზეც, რომ ეროვნული ცენტრალური (სახელმწიფო) ბანკის საემისიო საქმიანობისაგან (ახალი ნაღდი ფულის ემისია) დამოუკიდებლად, ფულადი მასის სიდიდე საკრედიტო სისტემაში კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაფართოების ხარჯზეც იზრდება. კომერციული ბანკები ახალ უნაღდო ფულად მასას ქმნიან, როდესაც გასცემენ სესხებს და, პირიქით, ფულადი მასა მცირდება, როდესაც კლიენტები აღებულ დავალიანებს ბანკებს უბრუნებენ.

აღინიშნულია, რომ თანამედროვე საბანკო სისტემაში ე.წ. „ფულადი ტუმბოს“ მსგავსი მომსახურება მიმდინარეობს, სადაც თავისუფალი სახსრების მნიშვნელოვანი მოცულობის (საბანკო რესურსების 80 – 90 %-მდე) მოზიდვა და მათი ეკონომიკაში, დაკრედიტების მეშვეობით მსესხებლისაკენ მიმართვა ხორციელდება. საბანკო სისტემაში მულტიპლიციების საფუძველზე, თავისთავად, არსებული საკრედიტო რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის, მრავალჯერადად გაზრდილი ახალი უნაღდი ფულადი მასის შექმნა არის შესაძლებელი, რომლის გაუთვალისწინებლობა შეიძლება ქვეყანაში ინფლაციური პროცესების გართულების

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც კი იყოს. განხილულია საბანკო სისტემაში ფულადი რესურსის მულტიპლიცირებითა ხალიუნად დომინანტული ფულადი მასის შექმნის შესაძლებლობა და აღნიშნულის გათვალისწინებით, ირვინგ ფიშერის „მიმოქცევაში ფულადი მასის გაანგარიშების ფორმულაში“ კორექტივის აუცილებლობის შესახებ ავტორისეული ვარიანტია შეთავაზებული.

ფულის თეორიის ზოგადი მიმოხილვა: თავდაპირველად ეკონომიკაში ფულისა და მათი როლის არსის გაგება უშუალოდ ლითონური ფულის მიმოქცევის პირობებში ყალიბდებოდა, რაც **ფულის ლითონური თეორიის ფორმირებით** გამოიხატა. აღნიშნული თეორიის ერთ-ერთ პირველ წარმომადგენლად XIV საუკუნის ფრანგ მეცნიერ **ნიკოლო ორეზმეს** თვლიან. აღნიშნულმა თეორიამ შემდგომი განვითარება XVI-XVII საუკუნეებში მიღო და საბოლოოდ **მერკანტელისტების ეკონომიკური სწავლების** ჩარჩოებში ჩამოყალიბდა.

მერკანტელისტების პირველი კრიტიკოსები გახდნენ პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის წარმომადგენლები, რომლებიც მხარს **ფულის სასაქონლო-ლითონურ თეორიას (მეტალიზმს)** უჭედნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ფულს უკვე სიმდიდრესთან კი არ აიგივებდნენ, არამედ პირიქით, მათ, თავისი არსის მიხედვით, გაცვლის ტექნიკურ იარაღად მიიჩნევდნენ და ფულის ძირითადი ფუნქციის სახით - მიმოქცევის საშუალებას თვლიდნენ. ჯ. კეინიზი ფულის სახით განიხილავდა არა მარტო ლითონის ფულს, არამედ საკრედიტო ბუნების მქონე და მეურნეობაში ფართე გავრცელება მოპოვებულ, ემისიური ბანკის ბანკნოტებსაც ითვალისწინებდა.

ფულის რაოდენობრივი თეორია ეკონომიკური დოქტრინა, რომელიც მიმოქცევაში ფულად რაოდენობას, სასაქონლო ფასების დონესა და თვით ფულის ღირებულებას შორის დამოკიდებულებას განსაზღვრავს. მისია ის, რომ მიმოქცევაში ფულის რაოდენობა სასაქონლო ფასებისა და ფულის ღირებულების დონის პროპორციულად ცვლილების პირველ მიზეზს წარმოადგენს. აღნიშნული დებულება თავიდან ლითონური ფულისადმი, ხოლო შემდეგ კი - ქაღალდის ფულისამდისაც გამოიყენებოდა.

ფასების დონეს და თვით ფულის ღირებულებაზე ფულადი მასის ზემოქმედების პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალურობა ფულად-საკრედიტო მიმოქცევის განვითარებისას შეიძინა. თუ ლითონური ფულის მიმოქცევისას პირდაპირი ზემოქმედების მექანიზმი მოქმედებდა, ანგარიშსწორებების საკრედიტო ინსტრუმენტების (თამასუქების, ბანკნოტების, ჩეკების) გავრცელების პირობებში კი ფულადი მასის ფასებზე ზემოქმედება სააღრიცხვო განაკვეთის დონით ხორციელდება. ფულადი მასის ირიბი ზემოქმედების მექანიზმი პირველად ინგლისელმა ეკონომისტმა გ. ტორნტონმა (1760-1815) აღწერა. აღნიშნული პრობლემის ირგვლივ ინგლისში ეკონომიკური აზროვნების ორ სკოლას: „ფულად“ და „საბანკოს“ შორის მწვავე კამათი გაიშალა. „ფულადი სკოლის“ მომხრეები (ლორდი ოვერსტონი, რ. ტორენსი) მეტისმეტ საკრედიტო ექსპანსიას უფრთხოდნენ და საკრედიტო ინსტრუმენტების ემისიაზე კონტროლის განხორციელებას თავაზობდნენ. „საბანკო სკოლის“ მომხრეები

(ტ. ტუკი, ჯ. ფულარტონი) თვლიდნენ, რომ ბანკნოტები მეურნეობის დაკრედიტების კვალობაზე, ეკონომიკური ბრუნვის მოთხოვნების შესაბამისად გამოიშვება და ემისიურ ბანკში რეგულარულად უბრუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი რაოდენობა რეგულირდება ავტომატურად.

ირვინგ ფიშერის როლი ფულის რაოდენობრივი თეორიის განვითარებაში: ფულის რაოდენობრივი თეორიის შესაბამისად, მიმოქცევაში ფულის მოცულობის გაანგარიშების მრავალი და საინტერესო მათემატიკური ფორმულაა ცნობილი {1, გვ. 28-29; 3, გვ. 98-101; 5, გვ.68., 214}. 20-იანი წლების დასაწყისისათვის **ფულის რაოდენობრივი თეორია გაბატონდა და პოლიტიკური ეკონომიის ნეოკლასიკური მიმართულების უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად იქცა.** ყველაზე დიდი პოპულარობა მოიპოვა მისმა ორმა ვარიანტმა - ტრანსაქციულმა და კემბრიჯულმა.

ტრანსაქციული ვარიანტი, ფულის თანამედროვე რაოდენობრივი თეორიის საფუძვლის სახით, ჩადებული იქნა ამერიკელი ეკონომისტისა და მათემატიკოსის ირვინგ ფიშერის (1867-1947) მიერ, რომელმაც 1911 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ფულის მსყიდველობითი ძალა“. ი. ფიშერი შრომის ღირებულებას უარყოფდა და „ფულის მსყიდველობითი ძალიდან“ გამოდიოდა. იგი გამოყოფდა ფაქტორებს, რომლებზედაც „ფულის მსყიდველობითი ძალა“ იყო დამოკიდებული: მიმოქცევაში ნაღდი ფულის რაოდენობა, ფულის მიმოქცევის სიჩქარე, ფასების საშუალოშეწონილი დონე, საქონელის რაოდენობა. მისი ვარიანტი დაფუძნებულია გარკვეულ პერიოდში საქონელგაცვლითი გარიგებების თანხის ორგვარად გამოხატვაზე, ხოლო აღნიშნულ დამოკიდებულებას ასახავს „გაცვლის განტოლება“:

$$M \times V = P \times Q,$$

სადაც: M - ფულის რაოდენობა,

V - ფულის მიმოქცევის საშუალო სიჩქარე,

P - საქონელის საშუალო ფასი,

Q - რეალიზებული საქონელის რაოდენობა.

ამასთან ი. ფიშერს შეაქვს ზოგიერთი პირობითი დაშვებები: იგი განხილვიდან გამორიცხავს საბანკო დეპოზიტებს და საჩეკო ბრუნვებს, ასევე ფულის მიმოქცევის სიჩქარესა და რეალიზებული საქონელის მოცულობს უცვლელ სიდიდეებად მიიჩნევს თავაზობს.

მოგვიანებით აღნიშნული განტოლების სხვა ფორმაში გამოსახვა დაიწყო, სადაც საერთო საქონელბრუნვის (Q) მაჩვენებელი (საშუალო ფასებში) შეცვლილი იქნა ეროვნული შემოსავლის (Y) მაჩვენებლით (ფასების ინდექსის გათვალისწინებით):

$$M \times V = P \times Y.$$

ი. ფიშერისაგან განსხვავებით, კემბრიჯის სკოლის ეკონომისტები ინგლისელი ეკონომისტის ა. მარშალის (1842-1924) და მისი თანმიმდევრების (ა. პიგუს, დ. რობერტსონის, რ.დ. ხოუნტონის) სახით თავიანთ ყურადღებას არა ფულის მიმოქცევაზე, არამედ მეურნე სუბიექტებთან მათ დაგროვებაზე, „რეალური სალაროს ნაშთების“ ანალიზზე ამახვილებდნენ. ამასთან ისინი იყენებდნენ არა მაკროეკონომიკური,

არამედ მიკროეკონომიკური ანალიზის მეთოდებს, რომელიც მეურნე სუბიექტების ქცევის მოტივების შესწავლაზე და სალაროს ნაშთებზე, მათი მოთხოვნის ფორმირებად ფაქტორებზეა მიმართული.

კემბრიჯის სკოლის ეკონომისტებმა ი. ფიშერის ფორმულა გარდაქმნეს, მასში შეიტანეს კოეფიციენტი k , რომელიც წლიური შემოსავლის (Y) წილს გამოხატავს და რომლის შენახვას მეურნე სუბიექტები მეტწილად ნაღდ ფულად ფორმაში ახორციელებენ [9, გვ. 215]:

$$M = k \times P \times Y.$$

ი. ფიშერის ტრანსაქციული ვერსიის სანაცვლოდ, რომელიც საქონელგაცვლით გარიგებებში ფულის მოძრაობის სიჩქარეზე იყო დაფუძნებული, შემოსავლებში ფულის მიმოქცევის სიჩქარის ახალი კონცეფცია იქნა შეთავაზებული, რომელიც სალაროს ნაღდი ფულის გახარჯვად შემოსავლებში გარდაქმნის პროცესს ასახავს. კოეფიციენტი k როგორც სიდიდე, ფულის მიმოქცევის სიჩქარის საპირიპიროა ($k = 1 / V$), და იგი ხარჯებსა და სალაროს ნაღდ ფულს შორის თანაფარდობას გამოხატავს, სადაც V - არის ფულის მიმოქცევის სიჩქარე შემოსავალთან მიმართებაში. აღნიშნული მიდგომა ნიშნავს, რომ ფასების ცვლილება უკუ პროპორციულია სიჩქარის, რომლითაც სალაროს ნაღდი ფულის, განხორციელებული ხარჯების შედეგად მისი შემცირების შემდეგ, აღდგენა ხორციელდება. ამრიგად, კემბრიჯის სკოლის ეკონომისტებმა ფულის რაოდენობრივი თეორიის ორი ვერსია შეიმუშავეს: პირველი სალაროს ნაშთების კატეგორიაზე, მეორე კი - შემოსავლის კატეგორიაზეა დაფუძნებული.

კემბრიჯული ვარიანტი ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებლურ პრინციპებს კი არ არღვევს, არამედ მხოლოდ აქცენტი გადმოაქვს ეკონომიკური პროცესების ტექნოლოგიური მხარიდან (ტრანსაქციიდან) სუბიექტურ-ფსიქოლოგიურზე - ფულის დაგროვების მოტივებზე, რაც ფულის ფლობის მოხერხებულობას უსვამს ხაზს, უპირველეს ყოვლისა, როგორც „გამზადებულ მსყიდველობით ძალას“, მეორეს მხრივ კი როგორც სადაზღვევო რეზერვს გაუთვალისწინებელი ხარჯების შემთხვევაში. ყველა ვერსიაში რაოდენობრივი თეორიის მთავარი პოსტულატი „ფასების დონის მიმოქცევაში ფულის რაოდენობის საგან დამოკიდებულების შესახებ“ შენარჩუნებულია. კემბრიჯელი ეკონომისტების იდეები განავითარა ჯ.მ. კეინზმა, გაითვალისწინა რა ისინი ლიკვიდობის უპირატესობის საკუთარი თეორიის საფუძველში, რომელშიც სალაროს ნაღდი ფულის სახით (მოთხოვნა ფულზე) ფულის შენახვის სამი მოტივი არის გამოყოფილი [7, გვ. 351; 8, გვ. 452]: ტრანსაქციული მოტივი ფულზე მოთხოვნილება მომდინარე გარიგებებისათვის; სიფრთხილის მოტივი ფულზე მოთხოვნილება გაუთვალისწინებელ შემთხვევაში; სპეკულაციური მოტივი სიმდიდრის ყველაზე უფრო ლიკვიდურ ფორმაში შენახვისაკენ მისწრაფება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჯ.მ. კეინზი ამტკიცებდა, რომ საერთო მოთხოვნა ფულზე მიმდინარე გარიგებებისათვის და გაუთვალისწინებელ ხარჯებზე ($L1$) განისაზღვრება შემოსავლების დონით (Y), ხოლო ფულზე მოთხოვნა სპეკულაციური

მიზნებისათვის (L2) პროცენტის განაკვეთის (R) უკუ პროპორციულია. ამრიგად, კეინზის თეორიის შესაბამისად ფულზე (M) მოთხოვნის ფუნქციას შემდეგი სახე აქვს:

$$M = L1 \times (Y) + L2R.$$

შემდგომში კეინზი არა მარტო ფულის რაოდენობრივი თეორიის კრიტიკით და მისი ძირითადი პოსტულატების სრულად უარყოფით გამოდიოდა, არამედ პრინციპულად ახალი მიდგომაც შეიმუშავა, რომელიც წარმოების ფულადი თეორიის შექმნით გამოიხატა. მისი ყურადღების ცენტრში იმყოფება უკვე არა შეზღუდული რესურსების განთავსების პრობლემა და მასთან დაკავშირებული ფასები, არამედ წარმოების ნოცულობისა და დასაქმების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ საკითხი. ანალიზის ათვლის წერტილად გამოდიოდა „ერთობლივი მოთხოვნა“, რომლის სტიმულირება სახელმწიფოს ჩარევის გზით საბიუჯეტო (ფისკალური) და ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტის მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს. ამასთან უპირატესობა ფისკალურ პოლიტიკაზეა მიკუთვნებული როგორც უშუალოდ ერთობლივი მოთხოვნის სიდიდეზე ზემოქმედი ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალება. მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა სახელმწიფო ხარჯების გადიდებას და გადასახადების შემცირებას ითვალისწინებს, ამასთან, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოშობილი საბიუჯეტო დეფიციტის გადასაფარავად ფულად-საკრედიტო ემისიის გამოყენება დასაშვებია.

XX საუკუნის 50-იანი წლების შუა პერიოდიდან ფულის რაოდენობრივი თეორიისადმი ინტერესის აღორძინება შეიმჩნევა მონეტარიზმის სახელწოდებით დამკვიდრებული ეკონომიკური აზროვნების ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლების, 1976წლის ნობელის პრემიის ლაურიატის მ. ფრიდმანისა და მისი თანმიმდევრების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების საფუძველზე. თანამედროვე მონეტარიზმი კეინსიანური მიდგომის ალტერნატივაა და იგი თავისთავად **კლასიკური მონეტარული თეორიის** გართულებულ ვარიანტს წარმოადგენს. მონეტარიზმის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ფულზე მოთხოვნა არ წარმოადგენს მხოლოდ პროცენტისა და შემოსავლის ფუნქციას, არამედ მასზე ასევე რეალური და ფინანსური ყველა სახეობის აქტივებისაგან მოგების ნორმაც ზემოქმედებს. კეინზიანური თეორიისაგან განსხვავებით ფული განიხილება როგორც სუბსტიტუტი არა მარტო ფინანსური, არამედ ყველა სხვა დანარჩენი აქტივებისაგან.

მონეტარისტები ფულში და ფულად პოლიტიკაში ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ხედავენ და ბიუჯეტურთან შედარებასთან მიმართებაში, უპირატესობას ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ანიჭებენ. მათი მთავარი წესი (ფულადი მასის წესი) მდგომარეობს იმაში, რომ ფულადი მასა მუდმივი სიჩქარით, მიახლოებით, წარმოების მოცულობის გადიდების ტოლი სიჩქარით უნდა იზრდებოდეს. ისინი თვლიან, რომ წარმოების სტიმულირებისათვის საჭიროა ნორმალურ პირობებში მიმოქცევაში ფულის გადიდების მუდმივი დაბალი ტემპისაკენ 3 – 5 %-ის დონეზე მისწრაფების დამკვიდრება. მათი მოსაზრებით, უფრო მნიშვნელოვანია მიმოქცევაში ფულის რაოდენობის კონტროლი, ვიდრე პროცენტის

ნორმისა და კრედიტის მოცულობისა [5. გვ. 221].

კ. მარქსი მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობას განსაზღვრავდა არა მარტო ფულის როგორც მიმოქცევის საშუალების ფუნქციისათვის, არამედ ფულის როგორც გადახდის საშუალების ფუნქციისათვისაც:

$$R_{\text{ფიზ.}} = (\text{ფ} + \text{გდ} - \text{კრ} - \text{გდუზ.}) / \text{ზს},$$

სადაც: $R_{\text{ფიზ.}}$ - არის ფულის რაოდენობა, საჭირო მიმოქცევისათვის;

ფ - არის ფასების თანხა გაყიდული საქონელისა და მომსახურებისათვის;

გდ - არის ვადადამდგარი გადახდები;

კრ - არის გაცემული კრედიტები;

გდუზ. - არის ურთიერთგადაფარვადი გადახდები;

ზს - არის ფულის ბრუნვის სიჩქარე.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში მიმოქცევისათვის საჭირო ფულადი თანხის მოცულობის განსაზღვრისათვის რამდენიმე ფორმულა გამოიყენება, რომელთა შორის ერთ-ერთი შემდეგია:

$$F_{\text{ფიზ.}} = (\text{სფ.} + \text{გდვდ.} - \text{გდუზ.} - \text{ვგდ.} - \text{რუზ.} - \text{გდვგდ.} + \text{თმგდ.}) / \text{ზს},$$

სადაც: $F_{\text{ფიზ.}}$ - არის ფულის თანხა, საჭირო მიმოქცევისათვის;

სფ. - არის ფასების თანხა რეალიზებადი საქონელის;

გდვდ. - არის გადახდების თანხა, რომელთა მიხედვით ვადაა დამდგარი;

გდუზ. - არის ურთიერთგადაფარვადი გადახდების თანხა;

ვგდ. - არის გადაცემული ვალების თანხა;

რუზ. - არის საქონელის ფასების თანხა, რეალიზებული უცხოურ ვალუტაზე;

გდვგდ. - არის ვადაგახანგრძლივებული გადახდების თანხა;

თმგდ. - არის თამასუქების თანხა, გადაადრიცხული ცენტრალური ბანკის

მიერ;

ზს - არის ფულის ბრუნვის სიჩქარე.

მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის განსაზღვრის კანონი თავდან განიმარტებოდა როგორც სასაქონლო მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის განმსაზღვრელი კანონი. მაგრამ რამდენადაც მიმოქცევის პროცესში საქონელი გარკვეული ფასების მიხედვით რეალიზდება, მოცემული კანონის მიხედვით ფულის რაოდენობა, უპირველეს ყოვლისა, საქონელის ფასების თანხით განისაზღვრება, მეორე მხრივ, აღნიშნულ რაოდენობაზე არა მარტო ფასობრივი ფაქტორები, არამედ ფულადი ნიშნების ბრუნვის სიჩქარეც მოქმედებს. აქედან გამომდინარე ფულის როგორც მიმოქცევის საშუალების ფუნქციისათვის ასევე სხვა კანონზომიერებაც ჩანს, რომლის მიხედვით: რამდენად უფრო სწრაფად მიმოიქცევა ფული, იმდენად მისი ნაკლები რაოდენობაა საჭირო მისი მიმოქცევისათვის. გამარტივებული სახით აღნიშნული კანონი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სახით:

$$R_{\text{ფიზ.}} = (\text{ფ} \times \text{მც}) / \text{ზს}.$$

სადაც: $R_{\text{ფიზ.}}$ - არის ფულის რაოდენობა, საჭირო მიმოქცევისათვის;

ფ - არის საქონელის, მომსახურების ყველა ფასების თანხა;

მც - არის საქონელის მოცულობა;

ზს - არის თანამოსახელე (ერთი დასახელების) ფულადი ერთეულის ბრუნვის სიჩქარე.

ფულადი მასის განსაზღვრისათვის შემდეგი სახის მოკლე ფორმულებიც გამოიყენება:

$$M \times V = Py,$$

სადაც: Py - არის ნომინალური ეროვნული პროდუქტის (ნეპ) მაჩვენებელი, რომელიც ნომინალური მშპ-ს მაჩვენებელთან ახლოსაა.

ინფლაციაზე კორექტირების გათვალისწინებით მოცემული ფორმულა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

$$M = (Y \times P) / V,$$

სადაც: Y - არის რეალური მშპ;

P - არის ინფლაციის ზრდის ტემპი.

ავტორისეული კორექტივის აუცილებლობა ირვინგ ფიშერის ფორმულაში: თანამედროვე პირობებში, როდესაც ახალი ფულადი მასის შექმნა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, შეუძლია - როგორც ცენტრალურ ბანკს (ემისიის მეშვეობით), ასევე საბანკო სისტემასაც (საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციური გაფართოებით), ი. ფიშერის ცნობილი “გაცვლის განტოლება” გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს.

გამომდინარე იქედან, რომ, ფორმულაში ($Q \times P$) - არის ყველა საქონლისა და მომსახურების ფასების ჯამი, ამდენად, ერთი მხრივ, საჭირო ფულის რაოდენობა წარმოებული პროდუქტების მოცულობაზე და საქონელის ფასების სიდიდეზეა დამოკიდებული. მთლიანი ეროვნული პროდუქტისა (მეპ) და ფასების ზრდასთან ერთად, ფულადინიშნების რაოდენობაც უნდა გაიზარდოს. მეორე მხრივ, ფირმულიდან ასევე ჩანს, რომ ფულადი ნიშნების რაოდენობის გადიდება, მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) უცვლელობის პირობებში, ფასების ზრდას გამოიწვევს. ამდენად მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული ორივე თავისებურება ფულადი მიმოქცევის რეგულირებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული და გამოყენებული.

ფული მიმოქცევაში საჭირო რაოდენობაზე მეტი არ უნდა იყოს, მაგრამ იგი საჭირო რაოდენობაზე ნაკლებიც არ უნდა მიმოიქცეოდეს, რამდენადაც ფულის სიჭარბეს ინფლაციური პროცესების ზრდისაკენ, ხოლო ფულის ნაკლებობას კი - არგადახდებისაკენ, პროდუქტის ჭარბი მარაგისაკენ, წარმოების შეჩერებისაკენ მივყავართ. მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის სიდიდე - ფასების დონეზე, ეკონომიკურ ზრდაზე და დასაქმებაზე არსებით ზემოქმედებას ახდენს. ამიტომ, მიმოქცევაში ფულადი მასა, საერთო ეკონომიკური განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე, საჭიროა რეგულარულად გაკონტროლდეს და დარეგულირდეს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, რომ სინამდვილეში, თუ ოდესღაც ფულადი მიმოქცევა საქონელის ნაკადს ემსახურებოდა, დღეს კი - თვით ფული თავისთავად გახდა საქონელი. უფრო მეტიც, ადრე ფული ოქრისთან იყო მიბმული, მაშინ როდესაც ამჟამად მათი როლი უშუალოდ მრავალჯერად გაიზარდა. აქრდან გამომდინარე, ეკონომიკაში ფულადი რეგულირების როლიც უფრო მნიშვნელოვანი გახდა. აღნიშნულმა გარემოებებმა ეკონომისტები აიძულეს ყურადღება ფულისა და ფულადი მიმოქცევის პრობლემაზე, აგრეთვე ეკონომიკის მიერ ფულადი მიმოქცევის

რეგულირების შესაძლებლობებზე გაემახვილებიათ.

ასევე მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს **საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციურ გაფართოებაზე** და იმაზეც, რომ ცენტრალური (სახელმწიფო) ბანკის საემისიო საქმიანობისაგან (ახალი ნაღდი ფულის ემისია) დამოუკიდებლად, ფულადი მასის სიდიდე საკრედიტო სისტემაში კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაფართოების ხარჯზეც იზრდება. კომერციული ბანკები ახალ უნაღდო ფულად მასას ქმნიან, როდესაც გასცემენ სესხებს და, პირიქით, ფულადი მასა მცირდება, როდესაც კლიენტები აღებულ დავალიანებს ბანკებს უბრუნებენ {4, გვ. 176-179; 3, გვ. 368-370}.

კომერციული ბანკების მიერ ახალი ფულის შექმნის პროცესი უფრო დეტალურად შეიძლება შემდეგ მაგალითზე იქნას განხილული. დავუშვათ, კომერციულ ბანკი „თი-ბი-სი“-ს 100 ათ. ლარის მოცულობის საკრედიტო რესურსი (დეპოზიტები) გაუჩნდა. იგი ვალდებულია დადგენილ ვადებში აღნიშნული რესურსების ნაწილი, სავალდებულო რეზერვების ნორმატივის საფუძველზე, ცენტრალურ ბანკში დაარეზერვოს (გაყინოს) {4, გვ. 279}. მოქმედი სავალდებულო რეზერვების ნორმატივი ლარის დეპოზიტებთან მიმართებაში 10 %-ის ტოლია და აქედან გამომდინარე აღნიშნულ ბანკს კლიენტებზე სესხის გაცემა მხოლოდ 90 ათ. ლარის ოდენობით შეუძლია, ხოლო 10 ათ. ლარი (100 ათ. ლარის 10 %) ცენტრალურ ბანკის რეზერვებში უნდა გადარიცხოს. ბანკის აღნიშნული ქმედების შედეგი გახდა 90 ათ. ლარის ოდენობის ახალი ფულის წარმოშობა.

დავუშვათ, რომ „თი-ბი-სი“ ბანკის კლიენტმა აღებული სესხის 90 ათ. ლარის ოდენობის თანხა „რესპუბლიკა“ ბანკში დეპოზიტზე განათავა. ამ ბანკში დეპოზიტის გადიდება მას ახალი სესხის გაცემის შესაძლებლობას აძლევს. ამასთან მანაც დეპოზიტების თანხის 10 % რეზერვში (9 ათ. ლარი) უნდა მიმართოს. ამდენად ამ ბანკის მიერ გაცემული სესხის მოცულობა უკვე 81 ათ. ლარის ტოლი იქნება, ხოლო ფულადი მასის საერთო ნაზარდი (ორი ბანკის ოპერაციების გათვალისწინებით) $(90+81) = 171$ ათ. ლარის ტოლი იქნება და ა. შ. განხილვის ლოგიკას შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: **ბანკების მიერ ახალი ფულის შექმნის პროცესი გაგრძელდება, მაგრამ არა უსასრულოდ, არამედ გარკვეულ ზღვრამდე.** აღნიშნული პროცესი საბანკო დეპოზიტების გაფართოების მულტიპლიკაციური ეფექტის მახასიათებელია და იგი შეიძლება სარეზერვო მოთხოვნების გათვალისწინებით იქნას გაანგარიშებული.

საბანკო დეპოზიტების გაფართოების ზღვარი იქნება:

$$100 \text{ ათ. ლარი} + 90 + 81 + 72,9 + \dots = 100 \text{ ათ. } (1 + 0,9 + 0,9 \text{ კვადრატში} + 0,9 \text{ კუბში} + \dots) =$$
$$= 100 \text{ ათ. ლარი} / (1 - 0,9) = 1 \text{ მლნ. ლარს.}$$

ამრიგად, **10 %-იანი სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნისას 100 ათ. ლარის საწყისი დეპოზიტი საბანკო დეპოზიტების 1 მლნ. ლარამდე გაფართოების მულტიპლიკაციურ ეფექტად გადაიქცა.**

ბანკების მიერ ახალი ფულის შექმნის გზით ფულადი მასის გაფართოების სიდიდის კონკრეტულად შეფასების შესაძლებლობას ფულის მიწოდების

მულტიპლიკატორი, ანუ ბანკის მულტიპლიკატორი (ბმ - BM) იძლევა. იგი გაიანგარიშება ფორმულით {4, გვ. 181-184}:

- საბანკო საკრედიტო მულტიპლიკატორის (BM) მაქსიმალური მნიშვნელობა
BM = (1 / ORA) x 100,

სადაც: ORA - არის სავალდებულო რეზერვების ნორმატივი, პროცენტებში.

ჩვენს მაგალითში საბანკო მულტიპლიკატორი $BM = 1 / 10\% = 10$ -ის ჯერადს, ანუ რესურსების გადიდების თითოეულმა 1 ლარმა შეიძლება რესურსების 10 ლარით გადიდება გამოიწვიოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო მულტიპლიკატორის სიდიდე სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნებთან უკუ დამოკიდებულებაშია. თუ სავალდებულო რეზერვების განაკვეთი 5 %-მდე შემცირდება, მაშინ საბანკო მულტიპლიკატორი (BM) ტოლი იქნება - 20-ის, ხოლო თუ იგი 20 %-მდე გაიზრდება, მაშინ BM - ის მნიშვნელობა 5-მდე შემცირდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება აღინიშნოს, რომ საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. ამავე დროს, საბანკო სისტემა, გარკვეული აზრით, ცალკე ავტონომიური „სამყარო“, რომელსაც განვითარების საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს. სამედიცინო ანალოგიის შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, „ფული“ ეკონომიკის სისხლია, ხოლო მთლიანად „საბანკო სისტემა“ კი - მისი სისხლგამტარი არტერია, და აქედან გამომდინარე შეიძლება ვაღიაროთ, რომ „ბანკები“ - უეჭველად, „გულებია“, რომლებიც ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობაზე, საქმიანობაზე და განვითარებაზე ზემოქმედებენ და სისხლგამტარი სისტემების მეშვეობით სისხლის (ფულის) გადატუმბვას ახორციელებენ. სამედიცინო ანალოგიის გაგრძელებით, შეიძლება ითქვას, რომ რამდენად წარმატებულია ბანკების საქმიანობა, იმდენად ისინი რითმიულად და პროდუქტიულად „ამოძრავებენ სისხლი (ფულს)“ და „ინფარქტის“ (კრიზისების) ზემოქმედებას ნაკლებად განიცდიან, მათ ე.წ. „ტრომბი“ (გაკოტრება) არ ემუქრებათ და მათი სასიცოცხლო საქმიანობის მეშვეობით ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური განვითარების შესახებ მსჯელობა არის შესაძლებელი. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე საბანკო სისტემაში ე.წ. „ფულადი ტუმბოს“ მსგავსი მომსახურება მიმდინარეობს, სადაც თავისუფალი სახსრების მნიშვნელოვანი მოცულობის (საბანკო რესურსების 80–90 %-მდე) მოზიდვა და მათი ეკონომიკაში, დაკრედიტების მეშვეობით მსესხებლისაკენ მიმართვა ხორციელდება. ამასთან, ისიც არის უმნიშვნელოვანესი, რომ საბანკო სისტემაში მულტიპლიციების საფუძველზე, თავისთავად, არსებული საკრედიტო რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის, მრავალჯერადად გაზრდილი ახალი უნაღდი ფულადი მასის შექმნა არის შესაძლებელი, რომლის გაუთვალისწინებლობა შეიძლება ქვეყანაში ინფლაციური პროცესების გართულების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც კი იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში თანამედროვე საბანკო სისტემაში

ანგარიშსწორებებისათვის ძირითადად საბანკო ანგარიშები გამოიყენება და ჩეკების, საკრედიტო ბარათების, უნაღდო ანგარიშსწორების სახით - **საბანკო ფულის ერა** (11, გვ. 365) ყალიბდება .

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის კომერციული ბანკებისა და საბანკო სისტემაში მათ მიერ განხორციელებადი საკრედიტო ოპერაციების როლი უსაზღვროა: თანამედროვე საბაზრო პირობებში ორდონიანი საბანკო სისტემისა უშუალოდ ახალ ფულად მასას არა მარტო ცენტრალური ბანკები, არამედ კომერციული ბანკებიც ქმნიან თითოეული კრედიტის გაცემისას, ღაშიც ჩვენ ქვემოთმოყვანილი პრაქტიკული მაგალითის გაანგარიშებისას დავრწმუნდებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკების მიერ კრედიტის გაცემა არ შეიძლება მხოლოდ მექანიკურ აქტად ჩაითვალოს, იგი საზოგადოებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენებისადმი ნეიტრალურად იქნას მიჩნეული. კომერციული ბანკები ეკონომიკური პროგრესის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ამიტომ თანამედროვე პირობებში საკრედიტო სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურის განმტკიცება და მასში სახელმწიფოებრივი რეგულირების როლის ამაღლება სავალდებულო პირობად უნდა გადაიქცეს.

პროპორცია, რომლის ჯერადად საბანკო სფეროში მთლიანად ფულადი მასა (საკრედიტო რესურსი) მრავალჯერადად შეიძლება გაიზარდოს, ეკონომიკურ ლიტერატურაში **ბანკის მულტიპლიკატორის** (ბმ) სახით არის ცნობილი. მისი არსი გამოიხატება იმაში, რომ რეზერვები (ჭარბი რესურსები) ერთი ეკონომიკური სუბიექტიდან სხვა სუბიექტებისაკენ (მოცემულ შემთხვევაში ბანკებიდან საფინანსო და არასაფინანსო სექტორების ეკონომიკური აგენტებისაკენ და უკუ) მოძრაობენ. ფორმალურად, საერთო სახით, საბანკო მულტიპლიკატორი (ბმ) განისაზღვრება როგორც ქვეყნის ეკონომიკაში მთლიანი ფულადი მასის (მფმ) თანაფარდობა მაღალი ეფექტიანობის ფულის (მეფ) მოცულობასთან, ანუ ერთის (1) შეფარდება სავალდებულო რეზერვების ნორმატივთან (სრნ), რომელიც გამოიხატება შემდეგი სახით:

$$\text{ბმ} = \text{მფმ} / \text{მეფ, ანუ } 1 / \text{სრნ.}$$

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ცენტრალური ბანკის მიერ სავალდებულო რეზერვების ნორმატივი (სრნ) კომერციულ ბანკებისათვის დადგენილია სიდიდით:

- 10%, მაშინ საბანკო მულტიპლიკატორი ტოლი იქნება $\text{ბმ} = 1 / 0,10 = 10$ -ის ჯერადი;
- 20%, მაშინ საბანკო მულტიპლიკატორი ტოლი იქნება $\text{ბმ} = 1 / 0,20 = 5$ -ის ჯერადი;
- 5%, მაშინ საბანკო მულტიპლიკატორი ტოლი იქნება $\text{ბმ} = 1 / 0,05 = 20$ -ის ჯერადი.

მულტიპლიცირების მექანიზმის მოქმედების თვალსაჩინოებისათვის უფრო დეტალურად განვიხილოთ პირობითი მაგალითი. დავუშვათ, რომ კომერციულმა

ბანკმა დეპოზიტის სახით 1000 ლარის ოდენობის რესურსი მიიღო. ბანკმა, აღნიშნული წყაროს საკრედიტო რესურსად გამოყენების მიზნით, ცენტრალურ ბანკში გახსნილ საკუთარ ანგარიშზე სავალდებულო რეზერვი, დავუშვათ ჩვენს შემთხვევაში 10% ნორმატივისას, $(1000 \times 10\%) = 100$ ლარის მოცულობა უნდა გადარიცხოს და მას საკრედიტო რესურსებად მხოლოდ დარჩენილი თანხა $(1000 - 100) = 900$ ლარი გამოიყენოს. კრედიტის მიმღებ მსესხებელს აღნიშნული სახსრები მომსახურების ბანკში საკუთარ ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩაერიცხება, რაც ამ ბანკისათვისაც, როგორც კლიენტის ანგარიშზე ნაშთი, შეიძლება საკრედიტო რესურსებად იქნას გამოყენებული. მოცემული ბანკი უკვე დარჩენილი 900 ლარიანი რესურსებიდან სავალდებულო რეზერვებს $(900 \times 10\%) = 90$ ლარის ოდენობით ცენტრალური ბანკის რეზერვებში გადარიცხავს და მას უკვე $(900 - 90) = 810$ ლარის ოდენობის სესხის გაცემა შეეძლება. აღნიშნული ბანკის მიერ კლიენტისათვის 810 ლარის მოცულობის კრედიტის გაცემით, შესაბამის თანხას ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩაურიცხავს და იგი უკვე როგორც კლიენტის ანგარიშზე ნაშთი ბანკმა შეიძლება კვლავ საკრედიტო რესურსად გამოიყენოს. ამ შემთხვევაში უკვე აღნიშნული ბანკი 810 ლარიდან 10% ცენტრალურ ბანკში რეზერვების ანგარიშზე გადარიცხავს და უკვე საკრედიტო რესურსებად მხოლოდ $(810 - 81) = 729$ ლარის გამოყენება უშუალოა და ა.შ. აღნიშნული პროცესი კიდევ და კიდევ მათემატიკური უსასრულობის ჯაჭვით შეიძლება გაგრძელდეს. მაგრამ ეკონომიკაში ფულადი მასის გადიდების საერთო ჯამი მხოლოდ გარკვეულ პერიოდამდე შეიძლება გაგრძელდეს, რომლის მნიშვნელობა შეიძლება გეომეტრიული პროგრესიის ჯამის ფორმულით იქნას განსაზღვრული:

$$1\ 000 (1 + 0,9 + 0,9^2 + 0,9^3 + \dots) = 1\ 000 / (1 - 0,9) = 10\ 000 \text{ ლარი.}$$

ამრიგად, ბანკის მიერ დასაწყისში 1000 ლარის მოცულობით მიღებული დეპოზიტი, მულტიპლიცირების საფუძველზე და 10% სავალდებულო რეზერვების ნორმატივისას, შეიძლება $1 / 0,10 = 10$ ჯერადად, ანუ 10 000 ლარის მოცულობით იქნას გამოყენებული (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1. საბანკო სისტემაში საბანკო მულტიპლიცირების შედეგად

რესურსების მრავალჯერადად გამოყენების პრაქტიკული მაგალითი

| ბანკები და ოპერაციები | ბანკის დეპოზიტები ან რესურსები ლარებში | კრედიტებად გასაცემი შესაძლო თანხა, ლარებში | კომერციული ბანკის სავალდებულო რეზერვების თანხა ცენტრალურ ბანკში, ლარებში |
|-----------------------|--|--|--|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | 1 000 | 900 | 100 |
| 2 | 900 | 810 | 90 |
| 3 | 810 | 729 | 81 |
| 4 | 729 | 656 | 73 |
| 5 | 656 | 590 | 66 |
| 6 | 590 | 531 | 59 |
| 7 | 531 | 478 | 53 |

| | | | |
|--|--------|-------|-------|
| 8 | 478 | 430 | 48 |
| 9 | 430 | 387 | 43 |
| 10 | 387 | 349 | 39 |
| 10 ბანკის ან ოპერაციის ჯამი | 6 513 | 5 862 | 651 |
| სხვა ბანკების ან პერაციების ჯამი | 3 487 | 3 138 | 349 |
| ყველა ბანკების ან პერაციების ჯამი | 10 000 | 9 000 | 1 000 |

კვლევის დასასრულს შეიძლება შემდეგი სახის დასკვნები იქნას ჩამოყალიბებული:

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ირვინგ ფიშერის ფორმულაში ($Q \times P$) - ნომინალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ) (gross national disposable income - CDI) მაჩვენებლის შესაბამისია (იგი ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის - მშპ-ის მაჩვენებლის თითქმის იდენტურია), ანუ :

$$(Q \times P) = CDI \text{ (მეპ).}$$

ეხლა განვიხილოთ თუ როგორ მოქმედებს ბანკის მულტიპლიკატორის (ბმ) მექანიზმი? აღნიშნულ მექანიზმს მხოლოდ ორდონიანი (და უფრო მეტი) საბანკო სისტემების პირობებში შეუძლია არსებობა, ამასთან პირველი დონე - ცენტრალური ბანკი აღნიშნული მექანიზმით მართავს, მეორე დონე - კომერციული ბანკების სისტემა აძლევს მას იმოქმედოს, ამასთან იმოქმედოს ავტომატიურად ცალკეული ბანკების სპეციალისტების სურვილის დამოუკიდებლად. საბანკო მულტიპლიკატორის მექანიზმი უშუალოდ თავისუფალ რეზერვებთან არის დაკავშირებული.

თავისუფალი (ოპერატიული) რეზერვები თავისთავად სახსრების ერთობლიობას, ანუ **ლიკვიდურ აქტივებს** (Assets Liquidity-AL) და არა რესურსებს ანუ პასივებს (მაგაკლითად, ლიკვიდურ აქტივებს პლიუს კლიენტების ანგარიშებზე ფინანსური ნაშთები, მოთხოვნამდე დეპოზიტების მოცულობა და სხვა) წარმოადგენენ, რომლებიც დროის მოცემულ მომენტში შეიძლება აქტიური საბანკო ოპერაციებისათვის იქნას გამოყენებული.

ცნება რესურსი ან ლიკვიდური აქტივი დაფიქსირებულია იმაზე, რომ კომერციულ ბანკებს შეუძლიათ თავიანთი აქტიური ოპერაციები (სესხების გაცემა, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის და ა.შ. შემენა) მხოლოდ მათ „კუთვნილებაში“ არსებული რესურსების ფარგლებში (ამასთან თითოეულ ბანკს თავისუფალი რესურსები - 10-15%, ხოლო მოზიდული რესურსები - 85-90% ფარგლებში გააჩნიათ) საბანკო მულტიპლიკაციის გათვალისწინებით განახორციელონ.

ცალკეული კომერციული ბანკის თავისუფალი რეზერვების (თრ_{კბ}) სიდიდე შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან (1, გვ. 33):

$$\text{თრ}_{\text{კბ}} (\text{FR}_{\text{კბ}}) = \text{კვ} + \text{მრ} + \text{ცვ} + \text{ბშვ} - \text{რან}_{\text{კრ}} - \text{აქოპ}_{\text{კრ}}$$

Где: თრ_{კბ} (FR_{კბ}) - არის თავისუფალი რეზერვები (Free Reserves - FR_{კბ}) კომერციული ბანკების;

კვ – არის კომერციული ბანკის კაპიტალი;

მრ – არის კომერციული ბანკის მოზიდული რესურსები (სახსრები დეპოზიტურ ანგარიშებზე);

ცვ – არის ცენტრალიზებული კრედიტი, რომელიც კომერციულ ბანკზე ცენტრალური ბანკის მიერ არის მიწოდებული;

ბშვ – არის ბანკთაშორისო კრედიტი;

რან_{კრ} – არის ანარიცხი ცენტრალიზებულ რეზერვში, რომელიც ცენტრალური ბანკის განკარგულებაშია;

აქოპ_{კრ} – არის რესურსები, რომლებიც მოცემული მომენტისათვის უკვე აქტიურ ოპერაციებშია დაბანდებული.

ჩვენი მოსაზრებით, ცალკეული კომერციული ბანკის თავისუფალი რეზერვების სიდიდე (თ_რ) საბანკო მულტიპლიკატორის გათვალისწინებით ტოლი უნდა იყოს:

$$\text{თ}_{\text{რ}} = 1 / \text{სრნ} \times (\text{კვ} + \text{მრ} + \text{ცვ} + \text{ბშვ} - \text{რან}_{\text{კრ}} - \text{აქოპ}_{\text{კრ}}) = 1 / \text{ORA} \times \text{AL}_{\text{კბ}}$$

სადაც: ORA – არის სავალდებულო რეზერვირების ნორმატივი (Obligatory Reserves Assize - ORA);

AL_{კბ} – არის კომერციული ბანკის ლიკვიდური აქტივები (Assets Liquidity-AL).

კომერციული ბანკების რესურსების (ფულადი მასის) ფაქტიური მოცულობის ჯერადად გადიდების გაუთვალისწინებლობა საკმაოდ წონადი არგუმენტია ქვეყნის ინფლაციურ პროცესებზე უარყოფითი (ფარული) ზემოქმედებისა.

ზემომოყვანილი ფორმულიდან გამომდინარეობს, რომ საბაზრო ეკონომიკაში ორდონიანი საბანკო სისტემის ფუნქციონირებისას, ემისიის მექანიზმი როგორც ცენტრალური ბანკის, ასევე საბანკო (საკრედიტო, დეპოზიტური) მულტიპლიკატორის საფუძველზე მოქმედებს და ხორციელდება, და ჩვენი მოსაზრებით თანამედროვე პირობებში, ირვინგ ფიშერის ცნობილი ფორმულა ქვეყნის მიმოქცევაში ფულადი მასის საჭირო რაოდენობის გაანგარიშებასთან მიმართებაში შესაბამის კორექტირებას მოითხოვს: :

$$M = Q \times P / V = \text{CDI} / V,$$

- სადაც: M – არის ფულადი მასის რაოდენობა;
- Q – არის რეალიზებული პროდუქტის რაოდენობა;
- P – არის პროდუქტის საშუალო ფასი;
- V – არის ფულის მიმოქცევის საშუალო სიჩქარე;
- CDI – არის მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა.

ჩვენი მოსაზრებით ირვინგ ფიშერის აღნიშნული ფორმულა, გამომდინარე იქედან რომ, ბანკის მულტიპლიკატორს მხოლოდ ორდონიანი საბანკო სისტემის პირობებში შეუძლია იმოქმედოს და ამასთან მოქმედებს ავტომატურ რეჟიმში ცალკეული ბანკების სპეციალისტების სურვილის დამოუკიდებლად, საჭიროებს კორექტირებას და იგი შეიძლება შემდეგი სახით იქნას გამოსახული:

$$M = [(Q \times P / V) - (1 / ORA \times AL_{CB})] = [(CDI / V) - (1 / ORA \times AL_{CB})],$$

სადაც: CDI - არის არის მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ)
(Gross national Disposable Income - CDI) მოცულობა.

ORA - არის სავალდებულო რეზერვების ნორმატივი
(Obligatory Reserves Assize - ORA);

AL_{CB} - არის კომერციული ბანკის ლიკვიდური აქტივები
(Assets Liquidity - AL).

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია შემდეგი სახის დასკვნის გაკეთება:

1. **დადგენილია**, რომ ბანკის მულტიპლიკატორის მექანიზმი უშუალოდ თავისუფალ რეზერვებთან (აქტივებთან) არის დაკავშირებული და შეუძლია მხოლოდ ორდონიანი (და მეტი) საბანკო სისტემების პირობებში იმოქმედოს, ამასთან პირველი დონე - ცენტრალური ბანკი აღნიშნული მექანიზმით მართავს, მეორე დონე - კომერციული ბანკი აძალავს მას იმოქმედოს და ამასთან ბანკის მულტიპლიკატორი ავტომატურად მოქმედებს ცალკეული ბანკების სპეციალისტების სურვილისაგან დამოუკიდებლად.
2. **გამოვლენილია**, რომ უშუალოდ თავისუფალი რეზერვი თავისთავად კომერციული ბანკების რეზერვების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც დროის მოცემულ მომენტში შეიძლება აქტიური საბანკო ოპერაციებისათვის იქნას გამოყენებული და რაც ყველაზე მთავარია, სინამდვილეში კომერციული ბანკების თავისუფალი (ოპერატიული) რეზერვი - არის არა მათი რესურსები (პასივები), არამედ უშუალოდ მათი ლიკვიდური აქტივები (აქტივები).
3. **აღნიშნულია**, რომ საბაზრო ეკონომიკაში ორდონიანი საბანკო საბანკო სისტემის ფუნქციონირებისას, ემისიის მექანიზმი ერთდროულად მოქმედებს - ცენტრალური ბანკის ფუნქციონალური უფლებამოსილების საფუძველზე, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პირობებში, ასევე ბანკის (საკრედიტო, სადეპოზიტო) მულტიპლიკატორის საფუძველზეც, სადაც ფულადი ემისიის საკრედიტო ხასიათი სახელმწიფოს ფულადი სისტემის ორგანიზაციის ერთ-ერთ ფუნქციონალურ პრინციპს წარმოადგენს.
4. **ჩამოყალიბებულია** ავტორის მოსაზრება, რომ ზემოთაღნიშნულების გათვალისწინებით თანამედროვე პირობებში ირვინგ ფიშერის ცნობილი „მიმოქცევაში საჭირო ფულადი მასის რაოდენობრივი გაანგარიშების ფორმულა“ კორექტივის განხორციელების ობიექტურობას განაპირობებს და იგი შეიძლება შემდეგი სახით იქნას წარმოდგენილი:

$$M = [(Q \times P / V) - (1 / ORA \times AL_{CB})] = [(CDI / V) - (1 / ORA \times AL_{CB})].$$

5. **შეთავაზებულია** ასევე წინადადება იმასთან დაკავშირებით, რომ თუ ირვინგ

ფიშერის შეთავაზებული კორექტირებული ფორმულა დამკვიდრდება, მაშინ ხომ არ უნდა დადგეს იმის აუცილებლობაც, რომ კომერციულმა ბანკებმა ცენტრალურ ბანკში სავალდებულო დარეზერვების ნორმატივის გაანგარიშება არა ბანკების რესურსებიდან (პასივებიდან), არამედ ბანკის ლიკვიდური აქტივების რეზერვებიდან (აქტივებიდან) უნდა ხორციელდებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Лаврушин О.И. – Деньги, кредит, банки: Учебник. – Москва, Финансы и статистика, 2000. – 287 с.
2. ცაავა გ., ბიწაძე ბ., ლიპარტია ზ. - ფინანსური მენეჯმენტი: სახელმძღვანელო. - თბილისი, "აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის" გამომცემლობა, 2006. – 992 გვ.
3. Бункина М.К., Семенов В.А. - Макроэкономика (основы экономической политики). – Москва, АО «ДИС», 2006.
4. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 600 გვ.
5. Луссе А.- Макроэкономика: ключевые вопросы / Учебное пособие. – Санкт-Петербург, Издательство «Питер», 1999. – 240 с.
6. Казаков А.П., Минаева Н.В. – Экономика: курс лекции, упражнения, тесты и тренинги. – Москва: Из-во ЦИПКК АП, 1996. – 392 с.
7. Экономика:Учебник./Под ред.доц.А.С. Булатова. – Москва, Из-во ВЕК, 1997. – 816 с.
8. Гальперин В.М., Тарасевич Л.С. – Макроэкономика: Учебник. – СПб, Из-во СПбГУЭФ, 1997. – 719 с.
9. Бункин М.К., Семенов А.М.- Макроэкономика: Учебник. – Москва, Из-во «Дело и Сервис», 2000. – 512 с.
10. ჩანტლაძე ვ. - შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები. - თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1992. – 305 გვ.
11. Чепурина М.Н., Киселев Е.А. – Курс экономической теории: Учебник. – Киров, издательство «АСА», 1997. – 625 с.
12. www.nbg.gov.ge.
13. ცაავა გ. - ირვინგ ფიშერის ფულის მასის გაანგარიშების ფორმულის კორექტივის მიზანშეწონილობის შესახებ. - თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი VIII, № 3, 2015. - გვ. 9 – 24.

SUMMARY:

THE EVOLUTION OF MONEY THEORIES AND THE OBLIGATION TO MAKE ADJUSTMENTS “TO THE QUANTITATIVE CALCULATION FORMULA NECESSARY MONEY SUPPLY IN APPEALS ”BY IRVING FISHER

Tsaava George - Doctor of Economics,
Professor of Georgian Technical University

1. It has been established that the banking multiplier mechanism is directly related to the free reserve and can exist only in conditions of two-tier (or more) banking systems, the first level being the Central Bank, which controls this mechanism, the second level, the commercial bank makes it operate, and the banking multiplier acts automatically regardless of the desire of specialists of individual banks.

2. It was revealed that the free reserve is a set of reserves of commercial banks, which at a given time can be used for active Bayek operations and, most importantly, in fact, the free (operational) reserve of commercial banks is not their resources, that is . liabilities, but directly their liquid assets.

3. It is noted that in a market economy with a two-tier banking system, the issue mechanism operates on the basis of the functional responsibility of the Central Bank, and that is especially important at the present time, and on the basis of a bank (credit) multiplier, where the credit nature of money issue is one of the fundamental principles of organization of the monetary system of the state.

4. It is proposed that, taking into account the foregoing, in modern conditions, the well-known Irving Fisher formula for calculating the necessary amount of money supply in the country's circulation requires appropriate adjustment and it can be presented in the following form:

$$M = [(Q \times P / V) - (1 / ORA \times ALCB)] =$$
$$= [(CDI / V) - (1 / ORA \times ALCB)].$$

1. A proposal is also proposed in connection with the fact that if the author's corrected Irving Fisher formula is approved, then should it not become mandatory for commercial banks to calculate the required reserve ratio for the Central Bank not from the bank's resources (liabilities), but from the reserve liquid assets (assets) of the bank.

ადამიანის ჯანმრთელობის ეკოლოგიის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები

ნაირა გალახვარიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ნინო ქედელიძე
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო გადაწყვეტილებებისა და გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ დოკუმენტებში მოყვანილი ასაკოვებულთა ადვიარებული ადამიანის უფლებები.

ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც 1948 წელს მიიღეს, ერთ კონტექსტში ადამიანთა უფლებათა თითქმის მთელ სპექტრს მოიცავს.

ყოველ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, რომელიც აუცილებელია თვით მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

ჯანსაღი გარემოს უფლება განხილული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს და განვითარების 1992 წლის კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტის სამუშაო ჯგუფის წინადადებებში.

ადამიანის უფლებათა მიდგომებმა მნიშვნელოვნად უნდა განამტკიცოს გარემოს დაცვისა და შენარჩუნების მოტივაცია.

გარემოს დაცვა და შენარჩუნება, ან მდგრადი განვითარებისაკენ სვლა ზოგადად წარმოადგენს მიზანს, რომელიც საზოგადოების ყველა სექტორის თანამშრომლობას მოითხოვს. ამ მიზნის განხორციელება მოითხოვს როგორც სამთავრობო გადაწყვეტილებებს, ისე საზოგადოების ფართო მონაწილეობას. მოქალაქეებს ხელი უნდა მიუწვდებოდეს გარემოსთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციაზე, ასევე სათანადო გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე და ინსტიტუტებზე.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით სამართლებრივი და ადმინისტრაციული მექანიზმების არსებობას მოითხოვს, რომლის მეშვეობითაც ინდივიდები ან ჯგუფები, თავიანთი ინიციატივით შეძლებენ საჯარო ორგანიზაციებისაგან მოიპოვონ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება უაღრესად მნიშვნელოვანია ფართო საზოგადოების, ადგილობრივი თემების, ან განსაკუთრებით არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი პირებისა და ჯგუფებისათვის, მაგალითად, როგორცაა მკვიდრი მოსახლეობა, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ გარემოსთან და განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ბუნებრივ ობიექტებზე ეკოსარგებლობის უფლება, განსხვავებით კერძო სახელმწიფო მუნიციპალური და საკუთრების სხვა ფორმების უფლებებისაგან არ წარმოადგენს მუდმივს, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ უფლებამოსილებას. პირიქით, ის დინამიურია ეკოსარგებლობა შეიძლება წარმოიქმნას, შეიცვალოს ანდა შეწყდეს მიღებული კანონიდან გამომდინარე.

ეკოსარგებლობის უფლების წარმოქმნას სხვადასხვა საფუძვლი აქვს:

- ბუნებრივი ობიექტი, რომელიც სახელმწიფო ანდა სხვა პირთა საკუთრებაშია, საკუთრებით, სარგებლობით ანდა იჯარით.. მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ მიწის ნაკვეთების საკუთრებაში, სარგებლობით ან იჯარით. მიწების სარგებლობა შეიძლება ბაიოსმუდმივიანდროებითი;

- ხელშეკრულების დადება ბუნებრივი ობიექტის იჯარაზე. ამ შემთხვევაში საუბარია დროებით სარგებლობაზე ხელშეკრულების პირობებით;

- მიწის, როგორც უძრავი ქონების ჩართვა სამოქალაქო ბრუნვაში, რაც მოიცავს მის მონაწილეობას ყიდვა-გაყიდვით, იჯარით გაცვლით, იპოთეკით, დაგირავებითა და ა.შ.;

- საკუთრების უფლების ტიტულის გადაცემა უძრავ ქონებაზე, როგორცაა შენობები ან ნაგებობები. საკუთრების უფლების გადაცემისას შენობებზე ან ნაგებობებზე, ამ ობიექტებთან ერთად უფლება გადადის მიწის ნაკვეთზეც, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არაა გათვალისწინებული.

ეკოსარგებლობის უფლება შემდეგ შემთხვევებში იცვლება:

- სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიცემული ერთი ბუნებრივი ობიექტის სხვათი შეცვლით, თავდაპირველის ჩამორთმევის შედეგად;

- გამოყენებული ობიექტის სამართლებრივი სტატუსის შეცვლის შედეგად;

- გამოყენებული ბუნებრივი ობიექტის ეკოლოგიური მდგომარეობის ცვლილების შედეგად;

- შემოღებული კანონმდებლობის შეზღუდვის შედეგად.

ეკოსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლებს წარმოადგენს:

- ეკოსარგებლობის სარგებლობაზე ნებაყოფლობითი უარი;

- ეკოსარგებლობის შეწყვეტა, მაგალითად, ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში;

- იმ საფუძვლის შეწყვეტა, რომლის შედეგადაც წარმოიქმნა ეკოსარგებლობის უფლება, მაგალითად იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტისას;

- ეკოსარგებლიანობის უფლების დარღვევა.

გარდა ჩვეულებრივი სარგებლობისა და განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიებისა, არსებობს ბუნებრივ ობიექტების განსაკუთრებული ეკოსარგებლიანობის რეჟიმის ტერიტორიებიც. კანონით გათვალისწინებულია განსაკუთრებული ეკოლოგიური სიტუაციების ზონები და ეკოლოგიური უბედურების ზონები, რომლებიც ასეთად ცხადდება პრეზიდენტის დადგენილებით, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

ქალაქის ეკოლოგია თავისთავში მოიცავს მისი საცხოვრებელი და სამრეწველო ზონების პროცესების ფორმირებას, შეფასებასა და პროგნოზს, ქალაქის განვითარებასთან, განახლების სისტემებთან კავშირში. ბუნებრივი გარემოს შესაძლებელი ლოკალური ან რეგიონული ნეგატიური ცვლილებების აღრიცხვას და ადამიანებზე ამ ცვლილებების ზემოქმედების გათვალისწინებას. ბუნებადაცვითი ღონისძიებების შემუშავებას ამ უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციისა და შეზღუდვისათვის.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განსაზღვრებით ადამიანის ჯანმრთელობა-ესაა სრული, ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობა და არამარტო ავადმყოფობისა და ფიზიკური დეფექტების არარსებობა, როგორც ეს თანამედროვე დრომდე შედარებით ფართოდ იყო გავრცელებული საზოგადოებრივ შეგნებაში.

ჯანმრთელობა ფილოსოფიური პოზიციიდან შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ხარისხის, ისე რაოდენობრივი კატეგორიების თანაფარდობით.

იურიდიული კუთხით ჯანმრთელობა შეიძლება გამოიხატოს პიროვნულ და საზოგადოებრივ უფლებათა ფლობითა და მათი განმგებლობის შესაძლებლობებით.

სოციალურ-ეკონომიკური პოზიციიდან, „ადამიანის ჯანმრთელობა“, „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ განიხილება, როგორც ფიზიკური, ისე საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის კატეგორია, მატერიალური და სულიერი ფასეულობათა შექმნისათვის.

მედიკო-ბიოლოგიურ გამოკვლევებში ჯანმრთელობის შეფასებისათვის იყენებენ

ფიზიკური განვითარების მაჩვენებლებს. ორგანიზმის ფუნქციას აფასებენ გონებრივი და ფიზიკური შრომისუნარიანობის მაჩვენებლებით, ხოლო ადაპტაციური რეზერვები-ბიოქიმიური, ჰორმონალური და იმუნური მაჩვენებლების სტატუსით. ავადობის მაჩვენებელი ასახვას დაავადების გავრცელებულობას, რომელიც განისაზღვრება წლის განმავლობაში დაავადების რიცხვის გამრავლებით 1000-ზე და შეფარდებული მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან. მოცემული მაჩვენებელი წარმოადგენს ჯანმრთელობის უარყოფითი მაჩვენებლების კრებით აღნიშვნას, რომლებიც სანიტარულ სტატისტიკაში განიხილება ჯანმრთელობის მდგომარეობის კრიტერიუმის სახით.

გარემომცველი ბუნებრივი გარემო მოიცავს ბუნებრივ და ანტროპოგენურ ფაქტორთა ერთობლიობას. ბუნებრივი ფაქტორები ახასიათებენ ადამიანზე ადგილის, მხარის კლიმატურ, გლობალურ და ბიოლოგიური ზემოქმედების თავისებურებებს.

ანტროპოგენური ფაქტორები, წარმოქმნილი ადამიანთა და მათი სამეურნეო საქმიანობით ხშირად ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანზე, მისი ცხოვრებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის პირობებზე.

1972 წელს სტოკჰოლმში გაეროს კონფერენციაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, სადაც საუბარია, რომ ადამიანი ერთდროულად წარმოადგენს თავისი გარემოს პროდუქტსა და შემქმნელს (შემოქმედს). სიცოცხლისათვის ფიზიკური საფუძვლის, ინტელექტუალური, საზოგადოებრივი და მორალური განვითარების შესაძლებლობის მიმცემს. ამგვარად, ადამიანთა კეთილდღეობისა და ხალხთა ძირითადი უფლებების განხორციელებისათვის, მათ შორის სიცოცხლის უფლებაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორ ასპექტს: ბუნებრივ გარემოსა და იმას, რომელიც ადამიანმა შექმნა.

XX საუკუნის ბოლოს სიცოცხლის (ცხოვრების) პირობების სექტორში კონცენტრირებულ იქნა ადამიანისათვის უკიდურესად საშიში ტენდენციები, რამდენადაც ბუნებრივი რესურსების ამოწურვა და ბუნებრივი გარემოს დაზიანება მიმდინარეობს უფრო სწრაფად, ვიდრე ადამიანები მათ ხელოვნური პირობებით შეცვლას ასწრებენ.

ამ ტენდენციებმა განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინეს მსხვილ სამრეწველო რეგიონებში, ქალაქებში.

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე არსებით ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა მასების მომცველი სოციალური სტრესი, ფსიქოლოგიური დაძაბულობა, რაც ცხოვრების ტემპის დაჩქარებითა და სოციალური გარდაქმნებითაა განპირობებული.

მოსახლეობის ჯანმრთელობა გარემომცველი გარემოს ხარისხის შეფასებისა და ადამიანის სასურველი ცხოველქმედების ინდიკატორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს. ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ გარე გარემოს დაზიანებამ გამოიწვია მოსახლეობის ჯანმრთელობის დეგრადაცია, რომელმაც ეროვნული კატასტროფის ხასიათი შეიძინა

ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამოკიდებულებები გარემომცველ გარემოსთან მიმართებით შემდეგია:

1. ადამიანის ჯანმრთელობა გარემომცველ გარემოსთან განსაზღვრულ ურთიერთკავშირშია;
2. ცხოვრების, გარემოსთან ადამიანთა ურთიერთმიმართებათა ოპტიმალურად განვითარებისას მისი ჯანმრთელობა უახლოვდება ნორმას, ხოლო გარემო ფასდება როგორც ჯანმრთელი;
3. თუ გარემომცველ გარემოსთან ადამიანთა ურთიერთმიმართებაში ირღვევა დინამიური წონასწორობის პირობები, მაშინ ეს ჯანმრთელობის დონეზე აისახება, ხოლო თავად გარემო ფასდება როგორც არაჯანმრთელი;

4. ადამიანის გარემოსთან იმგვარი ურთიერთქმედებისას, რომლებიც ცხოვრებას შეუძლებლად ხდიან გარემო ფასდება, როგორც ექსტრემალური, ანდა აბსოლიტურად გამოუსადეგარი მუდმივი ბინადრობისათვის.


უდავოა, რომ მოსახლეობის ჯანმრთელობის დონეზე ზემოქმედებს ასევე მისი სხვადასხვა ჯგუფის მედიკო-ბიოლოგიური მახასიათებლები განსაკუთრებულად ცხოვრების წესი, წარსულში გარემომცველი გარემოს მდგომარეობა, გარე გარემოზე ზემოქმედების ფაქტორების ცვლლებები ფორმებში, ხარისხსა და ხანგრძლივობაში. ამიტომ, ადამიანთა ბინადრობის შეფასებისათვის სასიკეთო გარემოს კრიტერიუმს არშეუძლია გამოვიდეს აუცილებელ და დამაკმაყოფილებელ როლში, მაგრამ შეიძლება იყოს დამატებითი სარწმუნო შედეგების მტკიცებულება სხვა მეთოდებით მიღებული ანტროპოეკოლოგიური შეფასებისათვის.

ამგვარად, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს ადამიანზე ბუნებრივი და ანტროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების საბოლოო ეკოლოგიური ეფექტის მაჩვენებლად. ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური და დამცველი ურთიერთზემოქმედება.

1995 წელს მეცნიერმა ს. ვარკვევისსერმა შემოგვთავაზა ჯანმრთელობის მოდელი, რომელშიც მოცემულია გარემომცველი გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობის ურთიერთზემოქმედების შეფასება და განხილვას დაქვემდებარებული ფართო სპექტრი.

ჯანმრთელობის მოდელი

(სქემა 1.)



ამგვარად, მოსახლეობის ჯანმრთელობა სულ უფრო ნათლად და შეგნეულად ხდება მედიკოეკოლოგიური კეთილდღეობის ინტეგრალურ-ინდიკატორად, მისი შეფასების კრიტერიუმად, ხოლო ეკოლოგიური პროცესები ადამიანთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის წამყვან დეტერმინანტებად.

გარემომცველი გარემო განისაზღვრება როგორც ეკოლოგიური კომპონენტების (მიწა, მისი წიაღი, ზედაპირული და მიწის ქვეშა წყლები, ატმოსფერული ჰაერი, ტყეები და სხვა მცენარეები, ცხოველთა სამყარო, მიკროორგანიზმები, გენეტიკური ფონდი) ბუნებრივი ლანდფშატებისა და სივრცის ერთობლიობა, რაც ადამიანთა

ცხოვრებისათვის და ცოცხალი ორგანიზმების არსებობისათვის ბუნებრივი პირობების უზრუნველყოფია. სიმწვავის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ ისეთ ეკოლოგიურ სიტუაციებს, როგორცაა კატასტროფული, უბედური, კრიზისული, კრიტიკული, დამაბული, შედარებით დამაკმაყოფილებელი, ეკოლოგიურად მშვიდობიანი, ბედნიერი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ კლასიფიკაციის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ამგვარად, ჯანმრთელობა-სასაზღვრო, ზღვრული მდგომარეობაა „ნორმასა“ და „ავადმყოფობების (პათოლოგიებს)“ შორის.

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა განისაზღვრება კონკრეტული რეგიონის ეკოლოგიური ფონის ბუნებრივი და ანტროპოგენური ფაქტორების ურთიერთკავშირით.

ეკოლოგიური პრინციპების გათვალისწინება ობიექტურ აუცილებლობად ხდება, რამდენადაც ბუნებრივი პირობების ტექნოგენური ტენდენციების ცვლილება სულ უფრო სახიფათოა თავად ადამიანისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Н.Ю. Келина, Н. В. Безручко“ Экология человека“ Феникс 2009. Ст. 15
- 2.А .В.Анисимов „Экологический менеджмент“ Феникс, 2009
3. Безручко Н. В. Оценочные критерии экологического риска в анализе техногенной нагрузки на окружающую среду /Экология человека: концепция факторов риска
4. Келлер А.А, Кувакин В. И. Медицинская экология , -СПБ:“ Петроградский и к“ 1998.
5. გიუნტერ ჰანდლი, ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, თბ. 2006.

რეზიუმე

ყოველ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, რომელიც აუცილებელია თვით მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

გარემოს დაცვა და შენარჩუნება, ან მდგრადი განვითარებისაკენ სვლა ზოგადად წარმოადგენს მიზანს, რომელიც საზოგადოების ყველა სექტორის თანამშრომლობას მოითხოვს. ამ მიზნის განხორციელება მოითხოვს როგორც სამთავრობო გადაწყვეტილებებს, ისე საზოგადოების ფართო მონაწილეობას. მოქალაქეებს ხელი უნდა მიუწვდებოდეს გარემოსთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციაზე, ასევე სათანადო გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე და ინსტიტუტებზე.

ბუნებრივ ობიექტებზე ეკოსარგებლობის უფლება, განსხვავებით კერძო სახელმწიფო მუნიციპალური და საკუთრების სხვა ფორმების უფლებებისაგან არ წარმოადგენს მუდმივს, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ უფლებამოსილებას. პირიქით, ის დინამიურია ეკოსარგებლობა შეიძლება წარმოიქმნას, შეიცვალოს ანდა შეწყდეს მიღებული კანონიდან გამომდინარე.

ქალაქის ეკოლოგია თავისთავში მოიცავს მისი საცხოვრებელი და სამრეწველო

ზონების პროცესების ფორმირებას, შეფასებასა და პროგნოზს, ქალაქის განვითარებასთან, განახლების სისტემებთან კავშირში. ბუნებრივი გარემოს შესაძლებელი ლოკალური ან რეგიონული ნეგატიური ცვლილებების აღრიცხვას და ადამიანებზე ამ ცვლილებების ზემოქმედების გათვალისწინებას. ბუნებადაცვითი ღონისძიებების შემუშავებას ამ უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციისა და შეზღუდვისათვის

ადამიანთა კეთილდღეობისა და ხალხთა ძირითადი უფლებების განხორციელებისათვის, მათ შორის სიცოცხლის უფლებაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორ ასპექტს: ბუნებრივ გარემოსა და იმას, რომელიც ადამიანმა შექმნა.

XX საუკუნის ბოლოს სიცოცხლის (ცხოვრების) პირობების სექტორში კონცენტრირებულ იქნა ადამიანისათვის უკიდურესად საშიში ტენდენციები, რამდენადაც ბუნებრივი რესურსების ამოწურვა და ბუნებრივი გარემოს დაზიანებები მიმდინარეობს უფრო სწრაფად, ვიდრე ადამიანები მათ ხელოვნური პირობებით შეცვლას ასწრებენ. ამ ტენდენციებმა განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინეს მსხვილ სამრეწველო რეგიონებში, ქალაქებში. მოსახლეობის ჯანმრთელობაზე არსებით ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა მასების მომცველი სოციალური სტრესი, ფსიქოლოგიური დამაბულობა, რაც ცხოვრების ტემპის დაჩქარებითა და სოციალური გარდაქმნებითაა განპირობებული.

მოსახლეობის ჯანმრთელობა გარემომცველი გარემოს ხარისხის შეფასებისა და ადამიანის სასურველი ცხოველქმედების ინდიკატორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს. ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ გარე გარემოს დაზიანებებამ გამოიწვია მოსახლეობის ჯანმრთელობის დეგრადაცია, რომელმაც ეროვნული კატასტროფის ხასიათი შეიძინა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ კლასიფიკაციის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ამგვარად, ჯანმრთელობა-სასაზღვრო, ზღვრული მდგომარეობაა „ნორმასა“ და „ავადმყოფობების(პათოლოგიებს)“ შორის. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა განისაზღვრება კონკრეტული რეგიონის ეკოლოგიური ფონის ბუნებრივი და ანტროპოგენური ფაქტორების ურთიერთკავშირით. ეკოლოგიური პრინციპების გათვალისწინება ობიექტურ აუცილებლობად ხდება, რამდენადაც ბუნებრივი პირობების ტექნოგენური ტენდენციების ცვლილება სულ უფრო სახიფათოა თავად ადამიანისათვის.

SUMMARY

Everyone has the right to a standard of living necessary to maintain the health and well-being of himself and his family. Protecting and preserving the environment or moving towards sustainable development is generally a goal that requires cooperation from all sectors of society. Achieving this goal requires both governmental decisions and broad public participation. Citizens should have access to relevant environmental information as well as relevant decision-making processes and institutions.

The right to use natural objects, unlike private state municipal and other forms of ownership, does not constitute a permanent, once and for all authority. On the contrary, it is dynamic. Eco-use can arise, change or be discontinued under the law. Formation, evaluation and forecasting of essays in relation to city development, renewal systems. Accounting for local or regional negative

changes in the natural environment and taking into account the impact of these changes on humans. Developing nature conservation measures to eliminate and limit these adverse effects on human well-being and the exercise of basic human rights, including the right to life, are of particular importance in two respects: the natural environment and what man has created.

At the end of the 20th century, life-threatening trends were concentrated in the sector of living conditions, with the depletion of natural resources and the contamination of the natural environment occurring more rapidly than man-made artificial conditions.

These trends have gained particular momentum in large industrial regions, cities. Social stress, psychological strain, caused by accelerating pace of life and social transformations, has a major impact on the health of the population.

Population health is one of the most important criteria for environmental quality assessment and indicator of human desirable activities. Many researchers point out that contamination of the outdoor environment has led to the degradation of the health of the population, which has acquired the character of a national disaster.

It is important to note that one of the criteria for this classification is population health status.

Thus, the health-boundary is the boundary condition between <norm> and <illness (pathology)>.

The health status of the population is determined by the relationship between the natural and anthropogenic factors of the ecological background of a particular region.

Ecological principles are taken into account as an urgent necessity, as the change in the technological trends of natural conditions is increasingly dangerous to humans.

ფსიქოლოგიური მახასიათებლებით პერსონალის ქცევის მართვის ზოგიერთი ასპექტი

დალი ბაკაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი

ადამიანური რესურსების განვითარება ორგანულად და უშუალოდ არის დაკავშირებული თვით ორგანიზაციულ სტრუქტურასთან და ამ ორგანიზაციის მიზნებთან, ამოცანებთან, ფუნქციონალურ დატვირთვისასთან და თვით ამ ორგანიზაციის შექმნის მისიასთან.

ამავდროულად, ადამიანური რესურსების განვითარების ყველა ეტაპზე პერსონალის მართვა სისხლხორცეულ შემხებლობაშია საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიულ, საადრიცხვო-საფინანსო თუ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზებთან და სხვადასხვა კომპონენტებთან, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენენ პერსონალის მართვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორცაა: პერსონალის რიცხოვნობა, მათი საგანმანათლებლო-კვალიფიციური შემადგენლობა, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ხარისხი და შინაარსი, სამუშაოს ილეთებისა და ოპერაციების მეთოდები, რეჟიმი, მოტივაცია, კონტროლის მექანიზმი და სხვა უამრავი შემადგენელი.

რამდენადაც პერსონალის მართვის უპირველეს მიზანს წარმოადგენს ამ პერსონალის დამსაქმებელი სუბიექტის მისიის, სტრატეგიული და მიმდინარე მიზნების მისაღწევად დასახული კონკრეტული ამოცანების მიღწევის პროცესის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა და ამ რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ამდენად, პერსონალის მართვამ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ამოცანები და უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

- რა როლს თამაშობენ ადამიანური რესურსები ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მიღწევაში?
- რამდენი, რა პროფესიის, კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და განათლების მომუშავე სჭირდება ორგანიზაციას და მის ყოველ სტრუქტურულ ქვედანაყოფს?
- როგორ უნდა მოვიზიდოთ და შევარჩიოთ ისინი?
- ვინ, რა, როგორ და რა დროში უნდა გააკეთოს? ვინ რაზე აგებს პასუხს?
- როგორ უნდა დაიგეგმოს და შეფასდეს შესრულებული სამუშაო, მისი მოცულობა და ხარისხი?
- ვინ, ვისთან, რა სფეროში და როგორ უნდა ითანამშრომლოს?
- როგორ უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება ობიექტურად ვაკანსიებზე კონკურსი და მომუშავეთა ატესტირება?
- როგორ შეიძლება შეფასდეს ორგანიზაციაში არსებული შრომის დისციპლინა და ორგანიზაციული კულტურა?
- ვინ და რატომ მოდის ამ დაწესებულებაში სამუშაოდ, რა მოტივები ამოდრავებთ, რისი მიღწევა სურთ და რამდენად შეესაბამება ეს ყველაფერი ორგანიზაციის ინტერესებს?
- ყველა თავის ადგილზეა თუ არა, ვინ უნდა დაწინაურდეს და პირიქით?
- რამდენად ეფექტიანია მომუშავეთა შრომის ანაზღაურება და სტიმულირება?
- ვინ ვის მიმართაა ანგარიშვალდებული და რა ფორმით?
- ყველამ კარგად იცის თუ არა, რა და როგორ უნდა აკეთოს, ყოველთვის იღებენ თუ არა სათანადო ინსტრუქციებს ?

• რას ნიშნავს ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება? როგორ ავიცილოთ თავიდან კონფლიქტები?

• ვინ როგორ, რამდენად ეფექტიანად იყენებს სამუშაო დროს, გეგმავს თუ არა მას, ახდენს თუ არა სამუშაოთა პრიორიტეტიზებას?

• რა კონკრეტული მიზეზები განაპირობებს პერსონალის დენადობას?

• ვის, რატომ, რა სფეროებში და რა ფორმით სჭირდება ტრენინგი?

• ხდება თუ არა პერსონალის შემადგენლობისა და მართვის ანალიზი, ტენდენციებისა და პრობლემების იდენტიფიცირება, თუ კი - რა პერიოდულობით, რა ფორმით, რამდენად ეფექტიანია ისინი და სხვა?

ადამიანური რესურსების მართვასთან, როგორც სტრატეგიულ ფუნქციასთან დაკავშირებით, აუცილებელია ორ მნიშვნელოვან მომენტზე იქნეს გამახვილებული ყურადღება:

• ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული მომავალზე, რადგან იცვლება და ვითარდება ორგანიზაციის მისია, მისი სტრუქტურა, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სოციალური, ორგანიზაციული გარემო, იცვლებიან და ვითარდებიან თვით ადამიანებიც;

• ადამიანური რესურსების მართვა, როგორც სტრატეგიული ფუნქცია, უფრო მეტად პრობლემების წარმოშობის პროფილაქტიკაზე, წინასწარ რეაგირებასა და პრობლემების თავიდან აცილებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, ვიდრე უკვე წარმოშობილ პრობლემებზე, თუნდაც მათზე ოპერატიულ რეაგირებაზე. (1)

პერსონალის მართვისა და ადამიანური რესურსების განვითარების სისტემატიზებულ, მართებულ, კონცეპტუალურ მიდგომებსა და პრინციპებზე დაფუძნებული და სისტემური რეალიზების პროცესში მყოფი სტრატეგია და შესაბამისად პოლიტიკა აუცილებლად ეფუძნება ადამიანთა, როგორც სოციალურ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიცერთობლიობაში ქმნიან ფსიქოფიზიოლოგიურ მახასიათებლებს, ეს უკანასკნელი კი ადამიანის მოტივაციაა!

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში არაერთმა მეცნიერმა სხვადასხვა თეორია შექმნა მოტივაციის შესახებ, რომელშიც გამოკვლეული და შეფასებულია ადამიანის მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორები და ამ თეორიების უმეტეს ავტორებს აქცენტი გადატანილი აქვთ ადამიანების მოთხოვნილებებისა და მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებზე და მათი გავლენის ანალიზზე.

ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ საჭიროა და აუცილებელი ადამიანის მოტივაციაზე მოქმედი მატერიალური და არამატერიალური ფაქტორების შესწავლა და საფუძვლიანი გაანალიზება. მატერიალური (ჰიგიენური) ფაქტორები დაკავშირებულია ადამიანის თვითრეალიზაციასთან, მის შინაგან მოთხოვნილებებთან, იმ გარემოსთან, სადაც ცხოვრობს და შრომობს/საქმიანობს ადამიანი (ხელფასის სიდიდე, ცხოვრებისა და შრომის პირობები, მისი სტატუსი ორგანიზაციაში, ადამიანებთან ურთიერთობები და ა. შ.).

არამატერიალური ფაქტორები დაკავშირებულია ადამიანის ხასიათსა და პიროვნულ სტატუსთან (მიღწევები, საზოგადოებრივი აღიარება, წარმატება, პერსპექტივა და ა.შ.).

ამ თეორიის დებულებების გამოყენება წარმატებით შეუძლიათ ორგანიზაციის მენეჯერებს (ხელმძღვანელ მუშაკებს) თავიანთი თანამშრომლების მუშაობის გასაანალიზებლად. მაგალითად, ჰიგიენური მატერიალური ფაქტორების არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ თანამშრომელი კმაყოფილი არ იქნება თავისი სამუშაოთი (მას დაუკმაყოფილებლობის განცდა დაეუფლება). თუმცა, თუ მატერიალური ჰიგიენური ფაქტორები საკმარისია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ფაქტორები, თავისთავად, მოტივაციის გამომწვევი ფაქტორები იქნება.

1959 წელს ფედერიკ ჰერცბერგისა და მისი კოლეგების მიერ შეიქმნა მოტივაციის ორი ფაქტორის თეორია და მათი მიზანი იყო ადამიანების სამუშაოთა კმაყოფილებისა

და უკმაყოფილების მიზეზებისა და საფუძველების გამოკვლევა, ასევე შრომის ნაყოფიერებაზე (მის ზრდასა და შემცირებაზე) მოქმედი ფაქტორების ანალიზი.

გამოკვლევის შედეგებიდან ჰერცბერგმა გამოიტანა დასკვნა, რომ სამუშაოთი კმაყოფილება დამოკიდებულია მის შინაგან და არსობრივ მახასიათებლებზე, ხოლო უკმაყოფილება კი - სამუშაოსა და მისი გარემოს გარე მახასიათებლებზე. ჰერცბერგის საბოლოო დასკვნა იმით გამოიხატა, რომ ყველა ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის საქმიანობაზე სამუშაო სიტუაციებში, მან დაყო ჰიგიენურ და მოტივაციის გამომწვევ ფაქტორებად.

ჰიგიენური ფაქტორებია, ანუ ე.წ. ჯანმრთელობის ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია გარემო პირობებთან, რომელშიც მუშაობა მიმდინარეობს. ტერმინი „ჰიგიენური“ ჰერცბერგმა სამედიცინო ტერმინოლოგიიდან ისესხა, სადაც იგი აღნიშნავს ისეთ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის შენარჩუნებას, თუმცა აუცილებელი არ არის, რომ მას აუმჯობესებდეს (სამედიცინო ტერმინოლოგიაში მოცემული განმარტების თანახმად).

ყველაზე მნიშვნელოვანი ჰიგიენური ფაქტორებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

- ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრაციის პოლიტიკა (კადრების მართვის წესები და პროცედურები);

- შრომის უსაფრთხოება;
- სასიამოვნო, კომფორტული სამუშაო პირობები;
- მისაღები განათება, კარგი გათბობა და გაგრილება და ა. შ.;

- მუშაობის გრაფიკი;
- შრომის ანაზღაურება;

- ანაზღაურებადი სადღესასწაულო დღეების არსებობა;
- ბიულეტენის არსებობა;
- ღონისძიებების გატარება სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სფეროში და სხვა სოციალური პროგრამების არსებობა;

- ურთიერთობები კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან;
- სამუშაოს უშუალო კონტროლის/ზედამხედველობის დონე.

პრაქტიკულად, ჰიგიენის ფაქტორები არასდროს არ იწვევს სრული კმაყოფილების გრძნობას და მასტიმულირებელ გავლენას არ ახდენს ადამიანის საქმიანობაზე. თუმცა, მათი არსებობის წყალობით შესაძლებელია უკმაყოფილების მდგომარეობის წინასწარგანჭვრეტა; მეორე მხრივ, თუ ეს ფაქტორები არ იარსებებს, ამან შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზაციის თანამშრომლებზე დაუკმაყოფილებლობის, უკმაყოფილების გრძნობა და გაღიზიანება. (2)

ზემოაღნიშნულ ჯგუფში შემავალი ფაქტორები ხელს უწყობს ისეთი მდგომარეობის შექმნას, როდესაც არ არსებობს სამუშაოთი უკმაყოფილება, როგორც ასეთი, მაგრამ როდესაც არც სამუშაოთი კმაყოფილება არსებობს (თუ დადებითი ჰიგიენური ფაქტორები არსებობს), ხოლო უარყოფითმა ჰიგიენურმა ფაქტორებმა კი, თავის მხრივ, შესაძლოა სამუშაოთი სრული უკმაყოფილება გამოიწვიოს.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარემო პირობები, რომელშიც მუშაობა მიმდინარეობს, არ შეიძლება მივიჩნიოთ მოტივაციის გამომწვევ ფაქტორად. ცხადია, ადამიანთა უმეტესობა სიამოვნებით იმუშავებდა სასიამოვნო გარემოში, მაგრამ ამ თეორიიდან გამომდინარე, სუფთა საამქრო, ან მოწესრიგებული სამუშაო ადგილი არ გამოდგება თავად იმ სამუშაოს შემცვლელად, საიდანაც ადამიანს შეუძლია კმაყოფილების, ან თავისი დამსახურებისა და მიღწევების საზოგადოებრივი აღიარების მიღება.

ამგვარად, ჰერცბერგის მიხედვით, ის დამსაქმებლები, რომლებიც თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას ხელფასის მომატებით ცდილობენ, საბოლოო ჯამში, იმედგაცრუებულები დარჩებიან, ვინაიდან მას შემდეგ, რაც თანამშრომლები

შეეჩვევიან ხელფასის ახალ დონეს, ისინი მას მიიჩნევენ ჰიგიენურ ფაქტორად. ამასთან, იმ მომენტიდან, როდესაც ხელფასის მომატება ხელფასის შემადგენელი რეგულარული ელემენტი გახდება, იგი მაშინვე შეწყვეტს ადამიანთა მოტივირებას. ადამიანის ფსიქოლოგია ისეთია, რომ მას უფრო მეტ მოტივაციას უქმნის რაღაცის ქონის სურვილი, ვიდრე ის ფაქტი, რომ ეს რაღაც მას უკვე აქვს.

მართალია, ხელმძღვანელი პირების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ კარგად გააზრებული მატერიალური წახალისების სისტემა თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლების საშუალებაა, სინამდვილეში ასე არ არის - ცხადია, წახალისების სისტემა ხელს შეუწყობს კმაყოფილების შეგრძნების შენარჩუნებას, მაგრამ კმაყოფილების მდგომარეობას ვერ შექმნის.

მოტივაციის გამომწვევი ფაქტორები, ანუ ე.წ. მოტივატორები უშუალოდ დაკავშირებულია თვითონ საქმიანობის/სამუშაოს არსსა და ხასიათთან. ეს ფაქტორები ხელს უწყობს სამუშაოთი ადამიანთა კმაყოფილების დონის ამაღლებას, განიხილება როგორც მოთხოვნილებების ცალკე ჯგუფი და ზოგადად შეიძლება ეწოდოს „ზრდის მოთხოვნილებები“.

ძირითად მოტივატორებად მიიჩნევა შემდეგი ფაქტორები:

- წარმატება;
- საზოგადოებრივი აღიარება - მიღწევების დაფასება;
- საქმიანობის საინტერესო შინაარსი;
- პროფესიული (კარიერული) ზრდის შესაძლებლობების არსებობა;
- პასუხისმგებლობის დონის გაზრდა;
- სამსახურებრივი მდგომარეობა (სტატუსი).

საზოგადოებრივი აღიარება ადამიანს თავისი თავის პატივისცემისა და საკუთარი ღირსების შეგრძნებას უჩენს. მაშასადამე, ხელმძღვანელმა მუშაკმა უნდა იცოდეს და გაითვალისწინოს, რომ აუცილებელია ხელქვეითის „შექება“/დაჯილდოება კარგად შესრულებული სამუშაოსთვის. კიდევ ერთი არსებითი მნიშვნელობის ფაქტორია თვითონ მუშაკის საქმე/სამუშაო/საქმიანობა. უნდა გვახსოვდეს, რომ მონოტონური სამუშაო ადამიანს კმაყოფილებას ვერ მოუტანს, ხოლო შემოქმედებითი და შინაარსით განსხვავებული საქმე, პირიქით, ხელს უწყობს პიროვნულ ზრდას და ხელს უშლის დაგვიანებებს, გაცდენებს, უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოს და ა.შ. გარდა ამისა, ბევრი ადამიანისთვის საუცხოო მოტივატორია კარიერული ზრდა/ზრდის შესაძლებლობა და დამატებითი პასუხისმგებლობა.

ამგვარად, ჰერცბერგმა კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მოტივაციის თეორიაში ასე ჩამოაყალიბა:

- სამუშაოთი კმაყოფილება და უკმაყოფილება ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი ფენომენებია, რომელთა გამოსახვა შესაძლებელია ორ - სხვადასხვა გრაფიკზე;

- არსებობს ფაქტორთა მთელი ჯგუფი, რომლებიც ზემოქმედებს პირველ გრაფიკზე - „სამუშაოთი კმაყოფილება - არ არსებობს სამუშაოთი უკმაყოფილება“ (მოტივაციის გამომწვევი ფაქტორები). ასევე არსებობს სხვა ფაქტორების ჯგუფი, რომლებიც ზემოქმედებს მეორე გრაფიკზე „სამუშაოთი უკმაყოფილება - არ არსებობს სამუშაოთი კმაყოფილება“ (ჰიგიენის ფაქტორები).

ჰერცბერგის მიერ „გამოყვანილი“ ფორმულა შემდეგი სახისაა:

- სამუშაო გარემო და შრომის პირობები + მოტივატორები = სამუშაოთი კმაყოფილების მდგომარეობა;

- სამუშაო გარემო და შრომის პირობები - მოტივატორები = არანაირი (ნულოვანი) ეფექტი.

ყოველივეზემოაღნიშნულიდან გასაგებია, რომ ამ თეორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ის, რომ ფედერკ ჰერცბერგმა გამოიტანა პარადოქსული დასკვნა იმის

შესახებ, რომ ხელფასი არ არის ის ფაქტორი, რომელიც ადამიანს მოქმედების მოტივაციას უქმნის. მან ჩატარებული გამოკვლევის შედეგებით დაადასტურა, რომ ადამიანისთვის მოტივაციის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები გარემო პირობები კი არ არის, არამედ ის შინაგანი ღირებულება და კმაყოფილება, რომელსაც ადამიანი იღებს თვითონ სამუშაოსგან. მაშასადამე, ადამიანის მოტივაციისთვის აუცილებელია, რომ თვითონ სამუშაო იყოს რთული, ჰქონდეს გამდიდრების შესაძლებლობები და საინტერესო იყოს მუშაკისთვის. მოტივაციის გამომწვევი კი სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც უშუალოდ მუშაობით (სამუშაოთი) მიღებულ კმაყოფილებასთან არის დაკავშირებული.

შესაძლებელია გარკვეული პარალელის გავლება ჰერცბერგის მოტივაციის ორი ფაქტორის თეორიასა და ა. მასლოუს მოთხოვნილებების პირამიდას შორის - ჰერცბერგის თეორიის ჰიგიენური მოთხოვნილებები მიესადაგება მოთხოვნილებების პირამიდის ქვედა დონეს, ხოლო მოტივაციის გამომწვევი ფაქტორები, შესაბამისად, მოთხოვნილებების ყველაზე მაღალ დონეს მოთხოვნილებების პირამიდაზე.

ჰერცბერგის მოტივაციის ორი ფაქტორის თეორია ახალი საფეხური იყო მენეჯმენტის თეორიაში - ჰერცბერგმა სრულიად ახლებურად წარმოაჩინა და ახსნა ადამიანთა მოტივაციის მექანიზმი შრომითი საქმიანობის პროცესში. მანამდე პერსონალის მოტივაციის ამაღლებისთვის მიმართავდნენ შრომის პირობების გაუმჯობესებას, ხელფასის გადიდებას, გარკვეული შეღავათების შემოღებას და სხვ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყურადღება არ ექცეოდა ჰიგიენის ფაქტორებს. მაგრამ ამგვარ მცდელობასა და გადაწყვეტილებებს აუცილებელი შედეგი არ მოჰქონდა, ვინაიდან ადამიანის მოტივაციაზე ისინი არანაირ გავლენას არ ახდენდა.

ჰერცბერგის მოტივაციის თეორიის შექმნის შემდეგ ბევრ ორგანიზაციაში დაიწყეს/სცადეს ჰერცბერგის თეორიის საბაზრო დებულებების რეალიზება და მათი ეფექტიანობა პრაქტიკით დადასტურდა.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, მართალია ბევრმა ორგანიზაციამ პრაქტიკაში წარმატებით გამოიყენა ჰერცბერგის მოტივაციის თეორია, მაგრამ ამ თეორიის მიმართ მაინც გაჩნდა ეჭვები და გამოითქვა გარკვეული შენიშვნები:

- მოტივაციის წყარო შეიძლება იყოს როგორც მოტივაციის გამომწვევი, ისე ჰიგიენის ფაქტორები, რაც დამოკიდებულია თითოეული კონკრეტული ადამიანის მოთხოვნილებებზე;

- მოტივატორების ხარვეზს შეუძლია სამუშაოთი უკმაყოფილების მდგომარეობის გამოწვევა, ხოლო პირიქით, საზრიანად, ჩამოყალიბებულ/განსაზღვრულ ჰიგიენურ ფაქტორებს - სამუშაოთი კმაყოფილების მდგომარეობის შექმნა, რაც დამოკიდებულია თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაზე;

- პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სამუშაოთი კმაყოფილების მდგომარეობა ყოველთვის არ იწვევს შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლების ამაღლებას, რაც სრულიად განსხვავდება ჰერცბერგის მოსაზრებიდან;

- მოტივაციის გაუმჯობესების/ამაღლების სისტემა უნდა შეიქმნას/შემუშავდეს ადამიანთა ქცევის ყველა შესაძლო თავისებურებისა და კონკრეტული გარემოს თავისებურებების გათვალისწინებით.

ყველაფერი ეს კი იმის დასტურია, რომ მოტივაცია უნდა განვიხილოთ, როგორც „აღბათური პროცესი“. იმან, რაც ერთ ადამიანს მოტივაციას შეუქმნის გარკვეულ სიტუაციაში, შეიძლება არანაირად არ იმოქმედოს მასზე სხვა სიტუაციაში, ან სხვა ადამიანზე ანალოგიურად სიტუაციაში.

ამგვარად, შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ - ფრედერიკ ჰერცბერგმა, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მენეჯმენტის თეორიაში და, კერძოდ, ადამიანის მოტივაციის შესწავლის/გაგების საკითხში, მაგრამ მან თავის თეორიაში არ გაითვალისწინა ბევრი ცვლადი (ფაქტორი), რომლებიც განსაზღვრავს

მოტივაციასთან დაკავშირებულ სიტუაციას.

ჰერცბერგის თეორიის „ნაკლოვანებებმა“, მოტივაციის გამომწვევი ფაქტორების „უკმარისობამ“ მოტივაციის შკალაზე, რომელსაც ჰერცბერგი გვთავაზობს, დასაბამი მისცა მეცნიერების ახალ გამოკვლევებს და მოგვიანებით განაპირობა პროცესის თეორიის აღმოცენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) როგორ ვმართოთ თანამშრომლები; მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო; ავტორთა კოლექტივი ვაჟა გურგენიძის ხელმძღვანელობით; თბილისი 2008 წ.

2) ჰერცბერგის მოტივაციის თეორია; წიგნი F1- „ბუღალტერი ბიზნესში“; ჟურნალი „Student accountant“, 2016 წ. ნოემბერი.

რეზიუმე

ფსიქოლოგიური მახასიათებლებით პერსონალის ქცევის მართვის ზოგიერთი ასპექტი

პერსონალის მართვისა და ადამიანური რესურსების განვითარების სისტემატიზებულ, მართებულ, კონცეპტუალურ მიდგომებსა და პრინციპებზე დაფუძნებული და სისტემური რეალიზების პროცესში მყოფი სტრატეგია და შესაბამისად პოლიტიკა აუცილებლად ეფუძნება ადამიანთა, როგორც სოციალური ფსიქოლოგიური ფაქტორებს, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ფსიქოფიზიოლოგიურ მახასიათებლებს, ეს უკანასკნელი კი ადამიანის მოტივაციაა!

ადამიანის ფსიქოლოგია ისეთია, რომ მას უფრო მეტ მოტივაციას უქმნის რაღაცის ქონის სურვილი, ვიდრე ის ფაქტი, რომ ეს რაღაც მას უკვე აქვს.

მოტივაციის გამომწვევი ფაქტორები, ანუ ე.წ. მოტივატორები უშუალოდ დაკავშირებულია თვითონ საქმიანობის/სამუშაოს არსსა და ხასიათთან. ეს ფაქტორები ხელს უწყობს სამუშაოთი ადამიანთა კმაყოფილების დონის ამაღლებას, განიხილება როგორც მოთხოვნილებების ცალკე ჯგუფი და ზოგადად შეიძლება ეწოდოს „ზრდის მოთხოვნილებები“.

მოტივაცია უნდა განვიხილოთ, როგორც „აღზარდული პროცესი“. იმან, რაც ერთ ადამიანს მოტივაციას შეუქმნის გარკვეულ სიტუაციაში, შეიძლება არანაირად არ იმოქმედოს მასზე სხვა სიტუაციაში, ან სხვა ადამიანზე ანალოგიურად სიტუაციაში.

SUMMARY

General Aspects of the Role of Psychology in Human Resources Management

The strategy and, accordingly, the policy built on the systemized, manageable, conceptual approaches and principles of human resource management and development and being in the system implementation process are always based on psycho-emotional factors of humans, the social medium, which, in general, create psychophysiological characteristics, and the latter is human motivation!

Human psychology is that the desire to have something motivates the human more than the fact that he already has something.

Motivation factors, i.e. the so called motivators are directly related to the essence and nature of the activity/work itself. These factors play a key role in increasing the human's satisfaction with the job and are regarded as a separate group of requirements or demands, and in general, can be called “increase requirements”.

Motivation should be considered as “the likelihood process”. What motivates one individual in a certain situation may not affect him or her in another situation, or another individual in the same or similar situations.

„აბრეშუმის გზა“ და კავკასია

ნინო ზაალიშვილი
ნინო გომართელი

22-23 ოქტომბერს თბილისში მუშაობა დაიწყო „აბრეშუმის გზის ფორუმმა“. ფორუმის პარალელურად ჩინეთიდან ევროპისკენ დაიძრა პირველი მატარებელი მარშრუტით: ბაქო-თბილისი-ყარსი. მატარებელს ჩინეთის ქალაქ სიანიდან აღნიშნული სარკინიგზო მაგისტრალის გავლით ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში მიაქვს საყოფაცხოვრებო ტექნიკით დატვირთულ 42 კონტეინერი. ყარსის მონაკვეთის გავლით ჩინეთიდან ტრანსკასპიური საერთაშორისო მარშრუტით წამოსული მატარებელი პირველია, რომელიც ბაქო-თბილისი-ყარსის გავლით და თურქეთის მარმარილოს ზღვის გვირგვინით ჩავა ევროპაში. ახალი სარკინიგზო მარშრუტის შუალედური სადგურია სტამბოლი, სადაც 5 ნოემბერს გაიმართა საზეიმო ცერემონიალი.

კავკასიაში ვაჭრობა მჭიდროდ უკავშირდებოდა როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის სავაჭრო გზებს. დასავლეთით შავი ზღვით შემოსაზღვრული, სამხრეთიდან წინა აზიის ცივილიზაციის მეზობელი, ჩრდილოეთით კი უძველესი დროიდან აღმოსავლეთისკენ მიმავალი სავაჭრო გზებისა და უკიდევანო სტეპების ერთმანეთთან დამაკავშირებელი კავკასია საუკუნეების განმავლობაში ჩართული იყო მსოფლიო სავაჭრო გზების ქსელში. ძველი ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, ფინიკია, ელადა, ძველი საბერძნეთი, ირანი, წინა აზია და ხმელთაშუა ზღვის სხვა რეგიონები საქონელს უმეტესწილად კავკასიაში აგზავნიდნენ (1.28).

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ აბრეშუმის ძაფის პარკიდან ამოხვევა და ქსოვილის დამზადება ჩინეთში ცნობილი გახდა დაახლოებით ძვ.წ. 2698 წლიდან. ჩინეთი-საგან მეაბრეშუმეობა შეისწავლა კორეამ, ხოლო ინდოეთში იგი დამოუკიდებლად განვითარდა. დაახლოებით ძვ. წ. 126 წლით თარიღდება ისტორიული ცნობები „აბრეშუმის დიდი გზის“ შესახებ. ამ გზით შედიოდა ჩინური აბრეშუმი შუა აზიის, ირანისა და საქართველოს გავლით ევროპაში.

ისტორიული მასალები (სტრაბონი, ვარონი, პლინიუსი) მოწმობს, რომ ევროპაში აბრეშუმის ქსოვილი პირველად გამოჩნდა ზ. წ. 46 წელს და იგი უაღრესად გამორჩეულ ფუ-ფუნების საგანს წარმოადგენდა. ჩინელების აბრეშუმის ქსოვილში მის წონა ოქროს იღებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი დაინტერესებული იყო ფართოდ გაეგრეცელებინა მსოფლიოში აბრეშუმის მზა ნაწარმი, აბრეშუმის წარმოების ტექნოლოგიას ისე მკაცრად იცავდნენ, რომ აბრეშუმის ძაფსაც კი არ ყიდიდნენ. ვახტანგ გორგასალმა აბრეშუმის გრენა შემოიყვანა ინდოეთიდან. არსებობს მოსაზრება, რომ ჩრდილოკავკასიაში მეაბრეშუმეობა VI საუკუნიდან გავრცელდა. ვფიქრობთ, კავკასიაში აბრეშუმი გაცილებით ადრე გამოჩნდა.

სტრატეგიულმა სავაჭრო გზებმა რეგიონის მნიშვნელობა საგრძნობლად გაზარდა, რამაც ეკონომიკური სტაბილურობა განაპირობა. საქართველოს „ოქროს ხანის“ პერიოდში ჩამოსულმა გენუელმა და ვენეციელმა ვაჭრებმა ქვეყანას ალებ-მიცემობის ახალი ჰორიზონტები გაუხსნეს, თუმცა, შავ ზღვაზე გასასვლელის მოსაპოვებლად აუცილებელი იყო ნებართვა ბიზანტიისაგან.

მონღოლთა გამოჩენამ ძლიერი დარტყმა მიაყენა კავკასიურ და იტალიურ ვაჭრობას, რის შედეგადაც განადგურდა აზერბაიჯანის (არანი, შირვანი), სომხეთისა და საქართველოს ყველაზე მდიდარი რაიონები, ქონებითა და სამრეწველო

საწარმოებით (განსაკუთრებით, ხალიჩებისა და აბრეშუმის საქსოვი საამქროები), ცნობილი ცენტრები გაუქმდა.

1453 წელს თურქების მიერ სტამბოლისა და მალე მთლიანად ბიზანტიის ხელში ჩაგდება, სრუტეებზე გაბატონებამ, იტალიელებს შავ ზღვაზე ფეხი ამოუკვეთა. თურქთა და იტალიელთ ინტერესები ამ რეგიონში გადაიკვეთა და მალე შავ ზღვაზე ვაჭრობის მონოპოლია თურქთა ხელში აღმოჩნდა.

სავაჭრო გზებს შორის აშკარად დომინირებდა ე.წ. „აბრეშუმის გზა“. აღნიშნული ტერმინი პირველად 1877 წელს გამოიყენა ცნობილმა გერმანელმა გეოგრაფმა ფერდინანდ ფრეიჰერ ფონ რიხტჰოფერმა (2,7). აბრეშუმის გზა პირველად გაიხსნა ძვ. წელთაღრიცხვის II საუკუნის მიწურულს. ეს იყო მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების ქსელი, რომლითაც სარგებლობდნენ აღმოსავლეთში წარმოებული აბრეშუმისა და სხვა ძვირფას ნაკეთობათა აღმოსავლეთიდან დასავლეთში გატანის მსურველნი. შუა საუკუნეებში აბრეშუმი სიმდიდრის სიმბოლოდ ითვლებოდა. დიდი აბრეშუმი გზის საკვანძო ადგილების ხელში ჩაგდებით დაინტერესებულნი იყვნენ თურქი ტომები, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა მათი კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში შემოჭრა.

შუა საუკუნეებში აბრეშუმი სიმდიდრის სიმბოლოდ ითვლებოდა. ჩინეთისა და შუა აზიის მმართველების, ბიზანტიელი კეისრების, სასანიანი შაჰების, აზიის წარჩინებულთა სადღესასწაულო ტანსაცმელი ძირითადად აბრეშუმისაგან მზადდებოდა. ქსოვილი ფართოდ გამოიყენებოდა დიდებულთა სამოსის, წმინდა წერილთა შესანახად, წმინდა ნაწილების ზარდახმებისათვის, სამსხვერპლოებზე გადასაფარებლად და სხვ. აბრეშუმის გზა სხვადასხვა კულტურების ერთმანეთთან დაახლოებას უწყობდა ხელს (3,9). ასევე, ამ გზით გადაჰქონდათ სხვადასხვა აღმსარებელთა მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშები. რელიგიური აღმსარებლობის ლიტერატურა სწორედ ამ გზით აღწევდა შორეულ ქვეყნებამდე და სწორედ იქ ხდებოდა თარგმანები სხვადასხვა ენებზე. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სავაჭრო გზების ცვლილებათა მიუხედავად, აბრეშუმი მუდამ მნიშვნელოვან ნედლეულს წარმოადგენდა, რის გამოც „დიდი აბრეშუმის გზა“ 1500 წლის განმავლობაში სისხლმარღვთა მსგავსად კვებავდა მსოფლიო ვაჭრობის მთავარ არტერიებს (3,11).

დღეისათვის მეცნიერები გამოყოფენ აბრეშუმის გზის სამ ძირითად მარშრუტს: 1. სახმელეთო, ანუ ძირითადი გზა – დიდი აბრეშუმის გზა – ახლო და ცენტრალური აზიის უდაბნოებზე და უღელტეხილებზე (ყველაზე რთულს პამირის მთები წარმოადგენდა) გამავალი გზა; 2. საზღვაო გზა, ანუ სამხრეთის გზა – იწყებოდა ხმელთაშუა ზღვის ნაპირებიდან და გადიოდა წითელი ზღვით ინდოეთის ოკეანემდე. აქედან გზა იყოფოდა ორ მიმართულებად: პირველი გადიოდა სამხრეთით ინდოეთის ნახევარკუნძულისაკენ, ჩრდილო-დასავლეთით რომაელთა მიერ აგებულ ნავსადგურებამდე, აქედან კი გადიოდა ხმელეთზე, უღელტეხილების გავლით ჩრდილოეთის მიმართულებით, სადაც უერთდებოდა ძირითად აბრეშუმის გზას. მეორე გზა შავი ზღვიდან შემოუვლიდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას და მიემართებოდა აღმოსავლეთისაკენ. ზღვით მოგზაურობა რთული იყო სპეციალური ხელსაწყოების გარეშე, რასაც ემატებოდა მუსონები, საფრთხე მეკობრეთა მხრიდან, რაც დამატებით სირთულეებს უქმნიდა ვაჭარ-მოგზაურებს. მესამე გზა, ე.წ. ჩრდილოეთის ანუ „სტეპების გზა“ იწყებოდა ხმელთაშუა ზღვიდან – შავი ზღვის მიმართულებით აზოვის, ყირიმის შავი ზღვის ბიზანტიური კოლონიების გავლით და გრძელდებოდა სახმელეთო გზით. მოგვიანებით ვაჭრებმა დაიწყეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კავკასიის ნავსადგურების გამოყენება. მესამე – ჩრდილოეთის გზა გაივლიდა რუსეთის სამხრეთს, ჩრდილო კავკასიის მთისწინეთს, ურალს, სამხრეთ

ციმბირს, ალტაის სტეპებს, ტიანშანის მთიანეთის ჯუნგარის ღრმულს და მიდიოდა ჩინეთამდე (4, 39-41).

მსოფლიოში ცნობილმა დამპყრობელმა თემურ ლენგმა გარკვეული როლი ითამაშა XIV საუკუნის ისტორიაში. იგი არ მალავდა რომ მის მიერ კავკასიაში განხორციელებული ლაშქრობების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა „აბრეშუმის გზაზე“ კონტროლის მოპოვება. მას ძირითადად სურდა სამხრეთის გზის ხელში ჩაგდება, რის გამოც შავი და კასპიის ზღვებზე არსებული სანაპირო ქალაქებზე გამავალი ჩრდილოეთის გზის ჩაკეტვის მიზნით, დაარბია მნიშვნელოვანი ცენტრები: ურგენჩი, სარი ბერქე, ასტრახანი, აზოვი... ეკონომიკის და ვაჭრობის გამოცოცხლების მიზნით ააღორძინა ქალაქი სამარყანდი (5, 37).

ბიზანტიის დაცემის შემდეგ თურქ-ოსმალური პოლიტიკური გავლენა შავი ზღვის რეგიონსა და მთელ კავკასიაში საგრძნობლად გაიზარდა. XV საუკუნის შემდეგ ვაჭრები იწყებენ ახალი სავაჭრო გზების ძიებას. სავაჭრო გზებმა თანდათან ხმელთშუა ზღვის აუზიდან ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეებისკენ, ნაწილობრივ კი ჩრდილოეთისაკენ (ბალტიისა და თეთრი ზღვები) გადაინაცვლა.

XXI საუკუნის დასაწყისში ერთხანს მივიწყებული მარშრუტი იძენს დიდ მნიშვნელობას, რათა მისი მდიდარი ისტორიულ-კულტურული გამოცდილების გათვალისწინებით შეიქმნას ურთიერთობისა და თანამშრომლობის, ახლებური, ოპტიმალური ფორმა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, გაიმართოს კულტურათა დიალოგი, რომელიც უფრო დააკავშირებს კულტურებსა და ცივილიზაციებს და უთუოდ ჰარმონიულს გახდის სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა ურთიერთგამდიდრების, მშვიდობიანი თანაარსებობის პროცესს. ქართული კულტურა ისეთ უძველეს კულტურათა რიგშია, რომლებიც მსოფლიო ცივილიზაციის ხერხემალს ქმნის. დღევანდელი პო-ლიტიკური რეალიების გათვალისწინებით საქართველოს საშუალება ეძლევა სრულად გამოავლინოს ქართველ ერში დაგროვილი სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი, ახლებურად წარმოაჩინოს მსოფლიოში ქართული ფენომენი.

„აბრეშუმის დიდი გზის“ აღორძინების იდეა აღემატება წმინდა ეკონომიკურ ჩარჩოებს და არანაკლებ პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. ჩვენი ქვეყნისათვის იგი გარკვეულწილად პოლიტიკური სტაბილიზაციის მყარი გარანტი უნდა გახდეს. მან ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს, როგორც „აბრეშუმის დიდი გზის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის ღირსეულ წარმოჩენას თანამედროვე სამყაროს წინაშე, როგორც უმდიდრესი ფოლკლორის, მრავალფეროვანი ტრადიციებისა და დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყნისა, რომელიც თავისი უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური მდებარეობით ყოველთვის ინტენსიურ კავშირში უნდა იყოს გარესამყაროსთან.

დიდია შესაძლებლობა იმისა, რომ თანამედროვე „აბრეშუმის მაგისტრალი“ იქცეს იმ გზად, რომელიც რეგიონულ პოლიტიკურ წინააღმდეგობებს ურთიერთხელსაყრელ ინტე-რესებამდე მიიყვანს, ვინაიდან კულტურული ურთიერთობები ყოველთვის იყო და იქნება ქვეყნებსა და ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის გარანტი. ცივილიზაციათა დიალოგი წარმოუდგენელია კულტურათა დიალოგის გარეშე. მხოლოდ კულტურათა მრავალგვარობასა და მათ დაახლოებას შეუძლია იხსნას მსოფლიო სულიერების დეფიციტისაგან, რაც ტექნიკის საუკუნემ მოიტანა. ახლა დადგა ის დროს, როდესაც პოლიტიკოსებმა და სახელმწიფოებმა ხალხებს შორის ურთიერთობათა მოგვარების ნაცად პოლიტიკურ ხერხებთან ერთად კულტურათა დიალოგს მიმართონ. კაცობრიობა სულ უფრო მეტად აღიქმება ღია კულტურულ სივრცედ, რომელშიც კულტურულ ღირებულებებს ჯერაც არ დაუკარგავთ

ზოგადსაკაცობრიო შინაარსი და იმავდროულად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს თითოეული კულტურის ეროვნული თვითმყოფადობის საკითხი, ხოლო კულტურათა განვითარება ურთიერთგამდობის ნიშნით მიმდინარეობს.

საქართველო იყო, არის და დარჩება გახსნილი ჭიშკარი, მასპინძელი და შემაკავშირებელი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლორთქიფანიძე ო., ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968; იხ. აგრეთვე: ლორთქიფანიძე ო., ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანსპორტო-სავაჭრო გზის შესახებ, იხ.: საქ. მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. XIX, N 3, 1975
2. გოილაძე ვ., „აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო“, თბ., 1997
3. აბესაძე ნ., მეაბრეშუმეობა საქართველოში, თბ., 1997
4. „აბრეშუმის დიდი გზა“, იხ.: „ჟურნ.: „კვალი“, N2, თბ., 1999.

SUMMARY

The history of trade in the Caucasus was closely related to geographical location. To the west bounded by the Black Sea, from the north neighboring previous Asian civilization, from the ancient period, connecting each other with trade routes and unlimited steppes of the Caucasus has been involved in the World Trade Network for centuries. Ancient Egypt, Babylon, Assyria, Phoenicia, Classical Elada, Ancient Greece, and Iran as well as previous Asian and other Mediterranean regions sent their goods to the Caucasus; they were selling and left goods far away in neighbor countries.

The importance of the region was due to strategic trade routes. This was a guarantee of economic stabilization, which resulted in large and rich urban settlements.

Genoa and Venetian merchants during the “Golden Age” of Georgia opened new horizons of trade to the country, but the Byzantine permission was necessary to enter the Black Sea.

The Mongols made a strong blow to Caucasian and Italian trade. The army of commanders of Genghiz Khan, Jebesse and Subutai destroyed the richest regions of Azerbaijan (Arran, Shirvan), Armenia and Georgia. These countries, known by their property and industrial enterprises (especially, factories of knitting of carpets and silk) have become ruins.

After the conquest of Istanbul and straits by Turkey, in 1453, it became clear that the Italians could not stop at the Black Sea, because the Turks regarded the Black Sea as their internal waters. It that way, the interests of the Turks and the Italians counteracted each other. As a result, during the period of Sultan Muhammad Fatih trade in the Black Sea was fully owned by the Turks.

The term “silk road” was first used in 1877 by the famous German geographer Ferdinand Freher von Richhofen. The Silk Road, which was first opened in the end of the second century BC and has a 2000 year-old past, this is a network of merchandise which was used by the east and west of the silk an other valuables manufactured in the East.

In the middle Ages silk was a symbol of wealth. The festive apparel of the Chinese and Central Asian rulers, Byzantine Caesar, Sassan Shah, Asian noblemen and wealthy men were made from silk. In Europe and Byzantine silk was used for the dressing-gowns of the wealthy

men, for the storage of letters, for the shells of sacred parts, to cover the altars. The Silk Road made the different cultures closer.

In this way, they also transfer art models created by different confessors. Religious books have reached the distant places and translated into different languages.

During the long history, besides the changes of the trade roads, Silk was always an important product. Because of this, the “Great Silk Road” for 1500 years, as blood vessels, fed up with world trade, and this name is most clearly reflection of the situation

Nowadays, scientists divide three main routs of the Silk Road: 1. Land of main road – The Great Silk Road, the road to the Middle and Central Asia deserts and passes (the most difficult is the Pamir Mountains); 2. The sea route of the southern road, starting from the Mediterranean Sea, then the Red Sea, to the Indian Oceans. Here the road is divided into two directions. The first road passes south to the Indian peninsula, from the north-west to the ports built by the Romans. From here goes on land, it passes through the passes to the north and joins the main silk road. The second branch crosses the south-east Asia and goes to the east. Without the travel tools. With the help of monsoon, marine journeys were also endangering the pirates and making the travel difficult; 3. The North Road (sometimes called The Road of Steppes) – It starts from the Mediterranean Sea to the Black Sea, passing by Azov, Crimea and the Black Sea antique (later Byzantine) colonies (Hereafter began to use the ports of the Caucasus Sea in the eastern coast of the Black Sea) and continues to Land. The road will pass through the Russian south, the foothills of the North Caucasus, the Urals, the South Siberia, the Alta Steps, The Hollow of Dzungaria of Himalayas, and goes to China.

ADAPTIVE PROJECT MANAGEMENT FOR MANAGEMENT OF CHANGES IN THE BUSINESS ABSTRACT

Irma Baratashvili

Doctor of Business Administration (PhD), Associated Professor of
Georgian Technical University,

Maria Kldiashvili

The Doctoral Student of Georgian Technical University,

Keywords: Project management, Agile, Adaptive Methods, Business environment, Scrum

Introduction

According to Macmillan Dictionary, project is a a planned piece of work that has a particular aim, especially one that is organized by a government, company, or other organization. According to the PMBOK (Project Management Body of Knowledge) 3rd edition, A project is defined as a “temporary endeavor with a beginning and an end and it must be used to create a unique product, service or result”. Further, it is progressively elaborated. What this definition of a project means is that projects are those activities that cannot go on indefinitely and must have a defined purpose. A project is an activity to meet the creation of a unique product or service and thus activities that are undertaken to accomplish routine activities cannot be considered projects. The phases of a project make up the project life cycle. It is convenient for the project managers to divide the project into phases for control and tracking purposes. Each milestone at each stage is then elaborated and tracked for completion. The basic phases of a project are dependent on the kind of project that is being carried out. For instance, a software project may have requirement, design, build, test, implementation phases whereas a project to build a metro or a building may have different names for each phase. Thus, the naming of the phases of a project depends on the kind of deliverables that is sought at each phase. For the purpose of definition, the phases may be divided into initial charter, scope statement, plan, baseline, progress, acceptance, approval and handover. This classification is according to the PMBOK. Thus, the phases of a project are closely correlated with that of the project cycle. Successful project managers effectively manage changes. Change within the context of project management is anything that transforms or impacts projects, tasks, processes, structures, or even job functions. Fast development of technologies, information and innovations reflected into permanent changes in business environment and especially in project changes. Second, to meet customer- and market-specific demands, companies are increasing product’s complexity and product offerings. Being able to envision what a new product or the next product version should look like and do is essential for success. Envisioning the product results in the product vision—a sketch of the future product. The vision acts the overarching goal, galvanizing and guiding people, and is the product’s reason for being. Agile Software Development refers to a group of software development methodologies based on iterative development, where requirements and solutions evolve through collaboration between self-organizing cross-functional teams. Agile methods generally promote a disciplined project management process that

encourages frequent inspection and adaptation, a leadership philosophy that encourages teamwork, self-organization and accountability, a set of engineering best practices intended to allow for rapid delivery of high-quality software and a business approach that aligns development with customer needs and company goals.

Agile principles and values.

Agile is by no means critical of development methodologies developed in the 1970s and 1980s in response to the chaotic and unplanned approaches often used in the early days of software. In fact, 1970 to 1990 was largely when foundational theories and practices of software engineering came into being. In the early 1990s, as PC computing began to proliferate in the enterprise, software development faced a crisis. At the time, it was widely referred to as “the application development crisis,” or “application delivery lag.” Industry experts estimated that the time between a validated business need and an actual application in production was about three years. The problem was, businesses moved faster than that, even 25 years ago. Within the space of three years, requirements, systems, and even entire businesses were likely to change. That meant that many projects ended up being cancelled partway through, and many of those that were completed didn’t meet all the business’s current needs, even if the project’s original objectives were met. These frustrations around seemingly unproductive software development activities, which were shared by like-minded professionals, led to the now-famous Snowbird meeting in Utah in early 2001. But that wasn’t the first time this particular group of software leaders had met. They had gathered the year before, at the Rogue River Lodge in Oregon in the spring of 2000. This group included Kern, Extreme Programming pioneers Kent Beck and Ward Cunningham, Arie van Bennekum, Alistair Cockburn, and twelve others, all well known today in the agile community. According to agilemanifesto.org, the online home of the proclamation, the developers’ stated goal was not anti-methodology, but rather “to restore credibility to the word methodology.” The four core values of Agile software development as stated by the Agile Manifesto are:

- individuals and interactions over processes and tools;
- working software over comprehensive documentation;
- customer collaboration over contract negotiation; and
- responding to change over following a plan.

The 12 principles articulated in the Agile Manifesto are:

- Satisfying customers through early and continuous delivery of valuable work.
- Breaking big work down into smaller tasks that can be completed quickly.
- Recognizing that the best work emerges from self-organized teams.
- Providing motivated individuals with the environment and support they need and trusting them to get the job done.
- Creating processes that promote sustainable efforts.

- Maintaining a constant pace for completed work.
- Welcoming changing requirements, even late in a project.
- Assembling the project team and business owners on a daily basis throughout the project.
- Having the team reflect at regular intervals on how to become more effective, then tuning and adjusting behavior accordingly.
- Measuring progress by the amount of completed work.
- Continually seeking excellence.
- Harnessing change for a competitive advantage.

Agile, as outlined in the Agile Manifesto, is considered a philosophy, but there are other specific methodologies and frameworks that formalize many or all the ideas presented in the Agile Manifesto, for example:

- Agile modeling
- Adaptive software development (ASD)
- Agile Unified Process (AUP)
- Crystal Clear methods
- Disciplined agile delivery
- Dynamic systems development method (DSDM)
- Extreme programming (XP)
- Feature-driven development (FDD)
- Lean software development
- Kanban
- Rapid application development (RAD)
- Scrum
- Scrumban
- Other.

Scrum methodology.

Scrum is a process framework that has been used to manage complex product development since the early 1990s. Scrum is not a process or a technique for building products; rather, it is a framework within which you can employ various processes and techniques. Scrum is founded on empirical process control theory, or empiricism. Empiricism asserts that knowledge comes from experience and making decisions based on what is known. Scrum employs an iterative, incremen-

tal approach to optimize predictability and control risk

Transparency: significant aspects of the process must be visible to those responsible for the outcome.

Inspection: Scrum users must frequently inspect Scrum artifacts and progress toward a Sprint Goal to detect undesirable variances.

Adaptation: If an inspector determines that one or more aspects of a process deviate outside acceptable limits, and that the resulting product will be unacceptable, the process or the material being processed must be adjusted

The Scrum Team members learn and explore those values as they work with the Scrum events, roles and artifacts.

Roles: The Scrum Team consists of a Product Owner, the Development Team, and a Scrum Master. The Product Owner is responsible for maximizing the value of the product and the work of the Development Team. The Scrum Master is responsible for ensuring Scrum is understood and enacted. Scrum Masters do this by ensuring that the Scrum Team adheres to Scrum theory, practices, and rules. The Scrum Master is a servant-leader for the Scrum Team. Development Teams are structured and empowered by the organization to organize and manage their own work. They are self-organizing and cross-functional. The resulting synergy optimizes the Development Team's overall efficiency and effectiveness.

Events: The heart of Scrum is a Sprint, a time-box of one month or less during which useable, and potentially releasable product Increment is created. Sprints contain and consist of the Sprint Planning, Daily Scrums, the development work, the Sprint Review, and the Sprint Retrospective. Sprint Planning answers the following:

- What can be delivered in the Increment resulting from the upcoming Sprint? - How will the work needed to deliver the Increment be achieved? The Daily Scrum is a 15-minute time-boxed event for the Development Team to synchronize activities and create a plan for the next 24 hours. The Development Team uses the Daily Scrum to inspect progress toward the Sprint Goal and to inspect how progress is trending toward completing the work. During the Sprint Review, the Scrum Team and stakeholders collaborate about what was done in the Sprint. Based on that and any changes to the Product Backlog during the Sprint, attendees collaborate on the next things that could be done to optimize value. The Sprint Retrospective occurs after the Sprint Review and prior to the next Sprint Planning. The purpose of the Sprint Retrospective is to inspect how the last Sprint went with regards to people, relationships, process, and tools;




Figure1. Scrum methodology structure

Artifacts: artifacts defined by Scrum are specifically designed to maximize transparency of key information so that everybody has the same understanding of the artifact. The Product Backlog is an ordered list of everything that might be needed in the product and is the single source of requirements for any changes to be made to the product. The Product Owner is responsible for the Product Backlog, including its content, availability, and ordering. The Sprint Backlog is the set of Product Backlog items selected for the Sprint, plus a plan for delivering the product Increment and realizing the Sprint Goal. The Sprint Backlog is a forecast by the Development Team about what functionality will be in the next Increment and the work needed to deliver that functionality into a Increment.

Monitoring Sprint Progress

At any point in time in a Sprint, the total work remaining in the Sprint Backlog can be summed. The Development Team tracks this total work remaining at least for every Daily Scrum to project the likelihood of achieving the Sprint Goal. By tracking the remaining work throughout the Sprint, the Development Team can manage its progress




Figure 2. Monitoring of sprint progress

Implementation of Scrum

First and the most important part of Scrum implementation is definition of the goal, and purpose of implementation. That can be:

- Quicker release of useable product to users and customers
- Higher quality
- Higher productivity
- Lower costs

- Greater ability to incorporate changes as they occur
- Better employee morale
- Better user satisfactio
- Being able to complete complex projects that previously could not be done

According to the goals, implementation team is structured and changes are implemented step by step.




Figure 3. Scrum implementation process

Agile results – state of Scrum report

In February 2015, Scrum Alliance surveyed almost 5,000 people about their use of Scrum. The survey respondents make up a diverse group, representing 108 countries and more than 14 industries. They reflect a range of functional areas, including IT software development, product development, operations, human resources, executives, and sales and marketing. Most have a technology slant, with 44% working in software development and 33% in IT. And they’re an Agile-savvy group, involved in an average of 4 Agile projects in the last 12 months.

From the survey results, we see that Scrum is becoming an increasingly popular and in-demand framework. In fact, nearly half the respondents report that Scrum is being used 50% or more of the time in their organizations, and 29% of respondents report it’s used much more frequently than that. The overall success rate of projects delivered using Scrum is 62%. Teams of the recommended size for Scrum — 4 to 9 members — report the most frequent success, while smaller and larger teams both report less frequent success. Respondents globally report using Scrum 40%-49% of the time. Respondents from North America and Asia report practicing Scrum most often. Europe and Australia report the highest Scrum project success rates. Organizations in the Middle East and North Africa report the lowest Scrum project success rates. In Georgia, during the last 3 years three from Agile methodologies are presented. That are: Scrum, Kanban, Lean. Within the scope of research, 53 company working in finance and technologies or related field, states that they are using or planning implementation of Scrum methodology (that are banks, insurance, gambling, fintech, etc.). Usually period of implementation varies from 4 to 12 months. And on top of 1 year of using it gives 25-45% increase of effectiveness.

6 month experiment was performed by authors within consultancy project. Short information about company where experiment took the place: field – fintech; number of employee - 30; number of ongoing project -3; number of finished project – 0; period of consultancy project - 01.11.2018 – 01.04.2019; problem detected by top-managers – lack of proper qualification in company and resistance to changes. In accompany to other organizational changes, consultants recommended implementation of Scrum methodology for projects. Appropriate trainings deliv-

ered to the staff, team building activities and discussion of problems from perspective of the staff, then coaching sessions performed and Scrum methodology, adopted on company needs piloted. As results, on cap of the first month, team players started better communication with each other, they learned more about different fields problems (for example marketing and IT departments), motivation increased and efficiency increased as well. During the las month of consulting company was ready to pilot first commercial product.

Conclusion

Agile is an iterative approach to project management and software development that helps teams deliver value to their customers faster and with fewer headaches. Instead of betting everything on a “big bang” launch, an agile team delivers work in small, but consumable, increments. Requirements, plans, and results are evaluated continuously so teams have a natural mechanism for responding to change quickly. Agile, as outlined in the Agile Manifesto, is considered a philosophy, but there are other specific methodologies and frameworks that formalize many or all the ideas presented in the Agile Manifesto. Scrum is the one of them. Scrum is a framework that helps teams work together. Much like a rugby team (where it gets its name) training for the big game, Scrum encourages teams to learn through experiences, self-organize while working on a problem, and reflect on their wins and losses to continuously improve. While the Scrum is most frequently used by software development teams, its principles and lessons can be applied to all kinds of teamwork. This is one of the reasons Scrum is so popular. Often thought of as an agile project management framework, Scrum describes a set of meetings, tools, and roles that work in concert to help teams structure and manage their work. Scrum crosses industries, functional areas, and regions around the world. Scrum practices are currently in place among 82% of respondents, and another 11% are piloting Scrum. IT and software development professionals continue to be the primary users of Scrum, followed by product development and operations professionals. However, other departments use it as well, including research and development, sales and marketing, finance/accounting, human resources, and more.

Scrum success is increasing - the overall success rate of projects delivered using Scrum is 62%. In Georgia, during the las 3 years three from Agile methodologies are presented. That are: Scrum, Kanban, Lean. Within the scope of research, 53 company working in finance and technologies or related field, states that they are using or planning implementation of Scrum methodology (that are banks, insurance, gambling, etc.). Usually period of implementation varies from 4 to 12 months. And on top of 1 year of using it gives about 25-45% increase of effectiveness.

References:

1. A Guide to the Project Management Body of Knowledge (PMBook Guide) Sixth Edition Paperback, 2016;

2. Ken Schwaber and Jeff Sutherland, Scrum-Guide-US (2017);
3. Pichler, Roman, Agile product management with Scrum, (2010);
4. Managing Innovation: Integrating Technological, Market and Organizational Change, 4th Edition - Joe Tidd, John R. Bessant (2009);
5. Melissa Schilling: Strategic Management of Technological Innovation, McGrawHill, International Edition (2011)
6. <https://agilemanifesto.org/iso/ka/manifesto.html> (25.05.2019)
7. <https://www.scrum.org/professional-scrum-competencies> (25.05.2019)
8. <https://www.scrumalliance.org/ScrumRedesignDEVSite/media/scrumalliancemedi/files%20and%20pdfs/state%20of%20scrum/scrum-alliance-state-of-scrum-2015.pdf> (2019)

Abstract

We change the world by managing projects. According to Project Management Institute, a project is temporary in that it has a defined beginning and end in time, and therefore defined scope and resources. And a project is unique in that it is not a routine operation, but a specific set of operations designed to accomplish a singular goal. So a project team often includes people who don't usually work together – sometimes from different organizations and across multiple geographies. The development of software for an improved business process, the construction of a building or bridge, the relief effort after a natural disaster, the expansion of sales into a new geographic market — all are projects. Project Management quality depends on many factors and areas of knowledge. One of them is - managing of changes. Change is an inevitable part of life. Change is also an important part of a business life; it allows a business to adapt to its environment and to improve its market position. Change is something that affects all business and therefore all project managers must prepare their personnel and processes for change. It means implementation of new methods and methodologies in order to adapt the changes. In Georgia during the last 3 years, agile methodologies were deployed by startups, banks, insuring and other big companies. That are: Scrum, Kanban and Lean.

ექსტრემალური ტურიზმის საწყალოსნო სახეები

თამარ ბუკია-ვერულაშვილი
შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პროფესორი

საერთაშორისო ტურიზმი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. ახალი ათასწლეულის დაწყება აღინიშნა არა მხოლოდ საერთაშორისო ტურისტული მოძრაობის გაზრდით, არამედ ახალი ტენდენციებითაც ამ დარგის განვითარებაში. სტატისტიკა მეტყველებს ტურიზმის განვითარების მყარ ტემპებზე. 1950 წელს ტურისტთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 25 მლნ-ს, ხოლო შემოსავლები ტურიზმიდან - 2,1 მლრდ აშშ დოლარს. 1987 წელს მტო-ს მონაცემების მიხედვით ეს მაჩვენებლები იყო, შესაბამისად, 363 მლნ ტურისტი და 150 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო 2000 წელს - 698 მლნ ტურისტი და 476 მლრდ აშშ დოლარი.

2002 წელს ტურისტთა საერთო რაოდენობამ მსოფლიოში შეადგინა 702 მლნ, შემოსავლებმა ტურიზმიდან - 474 მლრდ აშშ დოლარი, 2010 წელს - 940 მლნ ტურისტი და შემოსავლებმა ტურიზმიდან - 919 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო 2017 წელს - 1.322 მლნ ტურისტი და შემოსავლებმა ტურიზმიდან 1.220 მლრდ აშშ დოლარზე მეტი.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ცვლილებები ტურისტულ ბაზარზე, ახალი ტრენდების (მიმართულებების) წარმოქმნა საერთაშორისო ტურიზმის დინამიურად განვითარებად დარგებში. ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მთავარ თავისებურებად ითვლება ტურისტული ნაკადების არათანაბარი განაწილება მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის. ტურისტული ნაკადები კონცენტრირებულია მხოლოდ რამდენიმე რეგიონში, ხოლო მათ მოძრაობას აქვს, ძირითადად, ინტარეგიონალური ხასიათი. დღეისათვის აღინიშნება ტურისტული ნაკადების შემდეგი პროპორციები: საერთაშორისო ტურისტთა მხოლოდ 25-35 % მოგზაურობს ჯგუფურად. მოგზაურთა 65-75 %-ს შეადგენენ ინდივიდუალური ტურისტები, რომლებიც ძირითადად მიემგზავრებიან ახლომდებარე ქვეყნებში.

XX საუკუნის ბოლოს განვითარება დაიწყო სათავგადასავლო ტურიზმმა, რომელიც აერთიანებს ნებისმიერი სახის მოგზაურობას, დაკავშირებულს გადაადგილების ნებისმიერ საშუალებასთან და დასვენებასთან ბუნების წიაღში. სათავგადასავლო ტურიზმის მიზანია ახალი შთაბეჭდილებების მიღება, ტურისტთა ფიზიკური ფორმის გაუმჯობესება და ასახალი სპორტული შედეგების მიღწევა. ტურიზმის სპეციალურ სახეებს მიეკუთვნება სათავგადასავლო ტურიზმის ერთ-ერთი სახესხვაობა, კერძოდ კი - ექსტრემალური ტურიზმი, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იძენს, - სულ უფრო მეტი ადამიანია დაინტერესებული, გაეცნოს წყალქვეშა სამყაროს ზღაპრულ სილამაზეს, თხილამურებით დაემშვას დათოვლილი მწვერვალებიდან ან გადმოხტეს პარაშუტით და განიცადოს ფრენის საოცარი შეგრძნება.

როგორც ექსტრემალური ამბობენ, „საკმარისია ერთხელ გამოს-ცადოთ და შეიგრძნოთ ექსტრემით გამოყოფილი ადრენალინი, და იგი იქცევა თქვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად.

ჩვენ აქ განვიხილავთ ექსტრემალური ტურიზმის საწყალოსნო სახეობებს.

აკვაბაიკი (ანუ წყლის მოტოციკლეტი) - ეს არის რბოლა ჰიდროციკლებით. მისი წარმოშობის სამშობლო - ამერიკაა. არსებობს აკვაბაიკის სამი სახეობა: წრიული რბოლა, ფრისტაილი და სლალომი. მათ შორის ყველაზე ლამაზი და ეფექტურია

ფრისტაილი. სპორტსმენები ასრულებენ მეტად რთულ და სახიფათო ილეთებს.

დაივინგი (ყვინთვა და წყალქვეშა ცურვა) – ექსტრემალური ტურიზმის ძალზე პოპულარული სახეობაა. დაივინგისთვის მომზადება და სრული აღჭურვილობის შექმნა ახალბედებს დაუჯდებათ დაახლოებით 1000 \$. დამატებით გადასახდელი ექნებათ ტურპაკეტის ღირებულებაც. თუ აღჭურვილობას არ შეიძენენ, ეს 250 \$-ით ნაკლები დაუჯდებათ, მაგრამ მყვინთავის კოსტუმის, აკვალანგისა და სხვა აუცილებელი ნივთების დაქირავება დღეში 30–40 \$ ჯდება. ის, ვინც ტურიზმის ამ სახეობის ჭეშმარიტი მოყვარულია და მხოლოდ ერთჯერადად არ აპირებს სპორტის ამ სახეობაში მონაწილეობას, მას ურჩევნია ხარისხიანი აღჭურვილობის შექმნა, რომელიც 1500 \$-ზე მეტი ღირს. დაივინგის საშუალო ასაკი 30–36 წელია. ტურიზმის ეს სახეობაც ელიტარულ ტურიზმს მიეკუთვნება. უნდა აღინიშნოს, რომ შავი ზღვა არც თუ სახარბიელო ადგილია დაივინგისთვის, რადგან აქ 50 მ-ის ქვემოთ ფაქტიურად აღარ არის სიცოცხლე. დაივინგებს ურჩვნიათ ყვინთვა და ცურვა წითელ ზღვაში, ან თუნდაც ხმელთაშუა ზღვაში. ამიტომ ისინი სპეციალურად მიემგზავრებიან შარმ–ელ–შეიხში ან სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიაში, სადაც მათ წარმოუდგენელი სილამაზის წყალქვეშა სამყაროს ხილვა ელოდებათ. რაც უფრო ღრმად ჩადიხარ, მით უფრო საინტერესო და ამოუცნობია ზღვის სამყარო. წყალმცენარეებთან და ზღვის მობინადრეებთან ერთად ასევე ძალიან საინტერესოა ჩადირული გემებისა და თვითმფრინავების დათვალიერება. ამასთან ყვინთვა ავარჯიშებს სხეულის მთავარ კუნთებს, აუმჯობესებს ფილტვების მუშაობას, ხელს უწყობს ინდივიდის განტვირთვასა და კმაყოფილებას. ჯერ კიდევ უძველეს დროში, როცა ზღვამ ნაპირზე ნიჟარები და სხვა საინტერესო საგნები გამოორიყა, ადამიანი დაინტერესდა თუ რა საიდუმლოება იმალებოდა ზღვის ფსკერზე. პირველი ცნობები წყალქვეშა ცურვის შესახებ ძვ.წ 168 წლით თარიღდება, როცა მაკედონიაში მყვინთავებმა მეფე ფერსეუსის მიერ ზღვაში გადაყრილი განძის დაბრუნება გადაწყვიტეს.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი დაინტერესებისა, დაივინგი როგორც სპორტი, მხოლოდ გასულ საუკუნეში გახდა პოპულარული. XX ს. 30-იან წლებში წყალქვეშა ცურვისათვის არსებითი მრავალი ელემენტი განვითარდა.

დაივინგის უამრავი სახეობა არსებობს: ავტონომიური, არაავტონომიური, მოხალისეთა, სამკურნალო და სხვა. მოხალისეთა ყვინთვის მიზანია დასვენება. იგი სრულდება ინსტრუქტორების თანხლებით და თავის მხრივ გულისხმობს ყვინთვის ისეთ სახეობებს, როგორცაა წყალქვეშა ნადირობა, წყალქვეშა ფოტოგრაფია, ორიენტალური ყვინთვა კომპასით და სხვა.

საქართველოში დაივინგი საკმაოდ პოპულარული და განვითარებულია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე წყალქვეშა ცურვა შესაძლებელია სარფში, კვარიათში, ციხისძირსა და პალიასტომის ტბაზე.

ვეიკბორდინგი– ექსტრემალური სპორტის ასევე ძალზე პოპულარული სახეობაა. ის წარმოადგენს წყლის თხილამურების, სნოუბორდის, სკეიტისა და სერფინგის კომბინაციას. კატერს ბუქსირით მიჰყავს რეიდერი, რომელიც დგას მოკლე და განიერ ფიცარზე. მოძრაობს რა 30–40 კმ/სთ სიჩქარით, კატერი წარმოქმნის ტალღას, რომელსაც რეიდერი ტრამპლინით იყენებს. ხტომის დროს შესაძლებელია უამრავი რთული ილეთის შესრულება. ვეიკბორდინგის სრული აღჭურვილობის ფასი 400 \$-ზე მეტია. ამასთანავე საჭიროა სპეციალური კატერებიც, რომლებიც საკმაოდ სოლიდური თანხა ჯდება. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ვეიკბორდინგისტა რაიდენობა ძალიან მცირეა და მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიო მოსახლეობის ელიტარულ ნაწილს შეუძლია სპორტის ამ სახეობით გართობა.

ვინდსერფინგი – (იალქნიანი სერფინგის დაფით სრიალი წყალზე ქარის

საშუალებით) იალქნიანი სპორტის ერთ–ერთი სახეობაა. ჩაისახა აშშ–ში, 1968 წელს. ვინდსერფინგის დაფა წარმოადგენს კარბონოპლასტიკისგან გაკეთებულ ოვალურ დაფას, რომელზეც დრეკადი სამაგრითაა მიმაგრებული მცირე ზომის იალქანი. ვინდსერფინგის აღჭურვილობის ღირებულებაა 1700 \$ და მეტი.

იახტინგი (ცურვა იალქნიანი იახტით) – ექსტრემალური ტურიზმის ელიტარული სახეობაა, არისტოკრატიული სიამოვნება. იახტის იაფიტური და გიჯდებათ დაახლოებით 400 ევრო (ფასიერთი კვირის განმავლობაში). მაგრამ ასეთ ტურში არ გემსახურებათ შკიპერი (იახტის კაპიტანი). თუ იქირავებთ იახტას კაპიტანთან ერთად, მაშინ ასეთი ტურის ღირებულება იზრდება დღე–ღამეში 120 ევრომდე.

კაიაკინგი (სწრაფ მდინარეზე დაშვება სპეციალური ნავით, რომელსაც კაიაკი ეწოდება) – არის რაფტინგის ერთ–ერთი სახეობა, რომელიც ერთი ადამიანის მიერ სრულდება, – კაიაკში ზის მხოლოდ ერთი ადამიანი, თუმცა არსებობს ორადგილიანი კაიაკებიც, და ნიჩბოსნის საკმაოდ დიდ გამოცდილებას მოითხოვს.

კაიაკინგი ვითარდება სამი მიმართულებით: **სლალომი ნიჩბოსნობით, როდეო და დაცურება.**

სლალომის დროს ნიჩბოსანი უნდა გრძნობდეს ნავსა და წყალს. სლალომი სპორტის სახეობაა, რომლის დროსაც ნიჩბოსანმა მონიშნული ტრასა უნდა გაიაროს რაც შეიძლება მცირე დროში.

როდეო, სლალომისგან განსხვავებით, ნიჩბოსნისგან მოითხოვს არა მხოლოდ ვირტუოზულ ტექნიკას, არამედ თამაშის ელემენტებსაც, – კაიაკით სრულდება რამდენიმე ურთულესი ილეთი, მდინარის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

და ბოლოს, **დაცურება** – ეს არის წყალზე შესრულებული ლაშქრობა, როცა თითოეული ნიჩბოსანი მის კუთვნილ კაიაკში ზის, მაგრამ დაცურებაში მონაწილეობს ერთდროულად რამდენიმე კაიაკი.

კაიაკერის ეკიპირებას წარმოადგენს ნავი, შლემი, მამველი ჟილეტი, „ქვედაბოლო“ (რომლის დანიშნულებაა ხელი შეუშალოს კაიაკში წყლის ჩასვლას), გარეზინებული ჩუსტები და ნიჩაბი.

რაფტინგი (დაშვება მთის სწრაფ მდინარეზე კანოეთი ან სპეციალური ტივებით) –ექსტრემალური ტურიზმის ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა. უკანასკნელ წლებში ტურიზმის ამ სახეობას იმდენად ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, რომ რაფტინგის სპეციალისტებმა სპეციალური რაფტინგ–ტურებიც კი შექმნეს. ახლა ტურიზმის ამ სახეობას ნახავთ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც კი შესაბამისი მდინარეები არსებობს. არსებობს რაფტინგ–დაშვების შემდეგი სახეობები: ნახევარი დღით (25–75 \$), ერთი დღით (60–150) და რამდენიმე დღიანი (ფასი – შესაბამისად დღეების რაოდენობისა). რაფტინგ–ტურების მინიმალური ღირებულება 1000 \$–ია.

რაფტინგი - ქართულად „ჯომარდობა“, მთელს მსოფლიოში პოპულარული გახდა 1970 წლიდან. მოგვიანებით კი ტრანსპორტირების საშუალებები როდესაც დაიხვეწა და გაუმჯობესდა, ჯომარდი იქცა გასართობ, ექსტრემალურ სპორტად. ბოლო ხანებში ჯომარდი გვევლინება როგორც ყველაზე გასართობი ჰობი, დღესდღეითობით წყლის სპორტი ინარჩუნებს პოპულარობას ექსტრემალური სპორტის სახეობებში, მეორე მხრივ კი ძლიერ ანცვიფრებს მასზე მჯდარ მგზავრებს. ჯომარდის მოყვარულები როგორც წესი მოძრაობენ წყლის ზედაპირის სხვადასხვა გრადუსზე და იღებენ უდიდეს სიამოვნებას სწრაფი დინების ტალღებზე ხტუნვით. ჯომარდის მთავარი და ყველაზე სასიამოვნო პრინციპია, გაჰყვით მდინარის დინებას და გადაეშვით

სხვადასხვა ჩანჩქერებზე გასაბერი ნავით. ნავზე ადგილების რიცხვი მერყეობს ერთიდან თორმეტამდე, ეს დამოკიდებულია გასაბერი ნავის ტიპზე.

ჯომარდი მიეკუთვნება საშიში სპორტის სახეობას, მითუმეტეს თუ უსაფრთხოების ზომები არ არის დაცული. ის კლასებად არის დაყოფილი და დამოკიდებულია მდინარის დინების სიჩქარეზე. I კლასი მიეკუთვნება ყველაზე იოლ ჯომარდობას, IV კლასი კი - ყველაზე საშიშს.

სერფინგი – (სერფინგის დაფით სრიალი დიდ ტალღებზე) – დაედოსაფუძვლად ვინდსერფინგის სპორტის სახეობად ჩამოყალიბებას. ქარის სიჩქარის შესაბამისად, სერფინგის სიჩქარე 10–12 კმ/სთ–ია, თუმცა დღეისთვის რეკორდად ითვლება 70 კმ/სთ.

წყლის თხილამურები – აქტიური დასვენების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ისინი პირველად 1922 წელს გამოიყენა ამერიკელმა რალფ სამუელსონმა, რომელმაც ჩვეულებრივი თოვლის თხილამურებით მოსინჯა სრიალი წყლის ზედაპირზე. პირველი სასინჯი სრიალი ლეიქ–პლესიდის ტბაზე მოეწყო. სპორტის ეს სახეობა იმდენად პოპულარული გახდა, რომ 1998 წელს საბერძნეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადი შეიტანა, რათა სპორტის ეს სახეობა შეეტანათ 2004 წლის ოლიმპიადის პროგრამაში, თუმცა ეს გადაწყვეტილება დღემდე არ წყლის თხილამურებით სრილისთვის საჭიროა თავად წყლის თხილამურები (რომლის ფასიც 120–1000 \$–ია), მაშველი ჟილეტი, ხელთათმანები და ჰიდროკოსტუმი (საერთო ფასით 150–200 \$).

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ექსტრემალური ტურიზმის პოპულარობა მატულობს, ტურისტთა ჯერ კიდევ დიდ უმრავლესობას ურჩევნია ისეთი სახის ტურები, როგორცაა საექსკურსიო, შემეცნებითი, საკურორტო, რეკრეაციული და სხვ. ამის მიზეზი კი არის ის, რომ ტურისტებმა არ იციან, რას მოიცავს ექსტრემალური ტურიზმი, საით შეიძლება გამგზავრება და რა ღირს ეს ყველაფერი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ.ბუკია-ვერულაშვილი. ტურიზმის სპეციალური სახეები. სალექციო კურსი. თბ. 2015
2. გ. ნადირაშვილი, დ. ჯანგულაშვილი. ტურიზმის საფუძვლები. გამომც. „მერიდიანი“, თბ. 2014
3. Бабкин А.В. Специальные виды туризма. Ростов-на-Дону. 2008
4. Христов Т.Т. Религиозный туризм. - М., 2003.

ექსტრემალური ტურიზმის საწყალოსნო სახეები

რეზიუმე

XX საუკუნის ბოლოს განვითარება დაიწყო სათავგადასავლო ტურიზმმა, რომლის მიზანია ახალი შთაბეჭდილებების მიღება, ტურისტთა ფიზიკური ფორმის გაუმჯობესება და ახალი სპორტული შედეგების მიღწევა. სათავგადასავლო ტურიზმის ერთ–ერთი სახესხვაობაა ექსტრემალური ტურიზმი, რომელიც სულ

უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იძენს.

ყველაზე მეტი პოპულარობა მოიპოვადივინგმა ანუ წყალქვეშა ცურვამ, რომელიც ყველაზე ექსტრემალურია დანარჩენ სახეობებთან შედარებით. დივინგმა შეავიწროვა ისეთი სახეობები, როგორცაა პარაშუტით ხტომა და სამთო-სათხილამურო სპორტი. პოპულარობის მიხედვით მეორე ადგილზე დგას პარაშუტით ხტომა. ამჟამად არსებობს პარაშუტით ხტომის რამდენიმე სახეობა: სკაისერფინგი, ჯგუფური აკრობატიკა, ბეიზ-ჯამფინგი. საწყალოსნო ექსტრემალურ ტურიზმს მიეკუთვნება ჯომარდობაც ანუ რაფტინგი, – ნავებით დაშვება მთის სწრაფ მდინარეებზე, რაც საკმაოდ მაღალ რისკთან არის დაკავშირებული. ტურიზმის ყველაზე ექსტრემალურ სახეობად ითვლება ალპინიზმი, რომლის დროსაც მოწმდება ადამიანის როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ამტანობა. ალპინიზმის ალტერნატივად ითვლება სპელეოტურიზმი, – მოგზაურობა მიწისქვეშა მღვიმეებში.

სტატიაში განხილულია ექსტრემალური ტურიზმის საწყალოსნო სახეები: აკვაბაიკი, დივინგი, ვეიკბორდინგი, იახტინგი, რაფტინგი და ა. შ.

RESUME

Tamar Bukia-Verulashvili

Prof. of LTD Tbilisi Humanitary University

The advent of adventure tourism began in the late 20th century with the aim of getting new impressions, improving the physical shape of tourists, and achieving sporty results. One of the types of adventure tourism is extreme tourism, which is gaining more and more popularity. The most popular was diving, or underwater swimming, which is the most extreme of all species. Diving has narrowed to species such as parachute jumping and skiing. The second most popular is the parachute jump. There are currently several types of parachute jumping: skier surfing, group acrobatics, base jumping. Extreme water tourism also includes rafting, - boat access to the fast rivers of the mountain, which is quite high risk. The most extreme type of tourism is mountaineering, which is a test of one's physical and psychological endurance. Speleotourism is considered as an alternative to mountaineering - traveling in underground caves.

The article deals with the types of extreme tourism: aqua boating, diving, wakeboarding, yachting, rafting and etc.

ბორჯომის მინერალური წყლის საბადო

ირაკლი მიქაძე

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის,
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის,
საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ბორჯომის ხეობა იწყება სოფელ აწყურთან და გრძელდება სოფელ ტაშისკარამდე. მისი სიგრძეა 60 კმ. ხეობის ფერდობები წარმოადგენს მესხეთისა და თრიალეთის ქედების კალთებს. ბორჯომის ხეობა ახალციხის ქვაბულს აკავშირებს შიდა ქართლის ბართან. იგი ტექტონიკურ-ეროზიული, ღრმა (1300-1500 მ) გამკვეთი ხეობაა, მდებარეობს ზღვის დონიდან 710-900 მეტრზე, აგებულია ძლიერ დანაოჭებული პალეოგენური ასაკის უმთავრესად ანდეზიტური ტუფბრექჩიებით და ფლიშური წყებებით. ბაკურიანის ლავური ნაკადი, ქალაქ ბორჯომთან, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირამდე აღწევს. ბორჯომის ხეობის ფერდობები დასერილია ხევებით, რის გამოც, განვითარებულია მეწყრები და ფლატეები.

მთის ზომიერი ჰავა და უნიკალური სამკურნალო წყაროები საკურორტო მეურნეობისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს ქმნის. ბორჯომის ხეობის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტებია: ბორჯომი, ბაკურიანი, ახალდაბა, წაღვერი, ციხისჯვარი, ცემი, ტბა და სხვა. კურორტი ბორჯომი არის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მსოფლიო მნიშვნელობის. იგი გამწებულია მდინარეების-მტკვრის, ბორჯომულასა და გუჯარეთისწყლის ნაპირებზე. ბორჯომის ხეობა მდიდარია გრუნტის წყლებითა და წყაროებით, რომელთა შორის ბევრი მინერალური წყაროა. ხეობის დიდი ნაწილი ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალს უჭირავს.

დღევანდელი ბორჯომის ადგილზე წარსულში, რამდენიმე სოფელი იყო: ნია, ფაფა და ჭალა. ქალაქის დაარსება, აქ აღმოჩენილმა მინერალურმა წყალმა განაპირობა. ბორჯომის წყლებს სამკურნალოდ უძველესი დროიდან იყენებდნენ, რაზეც მიუთითებს პირველი საუკუნის ნაგებობად მიჩნეული თლილი ქვით ნაშენი აბაზანების ნაშთები.

ბორჯომის ხეობა ისტორიულად, თავად ავალიშვილებს ეკუთვნოდათ. 1816 წელს ქ. გორში განთავსდა ხერსონის გრენადერთა პოლკი, ჯარისკაცებმა ტყეში, მდ. ბორჯომულას მარჯვენა ნაპირზე, მინერალური წყარო აღმოაჩინეს და პოლკოვნიკ პოპოვის მხარტვეს, რომელსაც კუჭის დაავადება აწუხებდა. პირველი ოფიციალური ცნობა ბორჯომის მინერალური წყლის მკურნალობაზე 1827 წლის 15 ნოემბერს, ეკუთვნის ფერშალ მარტონენკოს.

პოპოვის განკარგულებით, წყარო ქვებით შემოღობეს, ააშენეს აბანო და პატარა სახლი. 1837 წელს, ხერსონის პოლკი ჩაანაცვლა ქართველ გრენადიერთა პოლკმა. პოლკის სამხედრო ექიმმა, გვარად ამიროვმა, წყლის სინჯი სანკტ-პეტერბურგში და მოსკოვში გააგზავნა. 1841 წელს, კავკასიის მთავარმართებელმა ევგენი გოლოვინმა თავისი ქალიშვილი სამკურნალოდ ჩაიყვანა ბორჯომში და მის საპატივცემულოდ ერთ-ერთ წყაროს „კატერინკა“ უწოდა, ხოლო მეორეს – „ევგენი“. 1842 წ. ექიმ ამიროვის თხოვნით და გოლოვინის განკარგულებით, ბორჯომში კურორტის მშენებლობა დაიწყო. 1846 წელს მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა ბორჯომი თავის საზაფხულო რეზიდენციად აქცია. „ბორჯომი“ პირველად, 1850 წელს, 1300 ოვალურ, 0,5 ლ ბოთლებში ჩამოასხა სამხედრო ლაზარეთის აფთიაქარმა ზახაროვმა.

1862 წელს, ბორჯომი, მიხეილ რომანოვის საზაფხულო რეზიდენცია გახდა,

მისი ბრძანებით, 1891 წელს ბორჯომპარკში ააგეს მინის ტარის ქარხანა და დაიწყო „ბორჯომის“ მინერალური წყლის ჩამოსხმა.

1900 წელს, ქიმიკოსმა მილდსენჰაუერმა, „ბორჯომის“ ნახშირბადის დიოქსიდით გაზირება მოახდინა, რამაც საშუალება მისცა მწარმოებლებს, რომ წყალი ექსპორტზე გაეტანათ. ბორჯომის მინერალური წყლების მოქმედება დეტალურად შეისწავლა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ალექსანდრე ალადაშვილმა, რომელმაც 1911 წელს ხარკოვის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ბორჯომის ეკატერინეს მინერალური წყლის ფიზიოლოგიური მოქმედების საკითხებისათვის“. მან დაადგინა, რომ ბორჯომის ეკატერინეს მინერალური წყლის საჭმლის მიღებამდე ნახევარი ან ერთი საათით ადრე დაღევა ამცირებს კუჭის სეკრეციას და კუჭის წვენის მომწელებელ ფუნქციას, მაშინ, როდესაც იგივე მინერალური წყალი მიღებული საჭმელთან ერთად, აძლიერებს კუჭის სეკრეციას; რომ პარალელურად იცვლება პანკრეასის სეკრეციაც და ოდნავ მატულობს ნაღვლის გამოყოფა; რომ გაზიანი ბორჯომის მინერალური წყალი უფრო აძლიერებს კუჭის სეკრეციას, ვიდრე უგაზო მინერალური წყალი. პროფესორ ალადაშვილის დასკვნები, ახალი სიტყვა იყო კურორტოლოგიის მეცნიერებაში, რამაც დასაბამი მისცა ბორჯომის ტიპის მინერალური წყლებით მკურნალობას და სრულიად ახალი, განსხვავებული მეთოდების გამოყენებას ბალნეოლოგიაში, რის გამოც, საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

ევროპაში, „ბორჯომი“, ფრანგული „ვიშისა“ და გერმანული სილეზიის წყაროს ანალოგად მიიჩნეეს. „ბორჯომმა“ პირველი დიპლომი მიიღო 1907 წელს – ბელგიაში, ქ. სპაში; ოქროს მედალი, რუსეთში – 1909 წელს, ხოლო საპატიო დიპლომი – ქ. დრეზდენში, 1911 წელს.

ბორჯომი სტალინის საყვარელ დასასვენებელ ადგილად იქცა, 1927 წელს სტალინი მცირე ხნით დასასვენებლად ჩავიდა ბორჯომში და რომანოვების სასახლეში დაიდო ბინა. სტალინს ძალიან მოსწონდა როგორც ლიკანის კლიმატი, ასევე, შენობის არქიტექტურული დეტალები. იგი თავისი ხელით უვლიდა ყვავილებს და რგავდა სხვადასხვა ჯიშის ხეებს.

კრემლში არცერთი ღონისძიება არ ტარდებოდა „ბორჯომის“ გარეშე:

– უინსტონ ჩერჩილის საბჭოთა კავშირში ვიზიტის დროს მაგიდაზე, ოფიციალური პროტოკოლის განუყოფელი ნაწილი – „ბორჯომი“ იყო;

– კოსმოსიდან მიწაზე დაშვების შემდეგ, იური გაგარინმა, პროფესორ ვოლოვიჩის სამძებრო-სამაშველო ოპერაციის ხელმძღვანელისაგან გადმოცემით, პირველ რიგში „ბორჯომი“ მოითხოვა;

– გიორგი ტოვსტონოგოვი, სპექტაკლების რეპეტიციისას, ყოველთვის პარტერის მეთორმეტე რიგში იჯდა, სადაც მისთვის წინასწარ იყო გამზადებული „ბორჯომი“;

– ფილმ „სოლარისის“ გადაღებისას სოლარისტიკის შესახებ, კონფერენციის სცენაში მაგიდაზე იდგა „ბორჯომი“, გადამღები ჯგუფის წევრების აზრით, რადგან სცენა თამაშდება შორეულ მომავალში, ბოთლის ეტიკეტი ან უნდა შებრუნდეს კამერის საპირისპირო მხარეს, ან უნდა დაიფაროს ეტიკეტი, მაგრამ ფილმის რეჟისორმა ანდრეი ტარკოვსკიმ თავისი გაიტანა, იგი დარწმუნებული იყო, რომ „ბორჯომი“ შეუცვლელი იქნებოდა შორეულ მომავალშიც.

1961 წელს, 423 ათასი ბოთლი „ბორჯომი“ იქნა ექსპორტირებული მსოფლიოს 15 ქვეყანაში. 1980-1990-იან წლებში „ბორჯომის“ გაყიდვამ 400-450 მლნ ბოთლს მიაღწია. 1990-1995 წლებში, საქართველოში ეკონომიკური სიძნელეების გამო, მკვეთრად შემცირდა „ბორჯომის“ წარმოება. 1995 წლიდან „ბორჯომს“ ფლობდა საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია, რომელიც „თიბისი“ ბანკს ეკუთვნოდა. ინვესტორების საშუალებით, 1997 წელს, მოხდა „ბორჯომის“ №1 და №2

ქარხნების მოდერნიზაცია, წარმოება 40-ჯერ გაიზარდა. კომპანიის საკუთრებაში გადავიდა ხაშურის მინის ქარხანა. 1998 წელს, №2 ქარხანაში დაიწყო „ბორჯომის“ ჩამოსხმა პლასტიკურ ბოთლებში. 1999 წელს, იმავე ქარხანაში დაიწყო უგაზო მინერალური წყლის–„ბორჯომის წყაროების“ ჩამოსხმა. შეიქმნა „ბორჯომის“ ბრენდი: დაპატენტებული, მოცისფრო-მომწვანო ფერის ბოთლი, რომელსაც ეწოდა „ქართული მწვანე“ (Georgian Green).

თავდაპირველად, შპს „აიდიეს ბორჯომი საქართველო“, ყოფილი „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია ფლობდა „ბორჯომის“ მოპოვების ლიცენზიას და აწარმოებდა მინერალურ წყლების - „ბორჯომი“, „ლიკანი“, ასევე, სასმელი წყლის - „ბორჯომის წყაროების“ და „ბაკურიანის“ ჩამოსხმას. მის საკუთრებაში იყო ჩამოსასხმელი ქარხნები N1 და N3. 2004 წელს, ქართული კომპანიის ბაზაზე შეიქმნა საერთაშორისო კომპანია „IDS Borjomi International“, რომელმაც შემოიერთა უკრაინული შპს „სამრეწველო-სადისტრიბუციო სისტემა“ და მორშინის მინერალური წყლების ქარხანა. მოგვიანებით, ამ გაერთიანებაში შევიდა რუსული მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანია „ედელვეის ელ“, მისი ოფიციალური მესაკუთრეა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული “აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანი”, ხოლო მისი დირექტორი – რუსეთის მოქალაქე ვლადიმირ აშუროვი, რომელიც ხელმძღვანელობს „IDS Borjomi International“-საც.

საერთაშორისო კომპანია „IDS Borjomi International“ დააფუძნა ბადრი პატარკაციშვილის, აგრეთვე, ბორის აბრამოვიჩისა და ბორის ბერეზოვსკის მიერ შექმნილმა კომპანიამ „Salford Capital Partners“-მა. ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, 2008 წელს, ბერეზოვსკისა და პატარკაციშვილის მემკვიდრეებს შორის სასამართლო დავა დაიწყო, რომელიც 2012 წლის სექტემბერში მორიგებით დასრულდა: ბერეზოვსკიმ სადავო აქტივები, მათ შორის, „IDS Borjomi“, დაუთმო პატარკაციშვილის ოჯახს, რომელმაც 2013 წელს, „IDS Borjomi International“-ის საკონტროლო პაკეტი, მიხაილ ფრიდმანის საინვესტიციო კომპანია „Alfa Group“-ს, 300 მილიონ დოლარად მიჰყიდა. გაყიდვის მომენტში, „IDS Borjomi“-ს ყველა აქტივი რუსეთსა და უკრაინაში სასამართლოს მიერ დაპატიმრებული იყო. სწორედ ამიტომ, ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ „IDS Borjomi“, რომელიც რეალურად 700-800 მილიონი დოლარი ღირს და ყოველწლიურად 250 მილიონ სუფთა მოგებას ტოვებს, საკმაოდ დაბალ ფასად გაიყიდა.

2006 წელს, რუსეთის მთავარი სანიტრის ბრძანებით, რუსეთში „ბორჯომის“ შეტანა აიკრძალა, იმ საბაზით, რომ არ აკმაყოფილებდა სანიტარულ ნორმებს; რუსეთში გაყიდვაში გაჩნდა სტავროპოლში ჩამოსხმული მინერალური წყალი, სახელწოდებით – «Русский Боржомь», მაგრამ 2007 წელს, ქართველი მწარმოებლის საჩივრის საფუძველზე, სასამართლომ აკრძალა მსგავსი დასახელების წყლის გაყიდვა.

შვიდწლიანი პაუზის შემდეგ, „ბორჯომი“ რუსეთის ბაზარს დაუბრუნდა; დღეს კომპანია „ალფა ჯგუფი“, ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში 4 დასახელების პროდუქციას აწარმოებს: „ბორჯომი“, „ლიკანი“, „ბაკურიანი“ და „ბორჯომის წყაროები“.

ბორჯომის მინერალური წყლის ფორმირებაში მონაწილეობს სიდრმისეული მინერალიზებული წყლები, ნახშირბადის დიოქსიდის დაწნევის მეშვეობით, რომელთაც ერევა ინფილტრირებული, მტკნარი და დაბალი მინერალიზაციის წყლები. 100 გრ „ბორჯომი“ შეიცავს: კალიუმს – 3,0 მგ, კალციუმს – 13,0 მგ, სილიციუმს – 1,1 მგ, მაგნიუმს – 10,0 მგ, ნატრიუმს – 200,0 მგ, გოგირდს – 0,8 მგ, ქლორს – 50,0 მგ, ალუმინს – 100,0 მკგ–ს, ბარიუმს – 1200,0 მკგ–ს, ტიტანიუმს – 4,0 მკგ–ს, ფთორს – 800,0 მკგ–ს, სტრონციუმს – 480,0 მკგ–ს.

ბორჯომის საბადოს ტერიტორია შეადგენს 20 კვ.კმ-ს და მოიცავს 3 საექსპლუატაციო

უბანს: ცენტრალურს, ლიკანის და ვაშლოვანი-ყვიბისის. ცენტრალური უბანი მდებარეობს კურორტ ბორჯომის ფარგლებში, ბორჯომის ანტიკლინის თაღურ ნაწილში. მის დასავლეთ გაგრძელებას სოფ. ლიკანის ტერიტორიაზე წარმოადგენს ლიკანის უბანი. ცენტრალური უბნის სამხრეთით, 3.5 კმ-ზე, მდებარეობს ვაშლოვანი-ყვიბისის უბანი, მას სოფლების ვაშლოვანის და ყვიბისის ტერიტორიაზე უკავია ბარათხევის სინკლინის ცენტრალური ნაწილი.

ბორჯომის მინერალური წყლის ტემპერატურა თვითდენზე იცვლება 33 დან 41°C-მდე. ტემპერატურათა მაქსიმუმი აღინიშნება ვაშლოვანი-ყვიბისის უბანზე.

სამიეზოსამუშაოები ბორჯომის საბადოზე, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი საკურორტო სამმართველოს მიერ დაიწყო 1927 წელს, ა. ოგილვისა და ა. ოზჩინიკოვის ხელმძღვანელობით. 1927-1935 წლებში ჩატარდა ბორჯომის საბადოს ცენტრალური უბნის დეტალური ძიება. ამის შედეგად, ადრე ცნობილი 2 მინერალური წყაროს (№№1 და 2) დაემატა №3 წყარო, ახალ უბანზე – მდინარეების გუჯარეთისწყლისა და მტკვრის ხეობებში და ლიკანში გაყვანილ იქნა ჭაბურღილები №№13, 21, 37, 38, 40 და 41, რომლის შედეგად, ბორჯომის წყლის ჯამური დებიტი 1935 წლისათვის, 85-90 მ³/დღე-ღამედან 293 მ³/დღე-ღამემდე გაიზარდა. 1936-1953 წლებში, საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ, ჩატარდა ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევები ლიკანის უბანზე. სამუშაოს ხელმძღვანელობდნენ ს. ჩიხელიძე და ა. მელივა. ლიკანის უბანზე, მინერალური წყლის რეჟიმის შესწავლის მიზნით ჩატარდა ბურღვითი სამუშაოები.

ბორჯომის საბადოზე სამიეზო სამუშაოების ახალი ეტაპი იწყება 1953 წლის დეკემბერიდან; გეოლოგიის სამმართველოს მიერ, 1954-1961 წლებში ჩატარებული ძებნა-ძიებითი სამუშაოების (1:50000 მასშტაბის ჰიდროგეოლოგიური აგეგმვა და სტრუქტურულ-ჰიდროგეოლოგიური, სამიეზო და სათვალთვალო ჭაბურღილების ბურღვა) შედეგად, გაფართოვდა ბორჯომის საბადოს კონტურები ცენტრალურ უბანზე, სადაც ბორჯომის წყალი მიღებული იქნა ბორჯომის ანტიკლინის ჩრდილო ფრთაში (ჭაბურღილები №№4ა, 5 და 9). ამას გარდა, ბორჯომის მინერალური წყალი მიღებული იქნა ვაშლოვანი-ყვიბისის უბანზე (ჭაბ. №№25,37,38), ცენტრალური უბნიდან 3-4 კმ-ში, ბარათხევის სინკლინში. ეს უბანი დაძიებული იქნა 1960-61 წლებში. 1954-1961 წლებში ჩატარებული ძებნა-ძიებითი და საკაპტაჟო სამუშაოების შედეგების შემდეგ, სსრკ მარაგების სახელმწიფო კომისიის (მსკ) მიერ, პირველად იქნა დამტკიცებული ბორჯომის საბადოს მარაგები 1.01.1961 წლის მდგომარეობით.

ბორჯომის საბადო მიეკუთვნება ჰიდროინჟექციურ საბადოთა ტიპს და ხასიათდება რთული ჰიდროგეოლოგიური პირობებით. მისი ექსპლოატაცია წარმოებს ჭაბურღილებით. მათი სიღრმე ჰიდროგეოლოგიური და სტრუქტურული პირობების გათვალისწინებით სხვადასხვაა და შეადგენს 18-დან 1500 მეტრს.

წყალშემცველი კარბონატული კომპლექსი გახსნილია ჭაბურღილის მიერ სამიევი უბანზე. მისი სახურავი სხვადასხვა საექსპლოატაციო უბანზე სხვადასხვა სიღრმეზეა გადაკვეთილი: ცენტრალურ უბანზე 9-200 მეტრიდან – 670-1200 მ-მდე, ლიკანის უბანზე – 1135-1400 მეტრის და ვაშლოვანი-ყვიბისის უბანზე – 730-1500 მეტრის ფარგლებში.

ამჟამად, ბორჯომის საბადოს ფარგლებში ფუნქციონირებს 20 საექსპლოატაციო ჭაბურღილი: მათ შორის, ცენტრალურ უბანზე - 12: №№1,21,21-ე,41-რ,59,103,131,123,124,124-ა,125,129; ლიკანის უბანზე – 1, № 54; ვაშლოვანი-ყვიბისის უბანზე – 7: №№ 25ე,37,38,38-ე,70,47,67. გარდა ამისა, საბადოზე არის 9 სათვალთვალო ჭაბურღილი: ცენტრალურ უბანზე - №№13,41ა,101,102,128 და ვაშლოვანი-ყვიბისის უბანზე - №№9,37ე,70.

1954-1958 წლებში დაიბეჭდა ი. ბუაჩიძის და ს. ჩიხელიძის შრომები, მიმღვნილი ნახშირორჟანგიანი წყლების ფორმირების და დინამიკის საკითხებისადმი. აღსანიშნავია, ს. ჩიხელიძის მონოგრაფია (1961 წ.), საქართველოს ბუნებრივი რესურსები, ტომი III, სადაც განხილულია ბორჯომის მინერალური წყლის ფორმირების საკითხი.

სსრკ ჰიდროგეოლოგიის X ტომი, საქართველოს სსრ, გამოიცა 1970 წ. (რედაქტორი ი. ბუაჩიძე), რომელშიც შევიდა ბორჯომის საბადოს ფარგლებში ჩატარებული გეოლოგიურ-სადიებო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგები.

1967-1979 წ.წ. გეოლოგიის სამმართველოს მიერ გრძელდებოდა ბურღვითი ძებნა-ძიებითი სამუშაოები ლიკანისა და ბორჯომის ანტიკლინის ფარგლებში, აგრეთვე ბაკურიანი-თონეთის ტექტონიკური ზოლის სიახლოვეს, სადაც გაყვანილი იქნა 1300-1400 მ სიღრმის სტრუქტურულ-ჰიდროგეოლოგიური ჭაბურღილები: №№60,61,63,64,65 და 66. ამ სამუშაოების შედეგები იყო რაიონის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში, ფლიშური ნალექებიდან №№65 და 66 ჭაბურღილებით გაზრდილი მინერალიზაციის (8-35 გ/ლ) ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული წყლების გამოვლინება (თ. ლაზარაშვილი, 1975).

1979-1988 წლებში საქართველოს გეოლოგიის სამმართველოს მიერ ჩატარდა ბორჯომის საბადოს სპეციალიზირებული ჰიდროგეოლოგიური აგეგმვა 1:25000 მასშტაბში, 2000 კვ.კმ-ზე (დ. ჩხაიძე, ლ. ხარატიშვილი და სხვ.). სსრკ მსკ-ის მიერ 1983 წლის 30 მარტს (ოქმი №9212) გადამტკიცებული იქნა ბორჯომის საბადოს საექსპლუატაციო მარაგები სამივე საექსპლუატაციო უბნისთვის შემდეგი ოდენობით და კატეგორიებით: 1) ცენტრალური უბანი – 220 მ³/დღე-ღამე, კატეგორია B; 2) ვაშლოვანი-ყვიბისის უბანი – 425 მ³/დღე-ღამე, (1983-1990 წ.წ) და 240 მ³/დღე-ღამე, (1991-2007 წ.წ), კატეგორია B; 3) ლიკანის უბანი – 77 მ³/დღე-ღამე, კატეგორია B. საექსპლუატაციო მარაგები ცენტრალური და ვაშლოვანი-ყვიბისის უბნისთვის დამტკიცდა 25 წლის ვადით, ხოლო ლიკანის უბნისთვის – უვადოდ.

მინერალური წყლის მიღება ჭაბურღილებიდან გათვალისწინებული იყო თვითდენით, მხოლოდ ვაშლოვანი-ყვიბისის უბანზე იყო დაშვებული ამოტუმბვა. გეოლოგიის სამმართველოს მიერ, ძებნითი ბურღვითი სამუშაოები მიმდინარეობდა 1982-1990 წლებში, ბორჯომის საბადოს ჩრდილოეთით, ზანავის უბანზე და ვაშლოვანი-ყვიბისის უბნის აღმოსავლეთ გაგრძელებაზე, მდ. ნეძვურას ხეობაში, რომელსაც 1982-1988 წლებში ხელმძღვანელობდა პროფესორი ი. მიქაძე და მთავარი გეოლოგი დ. ჩხაიძე.

ბორჯომის საბადოსათვის, პროგრამულ ბაზაზე, შექმნილია მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს ფართო ინფორმაციას საბადოს შესახებ. მასში აღწერილია ჭაბურღილების კონსტრუქცია, ტექნიკური მდგომარეობა, ლითოლოგიური ჭრილები, საწყისი დებიტები და საექსპლუატაციო რეჟიმები. პროგრამა წარმოადგენს საბადოს მონიტორინგის სისტემის ნაწილს და მუდმივად განიცდის შევსებას და განახლებას. აღნიშნული ბაზა საფუძვლად დაედო GIS-სისტემებში მომზადებულ საბადოს სამგანზომილებიან მოდელს, რომელიც მოიცავს ჭაბურღილებისათვის კომპლექსურ ინფორმაციას: სიღრმეს, გეოლოგიური ჭრილებს, დებიტებსა და ა.შ. მოდელში ასევე შესულია ჰიდროქიმიური მონაცემები, რომლებიც საშუალებას იძლევა ბურღილებისათვის მოიძებნოს არსებული ჰიდროქიმიური მონაცემები ნებისმიერ პერიოდისათვის და გამოისახოს სამგანზომილებიანი მოდელის სახით. მოდელში შეტანილია ბურღილების საექსპლუატაციო მონაცემები: წყლის მოხმარება, ტემპერატურა და სხვა ინფორმაცია.

ამჟამად, ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს ექსპლუატაცია ხდება 2018 წლის 01 მარტის საექსპლუატაციო მარაგების ოქმის მიხედვით. საექსპლუატაციო

ჭაბურღილების ერთი ნაწილი გადაყვანილ იქნა თვითდენზე, ხოლო ტუმბოების საშუალებით მიღებულ წყლის რაოდენობაზე დაწესებულია შემდეგი ქვოტები:

1) ცენტრალურ უბანზე, თვითდენით მუშაობს 2 ჭაბურღილი, რომელთა ჯამური დებიტია 181 კუბ.მ/დღე-ღამეში (№№21-2 და 41-რ), კატეგორია B; ხოლო ტუმბოს საშუალებით 10 ჭაბურღილი (№№1,21,59,103,131,123,124,124ა,125,129), რომელთა ჯამური დებიტია 291,6 კუბ.მ/დღე-ღამეში, მათ შორის 201,6 კუბ.მ/დღე-ღამეში – კატეგორია B, 55 კუბ.მ/დღე-ღამეში, კატეგორია C₁ და 70 კუბ.მ/დღე-ღამეში, კატეგორია C₂.

2) ლიკანის უბანზე, №54 – ამოტუმბვით, 120 კუბ.მ/დღე-ღამეში, მათ შორის 73 კუბ.მ/დღე-ღამეში – კატეგორია B, 10 კუბ.მ/დღე-ღამეში, კატეგორია C₁ და 37 კუბ.მ/დღე-ღამეში, კატეგორია C₂.

3) ვაშლოვანი-ყვიბისის უბანზე – თვითდენით მუშაობს 2 ჭაბურღილი (№№37,38), რომელთა ჯამური დებიტია 125 კუბ.მ/დღე-ღამეში, კატეგორია B, ხოლო ტუმბოს საშუალებით – 5 ჭაბურღილი (№№25-ე,38,70,47,67), რომელთა ჯამური დებიტია 342 კუბ.მ/დღე-ღამეში, მათ შორის 227 კუბ.მ/დღე-ღამეში – კატეგორია B, 50 კუბ.მ/დღე-ღამეში, კატეგორია C₁ და 65 კუბ.მ/დღე-ღამეში, კატეგორია C₂.

ჯამში, სამივე უბანზე, საექსპლუატაციო მარაგები შეადგენს 1059,6 კუბ.მ/დღე-ღამეში, მათ შორის 807,6 კუბ.მ/დღე-ღამეში – კატეგორია B, 115 კუბ.მ/დღე-ღამეში – კატეგორია C₁ და 137 კუბ.მ/დღე-ღამეში – კატეგორია C₂.

„ბორჯომის“ რეგულარული მიღება აბალანსებს pH-ის დონეს და ქმნის ოპტიმალურ პირობებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლისათვის. „ბორჯომი“ აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მუშაობას და ორგანიზმიდან გამოჰყავს შლაკები და ცხიმები. რამდენადაც, „ბორჯომი“ გამოირჩევა მინერალთა დაბალანსებული შემცველობით, ისმება, როგორც სუფრის წყალი. კალციუმი „ბორჯომში“ 100 მგ-ზე ნაკლებია, რაც დასაშვებია ყოველდღიური მოხმარებისთვის – მარილთა დაგროვების რისკი არის მხოლოდ მაშინ, როდესაც კალციუმის შემცველობა 200 მგ/ლ-ს აჭარბებს. დიეტოლოგები ჭარბწონიან ადამიანებს ურჩევენ, დალიონ ჩვეულებრივზე მეტი „ბორჯომი“. იგი დადებითად მოქმედებს ნახშირწყლებისა და ლიპიდების ცვლაზე და წარმოქმნის ადენოზინტრიფოსფორმჟავას (ატფ), რომლის დაშლისასაც გამოიყოფა ენერგია. აღსანიშნავია, რომ ჭარბი წონის მქონე ადამიანებს ექიმები ურჩევენ მოერიდონ ძლიერგაზირებულ წყალს, რადგან ის სტიმულირებს კუჭის წვენის გამოყოფას, ანუ იწვევს შიმშილის გრძნობას. ამიტომ, მათ, ვისაც სურს გახდომა, უნდა მიიღონ გაზგასული „ბორჯომი“.

სამედიცინო კვლევების შედეგად დადგინდა, რომ „ბორჯომი“ სასარგებლოა კბილებისთვის. ეს მინერალური წყალი შეიცავს ფტორიდის და იოდიდის იონებს, რაც ამცირებს კარიესის გაჩენის შესაძლებლობას. ბორჯომის მინერალური წყალი გამოიყენება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, კოლიტისა და ენტეროკოლიტის, ღვიძლისა და ნაღვლმდენი გზების პანკრეატიტის ნივთიერებათა ცვლასთან დაკავშირებული სნეულებებისა და შაქრის დიაბეტის მკურნალობისას.

კვების ჰიგიენის სპეციალისტების აზრით, თანამედროვე მავნე ეკოლოგიური პირობებისა და არაბალანსირებული კვების გამო, ორგანიზმში მჟავა-ტუტოვანი ბალანსი ირღვევა და შესაბამისად მასში ჭარბობს მჟავა. „ბორჯომის“ სისტემატიური მიღება ხელს უწყობს ბალანსის ნორმალიზებას და ქმნის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესისათვის ოპტიმალურ პირობებს.

ანოტაცია

ბორჯომის ხეობა იწყება სოფელ აწყურთან და გრძელდება სოფელ ტაშისკარამდე. ბორჯომი ტექტონიკურ-ეროზიული, ღრმა ხეობაა, აგებულია ძლიერ დანაოჭებული პალეოგენური ასაკის, უმთავრესად ანდეზიტური ტუფბრეჩიებით და ფლიშური წყებებით, რომელიც შეიცავს მინერალურ წყლებს. ბორჯომის ხეობის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტებია: ბორჯომი, ბაკურიანი, ახალდაბა, წაღვერი, ციხისჯვარი, ცემი, ტბა და სხვა.

ამჟამად, ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს ექსპლუატაცია ხდება 2018 წლის 01 მარტის საექსპლუატაციო მარაგების ოქმის მიხედვით. ცენტრალურ, ლიკანის და ვაშლოვანი-ყვიბისის უბნებზე, ჯამში, საექსპლუატაციო მარაგები შეადგენს 1059,6 კუბ.მ/დღე-ღამეში, მათ შორის 807,6 კუბ.მ/დღე-ღამეში – კატეგორია B, 115 კუბ.მ/დღე-ღამეში, კატეგორია C₁ და 137 კუბ.მ/დღე-ღამეში, კატეგორია C₂.

„ბორჯომის“ რეგულარული მიღება აბალანსებს PH-ის დონეს, ქმნის ოპტიმალურ პირობებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლისათვის, აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მუშაობას და ორგანიზმიდან გამოჰყავს შლაკები.

ANNOTATION

The Borjomi Gorge begins at the village of Atskuri and extends to the village of Tashiskari. Borjomi is a tectonic-erosive, deep valley, built of strongly paleogenic age, mainly andesitic tuffbriches and flush pits, containing mineral waters. Borjomi Gorge's climate-balneological resorts are: Borjomi, Bakuriani, Akhaldaba, Tsagveri, Tsikhisvari, Tsemi, Lake and more.

Currently, the Borjomi mineral water field is being exploited in accordance with the Operational Reserve Protocol of 01 March 2018. At the Central, at the Likani and at the Vashlovani-Kibisi Districts, the total stock is 1059.6 cubic meters/per day, including 807.6 cubic meters/per day - Category B, 115 cubic meters/per day, category C₁ and 137 cubic meters/per day, category C₂.

Regular intake of Borjomi balances pH levels, creates optimal conditions for metabolism, improves gastrointestinal function and removes slime from the body.

ზოგადი ცნებები არგონრკალური შედუღების შესახებ

გ. კახიშვილი,
შპს „შემდუღებელთა საზოგადოების“ დირექტორი,
ინჟინერიის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ბიზნესის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

შესავალი

არგონრკალური შედუღება წარმოადგენს ელექტრორკალური და აირული შედუღების თავისებურ ჰიბრიდს. რკალი ამ შემთხვევაში ასრულებს გახურების წყაროს, რომელიც ადნობს და აღულებს ლითონს.

არგონრკალური შედუღების მეთოდი განსხვავდება ჩვეულებრივი ელექტროდით შედუღების მეთოდისაგან იმით, რომ სამუშაოები ტარდება არგონისაგან შექმნილ დამცავი აირის გარემოში.

ამასთან, ტემპერატურა რკალში აღწევს 2000°C, რაც საშუალებას იძლევა ვილფრამის უდნადი მავთულის გამოყენებას, როგორც ძირითადი სახარჯი მასალის.

არგონრკალური შედუღება – ინერტული აირის არგონის გარემოში რკალური შედუღება. შეიძლება განხორციელდეს დნადი ან უდნადი ელექტროდებით. უდნად ელექტროდად გამოიყენება ვოლფრამის ლანთანირებული ელექტროდი.

არგონრკალური შედუღების აღსანიშნავად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი დასახელებები:

ხარგ – ხელით არგონრკალური შედუღება უდნადი ელექტროდით;

აარგ – ავტომატური არგონრკალური შედუღება უდნადი ელექტროდით;

აარგდ – ავტომატური არგონრკალური შედუღება დნადი ელექტროდით.

ISO 9606-1, EN-287-1 შესაბამისად არგონრკალური შედუღებლის დაშვების პირობითი აღნიშვნაა:

- 131 - რკალური შედუღება ინერტულ გაზებში (MIG);

- 141 - რკალური შედუღება ვოლფრამის ელექტროდით ინერტულ გაზებში TIG

არგონრკალური შედუღება ძირითადად გამოიყენება თხელკედლიანი მასალების, როგორცაა ალუმინის, უჟანგავი ფოლადების, სპილენძის, ტიტანისა და მათი შენადნობების შესადუღებლად მისართი მასალით და მისართი მასალის გარეშე, ცვლადი და მუდმივი დენის გამოყენებით.

არგონრკალური შედუღების ზოგადი მახასიათებლები

რკალის წვის ზონაში არგონი პრაქტიკულად არ შედის ქიმიურ მოქმედებაში გამდნარ ლითონთან და სხვა აირებთან. არგონი 38% ჰაერზე მძიმეა, ის დენის ჰაერს შედუღების ზონიდან და უწევს საიმედო იზოლაციას საშემდუღებლო აბაზანას ატმოსფეროსთან კონტაქტისაგან.

არგონრკალური შედუღების დროს შესაძლებელია ელექტროდული ლითონის მსხვილწვეთოვანი ან ჭავლური გადატანა. მსხვილწვეთოვანი გადატანისას შედუღების პროცესი არამყარია, დიდი შხეფებით. მისი ტექნოლოგიური დახასიათება უფრო ცუდია, ვიდრე ნახშირორჟანგში ნახევრად ავტომატურ შედუღებისას, რადგან ნაკლები წნევის შედეგად რკალში წვეთები იზრდება უფრო დიდ ზომებამდე. დენის დიაპაზონი მსხვილწვეთოვანი გადატანისთვის საკმაოდ დიდია, მაგალითად მავთულისათვის დიამეტრით $d = 1,6\text{mm}$ $I_{sd} = 120 - 240\text{A}$. როდესაც დენის ძალა $I_{sd} 260\text{A}$ –ზე მეტია, ხდება მკვეთრი გადასვლა ჭავლურ გადატანასთან, შედუღების პროცესის სტაბილურობა უმჯობესდება, შხეფები იკლებს. თუმცა ასეთი დენი ზოგჯერ არ შეესაბამება ტექნოლოგიურ მოთხოვნებს. ამიტომ პროცესის სტაბილიზაციის უზრუნველყოფისათვის უფრო რაციონალური იქნება რკალის კვების იმპულსური წყაროების გამოყენება, რომლების უზრუნველყოფენ გადასვლას ჭავლურ გადატანაზე დენზე დაახლოვებით $I_{sd} \sim 100\text{A}$.

არგონრკალური შეღულების უპირატესობა და მოხმარების სფერო

უდნადი ელექტროდით არგონრკალური შეღულების მოხმარების ძირითადი სფეროა – ლეგირებული ფოლადების და ფერადი ლითონების შენაერთების შეღულება. მცირე სისქის შემთხვევაში არგონრკალური შეღულება შეიძლება შესრულდეს მისართის გარეშე. შეღულების ეს ხერხი უზრუნველყოფს კარგ ხარისხს და შენადული ნაკერების ფორმირებას, იძლევა საშუალებას ზუსტად დაიცვას ლითონის ჩაღულების სიღრმე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ნაწარმის ზედაპირთან ცალმხვრივი მიდგომით თხელი ლითონის შეღულების დროს. ამ მეთოდმა მიიღო ფართო გამოყენება უძრავდერძიანი მიღების პირაპირა შეღულებაში, რისთვისაც იყო დამუშავებული შეღულების აპარატების სხვადასხვა კონსტრუქციები. ასეთ შეღულებას ზოგჯერ უწოდებენ ორბიტალურს. შეღულება უდნადი ელექტროდით – არის ერთერთი ძირითადი ხერხი ტიტანის და ალუმინის შენადნობების შეერთების.

არგონით შეღულება დნადი ელექტროდით გამოიყენება უჟანგი ფოლადების და ალუმინის შეღულებისათვის. მაგრამ მისი მოხმარება შედარებით მცირეა.

არგონრკალური შეღულების ნაკლოვანებები

არგონრკალური შეღულების ნაკლოვანებას წარმოადგენს ხელის ვარიანტის გამოყენებისას დაბალი გამომუშავება. მოკლე და სხვადაცხვა ორიენტირების ნაკერებისათვის ავტომატური შეღულების გამოყენება ზოგჯერ შეუძლებელია.

დამცავ აირებში შეღულებისას ელექტრული რკალი და გამდნარი ლითონის შეღულების აბაზანა დაცულია ატმოსფერული ჰაერისაგან დამცავი აირით.


დამცავ აირებში შეღულება ძირითადად იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

1) შეღულება ინერტულ აირებში არგონსა და ჰელიუმში;

2) შეღულება აქტიურ აირებში და მათი ნარევი: ნახშირორჟანგში, აზოტში, არგონში + ჟანგბადი, არგონი + წყალბადი, არგონი + აზოტი, არგონი + ნახშირორჟანგი.

დამცავ აირებში შეღულება შეიძლება შესრულდეს დნადი და უდნადი (ვოლფრამის ლანთანირებული) ელექტროდებით.

რკალის მოქმედების მიხედვით შესაძლებელ ლითონზე დამცავ აირებში არჩევენ ირიბი მოქმედების რკალს ორ უდნად ელექტროდს შორის, პირდაპირი მოქმედების რკალით დნადი და უდნადი ელექტროდებით. (ნახ. 1)



ნახ. 1

ელექტრორკალური შეღულება დამცავ აირებში: ა) ირიბი მოქმედების რკალი; ბ) პირდაპირი მოქმედების რკალი უდნადი ელექტროდით; გ) პირდაპირი მოქმედების რკალი დნადი ელექტროდით; 1 – ელექტრული რკალი; 2 – დამცავი აირი; 3 – ელექტროდი; 4 – აირული საქმენი; 5 – მიმწოდი გორგოლაჭი.

ირიბი მოქმედების რკალი ხასიათდება მცირე წარმადობით და გამოიყენება თხელი ფურცლების შესადულებლად. შედულება დნადი ელექტროდით პირდაპირი მოქმედების რკალის შემთხვევაში შეზღუდულია მინიმალური სისქით 0,8-1,0მმ. შედულება უდნადი ელექტროდით პირდაპირი მოქმედების რკალის შემთხვევაში რეკომენდირებულია 3მმ –ღე.

დამცავ აირებად შედულების პროცესში გამოიყენება არგონი, ჰელიუმი, ჟანგბადი, აზოტი, ნახშირორჟანგი და მათი ნარევი, აგრეთვე ჰაერის ჭავლი.

არგონის დახასიათება

არგონი ინერტული უფერო, უსუნო აირია. არგონის მოცულობითი კონცენტრაცია ჰაერში 0,93% -ია. არგონი ჰაერთან შედებით მძიმეა და ამიტომ უზრუნველყოფს შედულების აბაზანის კარგ დაცვას. არგონის მიღება ხდება ჟანგბადის მიმღებ ქარხანაში დამატებითი დანადგარის დახმარებით აზოტის გადამუშავების შემდეგ ჟანგბადისა და ჰაერის გამოყოფის შემდეგ. ბოლო დროს არგონის მიღება სწარმოებს მიწისქვეშა ბუნებრივი აირიდან გაცივების შემდეგ და შემდგომში მისი გასუფთავებით. არგონი გამოდის სახ. სტ. ГОСТ 10157-79 სამი მარკის უმაღლესი ხარისხის:

- A- მარკის უმაღლესი ხარისხის სისუფთავით 99,992%;
- B- მარკის პირველი ხარისხის სისუფთავით 99,987%;
- B- მარკის სისუფთავით 99,90%.

არგონი მარკებით Г, Д და E გამოდის ტექნიკური პირობების საფუძველზე.

არგონის შენახვა და ტრანსპორტირება ხდება აირულ მდგომარეობაში ფოლადისაგან დამზადებულ ბალონებში, წნევით 150ატმ. მოცულობით 6მ³, ტევადობით 40 ლიტრი, რომელიც აკმაყოფილებს სახ. სტ. ГОСТ 949-73 მოთხოვნებს. არგონის შესანახი ბალონი შეღებილია ნაცრისფრად. სუფთა უმაღლესი ხარისხის არგონის შესანახი ბალონის ქვედა ნაწილი შეღებილია შავად, ხოლო ზედა ნაწილი შეღებილია თეთრად. ზედა ნაწილში შავი საღებავით გაკეთებულია წარწერა – Аргон чистый.

არგონი უწვადი და არაფეთქებადი აირია. ის არ წარმოქმნის ფეთქებად ნარევს ჰაერთან.

არგონრკალურ შედულებას იყენებენ თხელკედლიანი მასალების ნახშირბადიანი, ლეგირებული ფოლადების, ალუმინის, ფერადი ლითონების, მათი შენადნობების და თუჯის შესადულებლად.

დნადი და უდნადი ელექტროდით შედულება

რკალი იწვის შესადულებელი ნაწარმის და უდნადი ელექტროდის (ვოლფრამის) შორის. ელექტროდი განთავსებულია სანთურაში, რომლის საქმენიდან შეიბერება დამცავი აირი. მისართის მასალა მიეწოდება რკალის ზონაში გვერდიდან და არ არის შეერთებული ელექტროდულ წრედში.

არგონით შედულება შეიძლება იყოს ხელით, როდესაც სანთურა და საშემდულებლო წნელი შემდულებლის ხელშია, და ავტომატური – სანთურა და საშემდულებლო წნელი გადაადგილდება შემდულებლის უშუალო მონაწილეობის გარეშე.

შედულების ამ ხერხის დროს, დნადი ელექტროდით შედულებისაგან განსხვავებით, რკალის ანთება არ შეიძლება იყოს შესრულებული ელექტროდის ნაკეთობაზე მიღების გზით, ორი მიზეზის გამო.

პირველ რიგში, არგონს აქვს საკმაოდ მაღალი იონიზაციის პოტენციალი, ამიტომაც რკალის მონაკვეთის იონიზაცია, ნაკეთობის და ელექტროდს შორის ნაპერწკლის ხარჯზე, საკმაოდ რთულია. (დნადი ელექტროდით არგონრკალური შედულების დროს იმის შემდეგ რაც მავთული შეეხება ნაწარმს, რკალის ზონაში ჩნდება რკინის ორთქლი, რომლის იონიზაციის პოტენციალი 2,5 ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე არგონის, რაც აძლევს საშუალებას რკალის ანთებას). მეორედ, ვოლფრამის ელექტროდით ნაწარმის შეხებას მიყავს მის დაბინძურებასთან და ინტენსიურ დნობასთან. ამიტომაც უდნადი ელექტროდით არგონრკალური შედულების დროს რკალის ანთებისათვის კვების წყაროსთან პარალელურად ერთვება მოწყობილობა, რომელსაც ეწოდება „ოსცილატორი“.

ოსცილატორი მიაწოდებს ელექტროდზე რკალის ასანთებათ მაღალსიხშირიან მაღალძაბვიან იმპულსებს, რომლებიც ასხივებენ რკალის მონაკვეთს და უზრუნველყოფენ რკალის ანთებას შედუღების დენის ჩართვის შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ არგონით შედუღება ტარდება ცვალებად დენზე, რკალის ანთების შემდეგ ოსცილატორი გადადის სტაბილიზატორის რეჟიმში და იძლევა იმპულსებს რკალზე პოლარულობის შეცვლის მომენტში, რომ უზრუნველყოს მყარი რკალის წვა და ააცილოს რკალის მონაკვეთის დეიონიზაცია.

მუდმივი დენით შედუღებისას ანოდზე და კატოდზე გამოიყოფება სითბო, სხვადასხვა რაოდენობით. 300A დენის სიდიდეზე გამოიყოფა სითბო ანოდზე 70% და კატოდზე 30%. ამიტომ, ნაწარმის მაქსიმალურ დნობისათვის და ელექტროდის მინიმალურ გახურვისათვის, პრაქტიკულად ყოველთვის გამოიყენება პირდაპირი პოლარულობა. ყველა ფოლადები, ტიტანი და სხვა მასალები, გარდა ალუმინისა, დუღდება პირდაპირ პოლარულობაზე. ალუმინი დუღდება, ოქსიდური აფსკის უკეთესი დაშლისათვის, ცვალებად დენზე.

ფორიანობის შესამცირებლად არგონს ზოგჯერ უმატებენ ჟანგბადს 3-5% რაოდენობით. ამასთანავე ლითონის დაცვა ხდება უფრო აქტიური. სუფთა არგონი არ იცავს ლითონს დაბინძურებისაგან, სისველისაგან და შესადუღებელი ნაწიბურების ან მისართის ლითონის შედუღების ზონიდან მოხვედრილ სხვა შენაერთებისაგან. ჟანგბადი, როდესაც შედის ქიმიურ რეაქციებში მავნე შენაერთებთან, უზრუნველყოფს მათ ამოწვას ან გარდაქმნის ისეთ შენაერთებად, რომლებიც ტივტივდება საშემდუღებლო აბაზანის ზედაპირზე. ეს არიდებს ფორიანობას.

დნადი ელექტროდით შედუღება მიმდინარეობს: ნახევარავტომატით, ავტომატით, ელექტრომოქლონური და კომბინირებული აირმდნობის დაცვით. შედუღება მიმდინარეობს როგორც მუდმივი დენით, აგრეთვე ცვლადი დენითაც.

დამცავ აირ არგონში შედუღებისას უდნად ელექტროდად გამოიყენება ლანთანირებული ვოლფრამის სხვადასხვა დიამეტრის, რაც დამოკიდებულია დენის ძალის ცვლილებასთან შედუღება მიმდინარეობს პირდაპირი პოლარობით.

დნად ელექტროდად შესადუღებელ მავთულად დამცავ აირ არგონში გამოიყენება შესაბამისი მავთულები. ასე მაგალითად ალუმინისა და მისი შენადნობებისათვის – A0, A1, A2, A3, A4, A5 სახ. სტ. ГОСТ 4784-97. სპილენძისა და მისი შენადნობებისათვის MT, M1 ГОСТ352-78, 2001. უჟანგავი ფოლადების შესადუღებლად CB – 01x19H9, CB – 04x19H9, CB – 08x16H8M2 ГОСТ 2246-81 და სხვა.

ხელით არგონრკალური შედუღების მონყობილობა ცვლადი და მუდმივი დენის შემთხვევაში

ხელით არგონრკალური შედუღებისათვის საჭიროა სანთურა უდნადი ვოლფრამის ლანთანირებული ელექტროდით მუდმივი დენით პირდაპირი პოლარობით. სანთურის გაცივება წყლით მაღალი და უწნეოდ დაბალი ამპერაჟის შემთხვევაში, შედუღების კვების წყარო, როგორც ცვლადი ისე მუდმივი დენის, მისართი მასალა, ბალონი არგონით, რედუქტორი, როტამეტრი, ფარი და ნიღაბი.

დღეისათვის ხელით არგონრკალური შედუღებისათვის უდნადი ელექტროდით გამოიყენება აპარატურა, რომელიც მუშაობს, როგორც მუდმივ დენზე აგრეთვე ცვლად დენზე. ასეთ აპარატს მიეკუთვნება აპარატები TIG 207 & 208 AC/DC, აპარატი TIG 208. გაცივება ხდება წყლით.

ცვლადი და მუდმივი დენით შედუღების რეჟიმში ხელით შედუღების აპარატურისათვის TIG 207 და TIG 208 მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1

ცვლადი და მუდმივი დენის შედუღების რეჟიმები

| დენის გვარობა | შესადულებელი ლითონის სისქე მმ | დენის ძალა | ელექტროდის დიამეტრი, მმ | საქშენი Ø მმ | არგონის მიწოდება ლ/წთ |
|-----------------|-------------------------------|------------|-------------------------|--------------|-----------------------|
| მუდმივი დენი DC | 0,5 - 5 | 10 - 130 | 1,6 | 9,8 | 6 - 7 |
| | 4 - 6 | 130 - 160 | 2,4 | 11 | 7 - 8 |
| ცვლადი დენი AC | 1 - 2,4 | 50 - 90 | 1,6 | 9,8 | 6 - 7 |
| | 2,4 - 3,2 | 80 - 150 | 2,4 | 9,8 | 7 - 8 |
| | 3,2 - 5,0 | 120 - 200 | 2,0 - 2,4 | 9,8 - 15,7 | 8 - 10 |

ხელით არგონრკალური შედულებისას უდნადი ვოლფრამის ელექტროდით, შექცეული პოლარობით შედულებისათვის გამოყენებული სანთურა, რომელშიც განთავსებულია ვოლფრამის ლანთანირებული ელექტროდი, რომელსაც იჭერს ცანგა ხრახნის დახმარებით. ცანგა აფიქსირებს და უზრუნველყოფს დენის მიყვანას ელექტროდზე. დამცავი აირი არგონი მიეწოდება არხით კამერაში და საქშენში. სანთურის კორპუსი დაცულია გადახურებისაგან, გამაგრებელი წყალი მიეწოდება მილით, რომელიც აგრილებს დენმიმყვან მავთულს.

ვოლფრამის ელექტროდის საიმედო დაცვისათვის ჰაერისაგან კონკრეტულად ჟანგბადისაგან დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიამეტრის სწორ შერჩევას და საქშენის გეომეტრიას.

ავტომატური და ნახევარავტომატური არგონრკალური შედულება


დამცავ აირ არგონის ქვეშ დნადი ელექტროდით (მავთულით) ნახევარავტომატური შედულებისათვის გამოყენებული სანთურა, როგორც ცვლადი ისე მუდმივი დენის გამოყენებით. მისი ჩამრთველი დილაკი ერთდროულად რთავს მავთულის მიწოდებას და დამცავ აირ არგონს.

ნახევარავტომატური შედულების სანთურა, რომელის გამოიყენება უდნადი ვოლფრამის ელექტროდით შედულებისათვის, არის რკალში შესადულებელი მავთულის მექანიზირებული მიწოდებით.

ნახევარავტომატური შედულებისას დნადი და უდნადი ელექტროდით აპარატურა შედგება მავთულის მიწოდების მექანიზმით, შლანგირი მილგაყვანილობით, რომლის დახმარებითაც მიეწოდება აირი, შესადულებელი მავთული, მართვის კარადა და შედულების კვების წყარო.


ავტომატური შედულება დნადი ელექტროდით პირდაპირი მოქმედების რკალით არგონრკალური შედულებისას, როდესაც რკალი ანთია შესადულებელ მავთულსა და შესადულებელ ლითონს შორის სქემატურად მოცემულია ნახ. 2-ზე.

დნადი ელექტროდით ავტომატური შედულებისათვის საჭიროა შემდეგი მოწყობილობები: 1 - რელექტორი, 2 - როტამეტრი, 3 - შესადულებელი თავი, 4 - დენმიმყვანი მასალა, 5 - მავთულის მიწოდების მექანიზმი რკალში, 6 - ბუხტა შესადულებელი მავთულის, 7 - შედულების კვების გენერატორი, 8 - ბალასტური რეოსტატი, 9 - ბალონი არგონით.



ნახ. 2 ავტომატური შედუღება დნადი ელექტროდით

ავტომატური შედუღება უდნადი ელექტროდით პირდაპირი მოქმედების რკალით არგონრკალური შედუღებისას, ცვლადი დენის გამოყენებით, როდესაც რკალი ანთია ვოლფრამის ელექტროდსა და შესადუღებელ ლითონს შორის სქემატურად მოცემულია ნახ. 3-ზე.



ნახ. 3 ავტომატური შედუღება უდნადი ვოლფრამის ელექტროდით ცვლადი დენის გამოყენებით

უდნადი ელექტროდით ავტომატური შედუღებისათვის საჭიროა შემდეგი მოწყობილობები: 1 – ბალონი არგონით, 2 – რედუქტორი, 3 – მანომეტრი, 4 – როტამეტრი, 5 – შესადუღებელი სანთურა, 6 – ბალასტური რეოსტატი, 7 – ოსცილატორი, 8 – შედუღების ტრანსფორმატორი, 9 – დროსელი, 10 – შესადუღებელი ლითონი, 11 – ვოლფრამის ელექტროდი.

ნახევარავტომატური და ავტომატური დნადი და უდნადი ელექტროდებით დამცავ აირ არგონში შედუღება გამოიყენება ალუმინის, მაგნიუმის, უჟანგავი ფოლადების ტიტანის, სპილენძის და მათი შენადნობების დასაკავშირებლად. ცვლადი დენი არღვევს ძნელად მდნობ ჟანგეულების აფსკს. რკალის მდგრადი ნთებისას შედუღების ქსელში რთავენ აქტიურ წინაღობას (ბალასტურ რეოსტატს) და რკალის ასანთებად გამოიყენებულია ოსცილატორი OC-1.

არგონრკალური შედუღებისათვის გამოიყენება ავტომატები АСТ, ОДА და ГТМ გამოიყენება მილების შესადუღებლად.

ჩამოსაკიდი არგონრკალური შედუღების ავტომატი АГВ-5 შედუღების თავი შედგება შედუღების თავისაგან, მავთულის მიწოდების მექანიზმისაგან, გადაადგილების მექანიზმისაგან, მავთულის ჩასადები კოჯისაგან და დამაგრების მექანიზმისაგან. ავტომატ АГВ-5-ის შედუღების თავის შემადგენელი ნაწილებია: სანთურის დამაგრების მექანიზმი, სანთურა ვოლფრამის ელექტროდით, ვიბრატორი, მავთულის მიწოდების რედუქტორი, სუპორტი, ვერტიკალური გადაადგილების მექანიზმი და გადაადგილების მექანიზმი.

შედუღების კვების წყაროები ხელით,
ნახევარავტომატური და ავტომატური შედუღებისათვის

არგონრკალური შედუღებისას ხელით, ნახევარავტომატით და ავტომატით გამოიყენება მუდმივი და ცვლადი დენის შედუღების კვების წყაროები: გენერატორები, ტრანსფორმატორები და გამმართველები.

გენერატორებიდან გამოყენებას პოულობს ПСО-500, ПСГ-500, ПД-500, ტრანსფორმატორებიდან ТД-300, ТД-500, გამმართველებიდან ВД-301, ВДУ-504, ВДУ-506.

დღეისათვის კვების წყაროებად გამოიყენება ისეთი კვების წყაროები, რომლებსაც შეუძლიათ მუშაობა, როგორც ცვლად ისე მუდმივდენზე.

**არგონრკალური შედუღებისას კონსტრუქციული ელემენტები და
შენადული ნაკერის ზომები სტანდარტის ГОСТ 14771-76
მონაცემების მიხედვით**

სტანდარტში ГОСТ 14771-76 მოცემულია არგონრკალური შედუღების შემდეგი აღნიშვნები:

ИН – შედუღება ინერტულ აირებში უღნადი ელექტროდით;

ИИп – შედუღება ინერტულ აირებში უღნადი ელექტროდით მისართი მასალით. სტანდარტში მოცემულია პირაპირა თავგადადებული კუთხური შესადუღებელი ნაწიბურის გამოყვანისა და შენადული ნაკერების ზომები ინერტულ აირებში შედუღებისას შესადუღებელი მასალის სისქის მიხედვით.

ლიტერატურა

1. გ. კახიშვილი. სადოქტორო დისერტაცია. სტუ. თბილისი. 2016წ.
2. ა. სულამანიძე, გ. დადიანიძე. მაგისტრალურ მილსადენთა შედუღება. თბილისი. 2013წ.
3. მ. ხუციშვილი. შენადული კონსტრუქციები და დიაგნოსტიკა. სტუ. თბილისი. 2009წ.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია არგონრკალური შედუღების ზოგადი ცნებები: არგონრკალური შედუღების გამოყენების არე, ზოგადი მახასიათებლები, მოხმარების სფერო, უპირატესობა და ნაკლოვანებები შედუღების სხვა სახეობებთან შედარებით.

აგრეთვე, ნაშრომში მოყვანილია არგონის დახასიათება, შედუღების ტექნოლოგია ღნადი და უღნადი ელექტროდებით, ცვლადი და მუდმივი დენით შედუღების რეჟიმების ცხრილი, შედუღების კვების წყაროები ხელით, ნახევარავტომატური და ავტომატური შედუღებისათვის.

Summary

The article describes general concepts of argon-arc welding: its uses, general specifications, field of use, advantages and disadvantages compared to other types of welding.

Moreover, the work provides information about the following subjects: description of argon, welding technologies with melting and un-melting electrodes, alternating and constant current welding modes, supply for manual, semi-automatic and automatic welding.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე

სოფიკო ჯვარშიშვილი
ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის
საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილების
მეცნიერთანამშრომელი
უჩა გოგრიჭიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

წინამდებარე სტატიაში სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე აღწერილია რეგიონის სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობა და ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები ქვემო ქართლის რეგიონში და უცხოური კაპიტალის ზეგავლენა მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

საკვანძო სიტყვები: რეგიონის ეკონომიკური გეოგრაფიული მდებარეობა; ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობა; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვემო ქართლის რეგიონში; რეგიონის ეკონომიკური განვითარება;

რეგიონის ეკონომიკური გეოგრაფიული მდებარეობა:

ქვემო ქართლი ქ.თბილისიდან სამხრეთით მდებარეობს. დასავლეთით ესაზღვრება სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთით - ქ. თბილისი, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი, აღმოსავლეთით - კახეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - აზერბაიჯანი, ხოლო სამხრეთით - სომხეთი. ქვემო ქართლის რეგიონის ფართობია 6,4 ათასი კვ.კმ., რაც ქვეყნის ტერიტორიის 9,2%. რეგიონში განლაგებულია ექვსი მუნიციპალიტეტი: გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, დმანისის და წალკის მუნიციპალიტეტები, 7 ქალაქი (რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრი წყარო, მარნეული, წალკა), 8 დაბა (კაზრეთი, თამარისი, დიდი ლილო, კოჯორი, მანგლისი, შაუმიანი, ბედიანი, თრიალეთი) და 338 სოფელი. ეკონომიკური გეოგრაფიული მდებარეობა რეგიონს განვითარების კარგ შესაძლებლობას უქმნის, რადგანაც აქვს ახლო მდებარეობა ქ. თბილისთან და თბილისის აეროპორტთან და ასევე სასაზღვრო რეგიონია აზერბაიჯანთან და სომხეთთან. [1]

ქვემო ქართლის რეგიონის მოსახლეობა

რადგანაც ქვემო ქართლი სასაზღვრო რეგიონია ამიტომ მასში ეთნიკურად მრავალფეროვანი მოსახლეობაა წარმოდგენილი, რათქმუნდა დომინანტი არის ქართველები, ეთნიკური უმცირესობის ძირითადი ნაწილი უკავია აზერბაიჯანელებს და სომხებს, ასევე რეგიონში გვხვდებიან მცირე რაოდენობით ბერძნები, რუსები და პოლონელები.[2] ქვემო ქართლში 2018 წლის მონაცემებით 432.3 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც საქართველოს მოსახლეობის 11,6%-ია, მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან ნახევარზე მეტი - 245,1 ადამიანი 57% სოფლის მაცხოვრებელია. 2018 წელს ბოლო წლებთან შედარებით როგორც ქალაქებში ისე სოფლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატების დადებითი ბალანსი აღინიშნება. ბოლო წელს წინა წელთან შედარებით მოსახლეობა მხოლოდ 3 %-ით არის გაზრდილი. (იხ.ცხრილი 1) [3].

ქვემო ქართლის მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი) [3]

ცხრილი 1


| | | | | | | | | | | | |
|-----|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
| სულ | 421.2 | 424.0 | 422.8 | 422.8 | 421.5 | 421.0 | 422.5 | 425.2 | 428.0 | 429.7 | 432.3 |

| | | | | | | | | | | | |
|--------------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| საქალაქო დასახლება | 179.5 | 180.5 | 179.9 | 179.9 | 179.3 | 179.0 | 179.6 | 181.5 | 183.6 | 185.1 | 187.1 |
| სასოფლო დასახლება | 241.8 | 243.4 | 242.9 | 242.9 | 242.3 | 242.0 | 242.9 | 243.7 | 244.4 | 244.5 | 245.1 |

როგორც რეგიონში ასევე ქვეყნის მასშტაბით ბოლო ათი წლის მანძილზე სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი მკვეთრად შემცირდა, შეიძლება ითქვას განახევრდა და 2018 წელს შეადგინა შესაბამისად 21, 3% და 20,1%, ეს იმას ნიშნავს, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს ყოველი მეხუთე ადამიანი, რაც ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით 744700 კაცია, ხოლო რეგიონის მასშტაბით კი 86460 (იხ. დიაგრამა 1) [3]; ქვემო ქართლის რეგიონში ჯინის კოეფიციენტი 0,40 უტოლდება, რომლის დამახასიათებელი ნიშანი მცირე რიცხოვანი საშუალო კლასის არსებობაა.

დიაგრამა 1

სიღარიბის აბსოლუტური ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი ქვემო ქართლის რეგიონში, (%) 2007-2018 წწ. [3]




რეგიონში მთლიანი აქტიური მოსახლეობის რაოდენობა, ანუ სამუშაო ძალა 2018 წელს - 229,5 ათასი კაცია, რაც საქართველოს აქტიური მოსახლეობის 12 %-ია. 2018 წელს რეგიონში დასაქმებულთა რაოდენობამ 194,4 ათასი ადამიანი (რეგიონის მოსახლეობის 45%) შეადგინა, უმუშევრობის დონემ კი ბოლო ათი წლის მანძილზე მიაღწია თავის მაქსიმალურ ნიშნულს და 2018 წელს შეადგინა 15,3 % . დასაქმების დონე, წინა წელთან შედარებით შემცირდა 3 %-ით და 2018 წელს დაფიქსირდა 59 %. [3] უმუშევრობის ძირითადი მიზეზი, შეიძლება სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია მივიჩნიოთ, რაც თავისმხრივ ექვემდებარება გამოსწორებას, სხვა და სხვა სახის კვალიფიკაციის ამალგების კურსების შეთავაზებით, რომელიც თავისმხრივ სახელმწიფომ ან სხვა და სხვა ფორმის ორგანიზაციებმა ხელმისაწვდომი უნდა გახადონ ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

ქვემო ქართლში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი

ქვემო ქართლში წარმოებული დამატებული ღირებულება 2017 წლის მონაცემებით 2644, 3 მლნ. ლარს შეადგენდა, რაც საქართველოში წარმოებული დამატებული ღირებულების დაახლოებით 8,1% . უკანასკნელ წლებში, ქვემო ქართლში აღინიშნება დადებითი ტენდენციები ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარების მხრივ. შეიმჩნევა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, როგორც მრეწველობის, ისე მომსახურების

სფეროში. გაჩნდა თანამედროვე ტიპის სავაჭრო ობიექტები და აგრარული ბაზრობები. ქვემო ქართლის რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი უკავია მრეწველობას 37%, მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობის წილი მხოლოდ 18%-ს შეადგენს, რაც რეგიონის ინდუსტრიულ სპეციფიკაზე მიუთითებს, დანარჩენი დარგების წილი კი უმნიშვნელოვნია. (იხ. დიაგრამა 2) [3].

ქვემო ქართლის რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2017 წელი [3]



ბოლო ათი წლის განმავლობაში რეგიონში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ფიქსირდება. 2007 წელთან შედარებით ქვემო ქართლში წარმოებული დამატებული ღირებულება გაიზარდა 89%-ით (იხ. დიაგრამა 3) [3], რაც რეგიონისათვის, ძალზედ დადებითი ტენდენციაა.

დიაგრამა 3

ქვემო ქართლში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში (მლნ. ლარი) [3]




პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვემო ქართლის რეგიონში

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო რაოდენობამ, საქსტატის ინფორმაციით, 2018 წელს 1,265 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებელზე 35.5 %-ით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელდა - 87,028 მლნ აშშ დოლარი. რაც ქვეყნის კუი-ს 8 %-ია. (იხ. დიაგრამა 4 [3]).

დიაგრამა 4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვემო ქართლის რეგიონში [3]




მეოთხე დიაგრამაზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდა აღინიშნება, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ქვემო ქართლში უცხოური კაპიტალდაბანდებები გაოთხმაგდა. წინა წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვემო ქართლის რეგიონში გაიზარდა 20%-ით. რეგიონში პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების ზრდის ტენდენციები გამომდინარეობს რეგიონალური პოლიტიკის გაუმჯობესებით, რომელიც მიზანმიმართულია, იმაზე რომ უცხოელ ინვესტორს შეუქმნან კარგი საინვესტიციო კლიმატი, უკვე 2012 წელს ქვემო ქართლის რეგიონში შეიქმნა რეგიონალური განვითარების სააგენტო, რომლის მისია იყო და არის ხელი შეუწყოს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.[4] საქსტატის ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით ბიზნეს სექტორში კერძო უცხოურ კომპანიებში დასაქმებულთა საშუალო წლიურმა რაოდენობამ 2017 წლის მონაცემებით შეადგინა 9122 ადამიანი რაც ბიზნეს სექტორში დასაქმებულების 22%-ია. (იხ.დიაგრამა 6) [3].

დიაგრამა 6


ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა ქვემო ქართლის რეგიონში, საკუთრების ფორმების მიხედვით [3]



დასაქმებულთა შრომის საშუალოთვიური ანაზღაურება ქვემო ქართლის რეგიონის უცხოურ კომპანიებში ორჯერ მეტია ვიდრე ადგილობრივ კომპანიებში დასაქმებულების ანაზღაურება (იხ. დიაგრამა 7)[3].

დიაგრამა 7


ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება ქვემო ქართლის რეგიონში, საკუთრების ფორმების მიხედვით, ლარი [3]



უცხოურ კომპანიებში გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ ქვემო ქართლის რეგიონში ბოლო ათი წლის მანძილზე გასამმაგდა და მიაღწია თავის მაქსიმუმს 2017 წელს შეადგინა 1459.8 მლნ. ლარი, რაც წინა წელთან შედარებით გაიზარდა 9%-ით. იხ. დიაგრამა 8 [3].

დიაგრამა 8

ბიზნეს სექტორში გამოშვებული პროდუქცია ქვემო ქართლის რეგიონში, საკუთრების ფორმების მიხედვით, მლნ. ლარი [3]



ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგიის მონაცემებზე დაყრდნობით აღსანიშნავია ის, რომ რეგიონში განხორციელდა რამდენიმე მსხვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ძირითადად მძიმე, მომპოვებელ და სამთომადნო

მრეწველობაში. რეგიონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს გერმანული „ჰაიდელბერგ ცემენტი“, ასევე სს „RMG Copper“ და შპს „RMG Gold“. უკანასკნელ წლებში, განხორციელდა მნიშვნელოვანი უკრაინული ინვესტიცია ქვემო ქართლში არსებულ რეგიონულ ავტობაზრობაშიც. ქ. რუსთავში, ფუნქციონირებს უცხოური ინვესტიციით შექმნილი რამდენიმე მსხვილი საწარმო. მათ შორისაა ინდური „ჯეოსთილი“, რომლის მიერ წარმოებულ ფოლადზე დიდი მოთხოვნაა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მეზობელ სახელმწიფოებში. „ჯეოსთილი“ საქართველოში ფოლადის ყველაზე დიდი მწარმოებელია, რომლის საწარმოო ინფრასტრუქტურა 13 ჰექტარზეა გაშლილი, ხოლო საწარმოს წარმადობა წელიწადში 175 ათას ტონას შეადგენს. [4] ივლისის 2017 წლიდან დმანისის მუნიციპალიტეტში ასევე განხორციელდა ლატვიელი ინვესტორის მიერ მესაქონლეობის დარგში მსხვილი ინვესტიცია. დმანისის ტერიტორიაზე 500 ჰექტარ ფართობზე მესაქონლეობის ფერმა მოეწყო და 354 სული სახორცე - „ყალმუხეთის“ ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი ჩამოიყვანეს იუწყება ქვემო ქართლის რეგიონალური განვითარების სააგენტო. [5]

დასკვნა

ქვემო ქართლში მრეწველობის სექტორს, სოფლის მეურნეობას და ტურიზმის სფეროს განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. დღეისათვის, რეგიონის მთავრობა ხელს უწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას რაც თავისმხრივ იწვევს რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას და, რაც მთავარია, ხელს უწყობს რეგიონში ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნესის განვითარებას.

SUMMARY

The Impact of foreign direct investment on economic development of Kvemo Kartli region of Georgia

Sofiko Dzhvarsheishvili
Ucha Gogrichiani

The region of Georgia Kvemo Kartli has a significant potential for industry, agriculture and tourism development. At present time, the government of the region promotes to attract foreign direct investment, which in turn contributes to the region's GDP growth and, more importantly, promotes to local and international business development in Kvemo Kartli.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს გეოგრაფია; ნაწილი II სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია; გეოგრაფიის ინსტიტუტი; თბილისი 2003;
2. ქვემო ქართლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განწყობების შესწავლა; შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო; სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი; ქ.თბილისი 2011;
3. <http://www.geostat.ge>
4. ქვემო ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის;
5. <http://kkcrda.ge/>

ბოჭკოვანი კომპოზიტიური მასალის თვისებების აღმწერი გან- ზოგადებული მოდელები

ბიძინა აბესაძე
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: განზოგადებული მოდელი, დეფორმაცია, კომპოზიტი, თვისება.

1. შესავალი

გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ოლიმპიური თამაშების განვითარებამ ეკონომიკის აღმავლობა გამოიწვია, რადგან შენდებოდა საპაექრო სარბიელები, გულშემატკივრებისთვის ღამის გასათევი ადგილები და კვების ობიექტები; აწარმოებდნენ სასპორტო ინვენტარს. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ოლიმპიასა თუ რომში ოლიმპიურ თამაშებს ორგანიზატორებისთვის მოგება მოჰქონდა; ვაჭრები და ხელოსნებიც ბევრ ფულს შოულობდნენ ტანსაცმლის, იარაღის, სუვენირებისა თუ სხვა ნივთების გაყიდვით.

დიდი ქალაქების გრანდიოზულ საშეჯიბრო ობიექტებზე შესვლა ფასიანი იყო. ასე რომ, ჯერ კიდევ უძველეს დროში ჩაეყარა საფუძველი საბილეთო ბიზნესს.

ოლიმპიური თამაშების გაუქმების (393 წ.) შემდეგ ეს სფერო დავიწყებას მიეცა, მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, კერძოდ, ოლიმპიური თამაშების აღორძინების მერე, სპორტი სწრაფი ტემპით განვითარდა და მასობრივი გახდა, რამაც, თავის მხრივ, მოთხოვნილება გაზარდა სასპორტო ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, ფორმასა და ინვენტარზე. სასპორტო საქონელმა და მომსახურებამ სპორტის ინდუსტრიასა და სასპორტო ბიზნესის კომპლექსურ სისტემამდე მიგვიყვანა. მის ცენტრალურ ელემენტად პროფესიული სპორტი იქცა. ამიტომაც არის უშეღავათო კონკურენცია სახელმწიფოებს შორის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად, რადგან შოუბიზნესი ქვეყანას თავის წილ მოგებას აძლევს.

აი, მაგალითად, 2019 წლის აპრილში ბათუმმა ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. აჭარის დედაქალაქში 42 ქვეყნის 400-მდე სპორტსმენი ჩავიდა. მათთან ერთად 100-მდე ჟურნალისტი, ასევე, მწვრთნელ-არბიტრთა დიდი კორპუსი და 1500-მდე ტურისტი ეწვია პირველობის მასპინძელ ქალაქს. შეჯიბრებისთვის სახელმწიფომ 2 მილიონამდე ლარი გამოიყო და ოფიციალურად ამდენივე ჩაბრუნდა ქართულ ეკონომიკაში. თუმცა აქ გათვალისწინებული არ არის ის თანხა, რომელიც სუვენირებში, კვების ობიექტებსა და სასტუმროებში გადაიხადეს სტუმრებმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ Eurosport-ის არხით ქომაგები ბათუმიდან პირდაპირ ტელეტრანსლაციას უყურებდნენ 60-მდე ქვეყანაში 40 საათის განმავლობაში, რამაც ქვეყნის ცნობადობას შეუწყო ხელი. ამ შეჯიბრების შემდეგ ჩვენთან ძალოსნობით დაინტერესებულ მოზარდთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და ხუთ ქალაქში გაიხსნა დარბაზები, რომლებსაც შეჯიბრებისთვის შეძენილი ინვენტარი გაუნაწილდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ შეჯიბრებით საქართველომ დიდი მოგება ნახა როგორც მატერიალური, ისე მორალური თვალსაზრისით.

საერთოდ, ტელევიზიის საყოველთაოდ გავრცელებამ მაყურებელთა რიცხვი რამდენიმე მილიონამდე გაზარდა, ამ მოვლენას თან ახლავს მსოფლიოს ეკონომიკის ზრდა. შედეგად საუკეთესო სპორტსმენების ანაზღაურებამ კოლოსალურ თანხას მიაღწია. სტატისტიკის მოყვარულთა გამოთვლით, დღეს ზოგიერთი ფეხბურთელის საფასურით „ბონგის“ შეძენა შესაძლებელია. მთვარემდე რომ სამანქანო გზა იყოს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ღირებულების ბენზინით 73 000-ჯერ შეიძლებოდა იქ წასვლა და უკან დაბრუნება.

აუდიტორული კომპანია Deloitte-ის ცნობით, მსოფლიოს 20 ყველაზე მდიდარი ევროპული კლუბის შემოსავალმა 2015-2016 წლებში 7,4 მილიარდ ევროს მიაღწია. აქედან „მანჩესტერ იუნაიტედი“ 689 მილიონი ევროთი გამოირჩევა. ამ თანხის 43% კლუბმა სპონსორული კონტრაქტებითა და სუვენირების, 39% - ტელეტრანსლაციის უფლების, დაახლოებით 18% კი ბილეთების გაყიდვიდან მიიღო. ცხადია, საერთო მაჩვენებელში სატრანსფერო გარიგებებიდან მიღებული ფულიც შედის.

ფეხბურთში ყველაზე პრესტიჟული ტურნირის - ჩემპიონთა ლიგის ბიუჯეტმა 2017 წლის სეზონში 1.31 მილიარდი ევრო შეადგინა, გამარჯვებულმა მადრიდის „რეალმა“ კი 57 მილიონი ევრო დაიმსახურა, რასაც ტელეტრანსლირებიდან კიდევ 100 მილიონი დაემატა.

იტალიურმა გამოცემა La Gazzetta dello Sport-მა გამოაქვეყნა სერია A-ში მოთამაშე ფეხბურთელების ხელფასი. საამისოდ „იუვენტუსი“ ყველაზე მეტს ხარჯავს - 294 მილიონ ევროს. მეორეზეა „ინტერი“, რომელიც ფეხბურთელებს 139 მილიონს უხდის.

შთამბეჭდავია თავად სპორტსმენების ანაზღაურებაც. ფრანგული ჟურნალ France Football-ის შედგენილი რეიტინგით, 2018 წელს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელთა შორის პირველ ადგილზე იყო ლიონელ მესი (ესპანეთის „ბარსელონა“).

მისმა წლიურმა შემოსავალმა 130 მილიონი ევრო შეადგინა. ამ თანხაში შევიდა არა მარტო კლუბის ხელფასი, არამედ - სარეკლამო კონტრაქტების შემოსავალი. მეორე ადგილზეა იტალიური „იუვენტუსის“ თავდამსხმელი კრიშტიანუ რონალდო. შარშან წლის განმავლობაში მან 113 მილიონი ევრო მიიღო. 91.5 მილიონი ევროთი მესამე ადგილზეა ბრაზილიელი ნეიმარი (საფრანგეთის პსჟ).

ზემოაღნიშნული ფაქტებიდანაც ნათლად ჩანს, რომ სპორტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, ინტენსიურად და დადებითად ზემოქმედებს სახელმწიფოს და საზოგადოების ეკონომიკურ სფეროზე: მთელ მსოფლიოში დამკვიდრდა ჩაცმულობასა და ცხოვრების მანერაში „სასპორტო სტილი“. ადამიანთა მოთხოვნილებებზე შესაბამისად რეაგირებს ბაზარი. თანამედროვე სასპორტო ინდუსტრია, რეკლამების, საგამომცემლო საქმიანობისა და ტელე-რადიო ტრანსლაციების გაყიდვის გარდა, სასპორტო ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ინვენტარის, ტრენაჟორებისა და აქსესუარების წარმოებას გულისხმობს. სასპორტო შენობა-ნაგებობების (სტადიონების, მოედნების, დარბაზების, საცურაო აუზების) მფლობელები აქტიურად არიან ჩაბმული საბიზნესო საქმიანობაში.

სასპორტო საქონლისა და მომსახურების სფეროს ფირმები აფართოებენ პროდუქციის ასორტიმენტს, აუმჯობესებენ მის ხარისხს, რადგან დიდი მოთხოვნილებაა პროფესიონალი სპორტსმენების, მწვრთნელების, კლუბების მხრიდან. ამას კი მწარმოებლებისთვის მნიშვნელოვანი მოგება მოაქვს. ამიტომ ბაზარზე დიდი კონკურენციაა. მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამ ბრძოლის მოგება მხოლოდ გამართული მარკეტინგის საშუალებით შეიძლება. სასპორტო ინვენტარისა და ფორმების მწარმოებელი ფირმები რეკლამებისთვის თანხას არ იშურებენ. მილიონებს უხდიან საქვეყნოდ აღიარებულ პროფესიონალ სპორტსმენებს, ანუ იმის თქმა გვინდა, რომ სპორტის ინდუსტრიის წარმატებამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება განაპირობა და პირიქით - სახელმწიფოს ეკონომიკურმა განვითარებამ სპორტის ინდუსტრიის ზრდა გამოიწვია.

თავისი ბუნებით ბიზნესი ძალიან ჰგავს სპორტს, რადგან საწარმოო საქმიანობის საფუძველში საშეჯიბრო და საკონკურენციო სულისკვეთება დევს. როგორც სპორტში, ისე ბიზნესში მონაწილეთა სურვილია დაპირისპირებაში გამარჯვება, თვითგამოხატვა - საკუთარ თავსაც და სხვასაც დაუმტკოცონ, რა შეუძლიათ. ამდენად, სპორტი და ბიზნესი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული, რადგან მსგავსი მოტივაცია და მამოძრავებელი ძალა აქვთ.

საერთაშორისო გამოკვლევებით დასტურდება, რომ სპორტს ინოვაციურ ეკონომიკურ პროცესებში შეუფასებელი წვლილი მიუძღვის: ახალმა ტექნოლოგიებმა, საკონსტრუქტორო თუ სხვა ნამუშევრებმა (ძრავებმა, ძრავების ზეთებმა, საბურავებმა) სახალხო მეურნეობის სფეროში დანერგვამდე ყოველმხრივი გამოცდა უნდა გაიაროს. სწორედ სასპორტო შეჯიბრებებში, ექტრემალურ სიტუაციებში ვლინდება ახალ გამოგონებათა ხარისხი, ეკონომიურობა და სხვა საექსპლუატაციო მახასიათებლები. მსგავს შეჯიბრებებად შეგვიძლია დავასახელოთ ავტორბოლა „ფორმულა-1“, რალი „პარიზი - დაკარი“, მრავალდღიანი ველორბოლები და სხვა.

ფიზიკურ აქტივობას, სპორტს, ტურიზმს, გარდა პირდაპირი ეკონომიკური მოგებისა, რომელიც რაოდენობით იზომება, არამატერიალური კეთილდღეობაც მოაქვს. უპირველესად ისეთ ფაქტორებს ვგულისხმობთ, როგორებიცაა შეჯიბრების პროცესში ადამიანთა თვალსაწიერის გაფართოება და კულტურულ-შემეცნებით პროგრამებში მონაწილეობით ინტელექტუალური დონის ამაღლება.

საზოგადოების კომერციულიზაციისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარების პირობებში სპორტი და სასპორტო ღონისძიებები საქონლის სტატუსს იძენენ, რომელიც

უნდა იყოს კონკურენტუნარიანი. რომ მეტი მაყურებელი მიიზიდოს. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, სპორტის სფეროს ერთ-ერთი მთავარი თავისებურება, სწორედ, ყურებადობაა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

„პრაიმ სპორტ მენეჯმენტისა“ და Fight Nights Georgia-ს პრეზიდენტ ზურაბ ბოქოლიშვილს მიაჩნია, რომ ჩვეთან ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, სპორტს, როგორც გასაყიდ პროდუქტს, ისე მიდგომოდნენ - „სპორტი კარგად იყიდება ყველგან, ყველა დროსა და მოცემულობაში. თუ საქართველოში სპორტი არ იყიდება, ეს ამ ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანების პრობლემაა და არა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარებისა. ყველა ფედერაციას, გუნდს თუ ლიგას სურს, რომ ჰყავდეს სპონსორი, მაგრამ არავენ ცდილობს, საქმიანობა პროდუქტად აქციოს“.

სასპორტო პროდუქტის წარმატებას ერთმანეთს გადაჯაჭვული სამი ძირითადი კომპონენტის ერთიანობა იწვევს - ღონისძიება, გულშემმატკივარი და სპონსორი. თუ ეს სამკუთხედი კარგადაა შეკრული, სასპორტო პროდუქტი წარმატებულია. თუ ვერ ქმნი პროდუქტს, ვერ მოგყავს გულშემმატკივარი, შესაბამისად, არ გყავს სპონსორი. მხოლოდ ის, რომ სპორტსმენს მკერდზე კომპანიის ლოგო ეწეროს, აღარაა აქტუალური.

პროფესიული სპორტი ეს არის საღამოს გატარების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც კონკურენციას უწევს კინოს, თეატრს, ტელევიზიას, რესტორანს. შესაბამისად, პროფესიული სპორტის ვალია, შექმნას ისეთი პროდუქტი, რომელიც რეალურად ამ ყველაფერს კონკურენციას გაუწევს და მოგებას მოიტანს, რადგან ეს ნიშნავს ისეთი სანახაობის შექმნას, სადაც მაყურებელი მოვა. სპორტის სფერო დიდი ხანია, ორგანულად არის ჩართული შოუბიზნესში თუნდაც იმიტომ, რომ სპორტის ვარსკვლავები მონაწილეობენ კულტურულ ღონისძიებებში და ამ სფეროს ვარსკვლავთა სპეციფიკურ თავისებურებებს სხვადასხვა მასშტაბით ასრულებენ.

სპორტისა და შოუბიზნესის სიმბიოზისას ადვილი შესამჩნევია, რომ ბოლო წლებში გართობის ელემენტები სასპორტო ღონისძიებებში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს. აი, თუნდაც ტანმოვარჯიშე გოგონების გამოსვლები საკალათბურთო მატჩების შესვენებებისას. სასპორტო ღონისძიებებსა და შოუწარმოდგენებს შორის თანდათან იშლება ზღვარი - ხშირად შედეგი და შეჯიბრება უკანა პლანზე გადადის.

სპორტის შოუბიზნესის სფეროსთან ურთიერთკავშირის პროცესში ხდება არა მარტო სპორტის წარმომადგენელთა ინტერტეინმენტის ელემენტებში, არამედ კინოს და ტელევიზიის წარმომადგენელთა უშუალოდ სასპორტო შეჯიბრებებში ჩართვა, რაც სპორტის ქომაგებში მსახიობების დადებითი იმიჯის ფორმირების პროცესად შეიძლება მივიჩნიოთ.

დასკვნა

როგორც აღვნიშნეთ, სპორტისა და შოუბიზნესის ურთიერთობის პროცესში ერთობლივ საინფორმაციო სივრცეში იშლება გარკვეული ზღვარი ამ ორ, ერთი შეხედვით, განსხვავებულ სფეროს შორის. გართობისა და შოუს ელემენტები სასპორტო ღონისძიებების სანახაობითობას ამაღლებს, იზიდავს მრავალრიცხოვან აუდიტორიას, შესაბამისად, იზრდება მოგება.

სპორტი არასდროს ყოფილა მხოლოდ გოლები და წამები, მედლები და თასები, არამედ ანტიკური პერიოდიდან ბიზნესსფეროსაც წარმოადგენდა, რომელიც ჩვენს ეპოქაში გიგანტურ ეკონომიკურ საქმიანობად იქცა.

ინგლისური სიტყვიდან entertainment [entertaiment], რაც სანახაობას, წარმოდგენას, გართობას ნიშნავს; გლობალური კინო-ტელე და ვიდეოსაკომპიუტერო

პროდუქცია გასართობი ხასიათისა, მდარე ხარისხისა; მაგალითად, That's all I want from the news, entertainment - ყველაფერი, რაც მე ამბებისგან მინდა - გართობაა.

ლიტერატურა

1. სიმონ ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, 1, 1950;
2. ჰომეროსი, ილიადა (რომან მიმინოშვილის წინასიტყვაობით), 1979;
3. В.В. Галкин, Экономика спорта и спортивный бизнес: учебное пособие. М., 2008.
4. О.А.Разживин, С.В.Хусаинова, Р.Х.Бекмансуров, Экономика и спортивный бизнес, 2013
5. Ф. Шааф, Спортивный маркетинг: Пер. с англ. М.: Филин. 2008,
6. Экономика современного туризма: Рыночное регулирование. Под ред. Г.А.Карповой, 2006.

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ეკონომიკის, სასპორტო ბიზნესისა და ინტერტეინმენტის ურთიერთმიმართების საკითხები. ავტორს მიაჩნია, რომ სპორტის ინდუსტრიის წარმატება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას განაპირობებს და პირიქით - სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება სპორტის ინდუსტრიის ზრდას იწვევს. ამიტომ ქვეყანაში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სპორტის გასაყიდ პროდუქტად ქცევას და მის ჩართვას შოუბიზნესში, რადგან ეს უკანასკნელი სასპორტო ღონისძიებების სანახაობითობას ამალღებს, იზიდავს მრავალრიცხოვან აუდიტორიას, შესაბამისად, ზრდის შემოსავალს და ქვეყანას თავის წილ მოგებას აძლევს.

SUMMARY

Vaja Danelia,
PHD student

Georgian Technikal Universty
Economics, Sports Business and Entertainment

The article deals with the interrelationships of economics, sports business and the Internet. The author believes that the success of the sports industry is driven by the country's economic development and vice versa - the economic development of the state results in the growth of the sports industry. Therefore, the country should pay more attention to selling sporting goods and actively engaging in the show business, as the latter attracts spectacular sporting events, attracts a large audience, thus increasing revenue and giving the country its share of the profits.

საბჭოთა საბინაო სისტემა და მისი გავლენა საქართველოზე

ნაირა გალახვარიძე

სტუ პროფესორი

სოფია გოლეტიანი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის - დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: საცხოვრებელი უძრავი ქონება, პროექტები, უძრავი ქონების ბაზარი

საბჭოთა მოქალაქეების უმრავლესობა საცხოვრებელ ფართს იღებდა უფასოდ. ქარხნები, მსხვილი საწარმოები, სახელმწიფო სტრუქტურები, კვლევითი ინსტიტუტები და უნივერსიტეტები თავიანთ თანამშრომლებს გადასცემდნენ ბინებს იმ პირობით, რომ ოჯახს ესაჭიროებოდა “საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საბინაო პრობლემის მოგვარება და მშრომელთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მნიშვნელოვან ამოცანად განისაზღვრა. განისაზღვა ბინის სანიტარული ნორმები: თითოეული ოჯახის წევრს უნდა ჰქონოდა საცხოვრებელი ფართი მხოლოდ 8 კვ. მეტრის ოდენობით. მაშინაც კი, მოსკოვში ბევრი ცხოვრობდა საერთო საცხოვრებელში და ყაზარმებში. ოთხმოციანი წლებიდან მიდგომა შეიცვალა და ნორმა უკვე ერთ სულზე 9 კვ. მეტრს აღემატებოდა. რაც შეეხება კვადრატულის ფასს საბჭოთა კავშირისთვის ის არ უნდა ყოფილიყო უფრო ძვირი, ვიდრე ქვეყანაში საშუალო თვიური ხელფასი. მაგალითად, 1983 წლამდე, P-44 პროექტის კვადრატული მეტრის ფასი 250 რუბლს შეადგენდა. ბინის ის ფართობი, რომელთა ოჯახის წევრთა რ-ბის მიხედვით ნორმირებულ ფართს აჭარბებდა, ჩამორთმევასა და ახალი მობინადრეებისთვის გადაცემას ექვემდებარებოდა.

სწორედ ამ პროცესმა სათავე დაუდო კომუნალური ბინების ფენომენს.

საბინაო დეფიციტი და მოსახლეობის ცუდი საცხოვრებელი პირობების პრობლემა თბილისშიც მწვავედ იდგა 1920 წლებში. იმჟამინდელი მონაცემებით თბილისში ერთ ოთახზე 2,23 მცხოვრები მოდიოდა. მოგვიანებით, ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, 1928 წლისთვის თბილისში 173 საერთო საცხოვრებელი იყო, სადაც 13,751 ადამიანი ცხოვრობდა, საცხოვრებელი ფართობი 129,930 კვ.მ შეადგენდა, რაც ერთ სულზე 9,4 კვ.მ უდრიდა. საბჭოთა თბილისში საბინაო დეფიციტის აღმოფხვრა ვერც მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე მოხერხდა. თბილისის მოსახლეობა იმ ხანად 1929-დან 1959 წლებში 29,4000-დან 70,3000 გაიზარდა, რაც 130% ზრდას ნიშნავდა. მოსახლეობის ზრდის ტემპი წინ უსწრებდა აშენებული საცხოვრებელი სახლების რაოდენობას. თბილისში 1928-33 წლებში- 168,000 კვ.მ, ხოლო 1949-1954 წლებში კი 49,500 კვ.მ საცხოვრებელი ფართი აშენდა.

მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირის სათავეში ნიკიდა ხრუშჩოვი მოვიდა, გამოიცა ახალი დადგენილება, რაც ათ-თორმეტ წელიწადში საბინაო დეფიციტის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად. პროგრამის მიხედვით, საბინაო დეფიციტი მომდევო 10 წლიან პერიოდში უნდა მოგვარებულიყო და ოცი წლის თავზე თითოეული ოჯახი უზრუნვეყოფილი უნდა ყოფილიყო კეთილმოწყობილი ბინით.

საბინაო მშენებლობამ მართლაც უპრეცედენტო ციფრებს მიაღწია.

დიაგრამა N 1

| საცხოვრებელთა რ-ბა აშენების წლების მიხედვით | | |
|---|------------|---------|
| წელი | საქართველო | თბილისი |
| 1919 წლამდე | 31,790 | 19,018 |
| 1919-1945 | 54,976 | 15,041 |
| 1946-1960 | 183,736 | 33,304 |

| | | |
|-----------|---------|--------|
| 1961-1970 | 230,002 | 59,518 |
| 1971-1980 | 224,496 | 72,473 |
| 1981-1990 | 194,272 | 66,506 |

საბჭოთა კავშირის უკანასკნელ წლებში საქართველოს, საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საბინაო უზრუნველყოფის კუთხით ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა. უკვე 1989 წელს საქართველო, 1 ადამიანზე საერთო საცხოვრებელი ფართობის მიხედვით, მე-4 ადგილს იკავებდა. ერთ ადამიანზე საერთო საცხოვრებელი დართობი 18.4 კვ. მ იყო. საქართველოს ლიტვა, ლატვია, ესტონეთი უსწრებდნენ.

1989 წლისთვის საქართველოში საქალაქო დასახლებების საერთო საცხოვრებელი ფართობი 48,9 მლნ კვ.მ-ს შეადგენდა. რესპუბლიკებს შორის საბინაო ფონდის სიდიდის თვალსაზრისით საქართველოს მე-6 ადგილი ეკავა.

საქართველოს უსწრებდნენ მრავალმინიონიანი ქვეყნები: რუსეთი-1679,2 მლნ. კვ.მ, უკრაინა-562,0 მლნ.კვ.მ, ყაზახეთი -137,4 მლბ.კვ.მ, ბელორუსი -102, 3 მლნ. კვ.მ და უზბეკეთი-99,4 მლნ.კვ.მ.

დიაგრამა N 2

| საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართობით საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე 1989 წლის ბოლოსთვის | | | |
|---|------------------------------------|--------------------------|--------|
| ქვეყნები | საქალაქო დასახლებებში და სოფლად | საქალაქო დასახლებებში | სოფლად |
| ესტონეთი | 21,5 | 19,7 | 26 |
| ლატვია | 19,6 | 17,6 | 24,5 |
| ლიტვა | 19,1 | 16,8 | 24 |
| საქართველო | 18,4 | 16,3 | 21,2 |
| უკრაინა | 17,6 | 16,3 | 20,4 |
| ბელორუსია | 17,5 | 15,1 | 22,1 |
| მოლდოვა | 17,5 | 14 | 20,7 |
| რუსეთი | 16,1 | 15,4 | 18 |
| სომხეთი | 14,6 | 13,5 | 16,9 |
| ყაზახეთი | 14 | 14,4 | 13,4 |
| ყირგიზეთი | 11,8 | 12 | 11,7 |
| უზბეკეთი | 11,8 | 12,1 | 11,6 |
| აზერბაიჯანი | 11,7 | 21,1 | 11,1 |
| თურქმენეთი | 10,8 | 11,2 | 10,4 |
| ტაჯიკეთი | 9,2 | 11,7 | 8 |

1990 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს ქალაქებში და საქალაქო დასახლებებში ოჯახებისა და მარტოხელების რიცხვი, რომლებიც საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ 129,000 შეადგენდა, რაც ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრები ოჯახებისა და მარტოხელების საერთო რაოდენობის 16,3 % იყო.

ესტონეთმა, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე წარმატებით გაიარა ეკონომიკური რესტრუქტურირება, თუმცა ამ პროცესებს არ ჩაუვლია უმტკივნეულოდ. 1991-1992 წლებში წარმოება 40%-ით შემცირდა და მკვეთრად მოიმატა უმუშევრობის დონემ, რომელიც 1993-1994 წლებში 5,3-დან 7,3%-ამდე გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ გატარებული რეფორმების შედეგად ესტონეთი

გლობალურ სავაჭროსისტემაში შეფერხებლად ინტეგრირდა და ვაჭრობაზე ორიენტირებული ეკონომიკა ჩამოყალიბდა.

საქართველო, გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე მძიმე კრიზისმა მოიცვა. 1980-იანი წლების ბოლოს მთლიან რეგიონებში ბუნებრივი კატასტროფების შედეგად უსახკალროდ 19,000 ოჯახი დარჩა. კონფლიქტების შედეგად ცხინვალიდან და სამაჩაბლოდან დევნიულებმბა დაახლოებით 247,000 ადამიანმა დაკარგა საცხოვრებელი. აგრეთვე 1991-1992 წლებში თბილისში სამოქალაქო ომის შედეგად ქალაქის ცენტრის დაზიანებამ ოჯახები დატოვა უსახკლაროდ. სახელმწიფოს დამატებით ვალდებულებად დააწვა კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში მონაწილე უბინაოდ დარჩენილი 8,000 ადამიანი. 2002 წელს დედაქალაქ მოაწყდა მიწისძვრით დაზარალებული 20,438 ადამიანი. შენობების 63 % დაზიანდა (13,099 სახლი), 10,6 % (2,319 საცხ. სახლი) კი სრულად ან ნაწილობრივ დაინგრა.

წლების განმავლობაში მთავრობამ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ვერ შეძლო, რადგან ქვეყანაში იყო მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა.

მიმოვიხილოთ საბჭოთა ეპოქის ცნობილი სტალინური პროექტი:

სტალინური ბინები

- აშენების პერიოდი: 1930-1955 წწ.
- სართულების რაოდენობა: 2 / 6 (გამონაკლისი 10 სართული)
- სამშენებლო მასალა: ძირითადად აგური
- ქერის სიმაღლე: 3,2-4,3 მ.
- ლიფტი: არა
- ფასადი: მდიდრული

XX საუკუნის 20-იანი წლებში საბჭოთა კავშირის ოფიციალური არქიტექტურული სტილი მინიმალურად კონსტრუქციული იყო, იგი ნელა და შეუფერხებლად გადაკეთდა პოსტ-კონსტრუქტივიზმად.

30-იანი წლებიდან სტალინური პროექტების გამოჩენამ, სრულიად გარდაქმნა ქალაქის იერსახე. ასე დამკვიდრდა არქიტექტურაში ახალი სტილი, რომელსაც «სტალინის იმპერია»-ს ეძახდნენ. ეს იყო საბჭოთა მონუმენტური კლასიციზმი, რომელსაც აქტიტექტორები საბჭოთა ხელოვნების დეკორად მოიხსენიებდნენ.

იმ პერიოდში დიდ ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ და საბინაო კრიზისმა წარმოქნა საჭიროება, მასიური საბინაო მშენებლობების დაწყებისა და ახალი ტერიტორიების ათვისების. ასევე დღის წესრიგში დადგა ძველი ქალაქების რეკონსტრუქციის საკითხიც.

პირველი სამი დიდი პროექტი, რომელიც უნდა განხორციელებულიყო სტალინური არქიტექტურით, იყო მოსკოვის რეკონსტრუქცია. უშუალოდ სტალინი მონაწილეობდა ყველა დიდი პროექტის დამტკიცებაში. იგი არასდროს არ ირჩევდა ერთ არქიტექტორს, ან ერთ სტილს, ის ქმნიდა არქიტექტურის სხვადასხვანაირ მეთოდთა ნაკრებს, რითაც მრავალფეროვანს ხდიდა მთლიანად პროექტს.

1930 წლიდან სტალინური პროექტები შენდებოდა არა მხოლოდ საცხოვრებელი მიზნით, არამედ ეს იყო ქვეყნის სიმდიერის გამოხატულება.

სტალინური სახლები - ღია ნარინჯისფერი აგურით ან მოწითალო მინერალებიანი პანელით შენდებოდა. გამოიყენებოდა მოპირკეთებული გრანიტის ნამსხვრევები. კორპუსებში იყო მაღალჭერიანი და კარგად დაგეგმარებული ბინები.

„სტალინკები“, ასე მოიხსენიებდნენ ამ სტილის ბინებს, შენდებოდა ქალაქის ცენტრალურ გამზირებსა და მაგისტრალურ ქუჩებზე, მოედნებსა და სანაპიროებზე. როგორც წესი, ისინი აგებული იყო ინდივიდუალური არქიტექტურული პროექტით და დღესაც ბევრი პოსტ-საბჭოური ქალაქის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს.

სხვადასხვადასხვა პერიოდში აშენებული „სტალინკები“ შესამჩნევად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. როგორც წესი 4-6 სართულიანი კორპუსების მშენებლობის დროს ძირითადად წითელ აგურს იყენებდნენ. სართულებს შორის

გადახურვები კეთდებოდა ხისგან, ოთახების ტიხარიც იყო ხის, გამოიყენებოდა პანელები და ბათქაშიც.

კედლის სისქე 60-70 სმ იყო, რაც ოთახებში სითბოს შენარჩუნებას უწყობდა. თავდაპირველად ნაგავსაყრელები ბინებში იყო დამონტაჟებული, დროთა განმავლობაში მათი გაუქმება და გარეთ გადმოტანა მოხდა. „სტალინკების“ პროექტებში მეტწილად სამი, ოთხი და ხუთ ოთახიანი ბინები ჭარბობდა. ერთოთახიანი ბინები, რომლის ფართი 32 კვ.მ -დან იწყებოდა, ნაკლებად შეგხვდებოდათ. ერთოთახიანი ბინები სადარბაზოს შესასვლელთან იყო დაპროექტებული და მათი ფანჯრები უკანა ეზოში გადიოდა. კვადრატულობა კი ბინების მიხედვით ასე ნაწილდებოდა:

- 1-ოთახიანი — 32—50 მ²
- 2-ოთახიანი — 44—70 მ²
- 3-ოთახიანი — 57—95 მ²
- 4-ოთახიანი — 80—160 მ²
- 5-ოთახიანი — 140-210 მ²

ყველაზე ნათელი და დიდი სამ, ოთხ და ხუთოთახიანი ბინები იყო. ამ ბინების ხედი გადიოდა ცენტრალურ ქუჩაზე /გამზირზე, რათა მაღალი ჩინის მქონე პირებს შეძლებოდათ თავისუფლად ეცქირათ მთავარი პროსპექტისთვის სახლიდან გასუვლელად, სადაც ტარდებოდა სხვადასხვა სახის დემონსტრაციები.

სტალინური პროექტის ბინებს აძლევდნენ საბჭოთა ელიტის წარმომადგენლებს: პარტიული და საბჭოთა მუშაკებს, აკადემიკოსებს, მაღალჩინოსან სამხედრო პირებს, მწერლებს, მსახიობებს.

ომის შემდგომ პერიოდში, როცა მასიურად დაიწყო „სტალინკების“ მშენებლობა ამ რიგს შეუერთდნენ უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლები, მეცნიერები, ექიმები. იმ ხანად, სტალინურ სახლებში ცხოვრება ითვლებოდა პრივილეგიურულად და პრესტიჟულად.

სტალინკების უპირატესობად ითვლებოდა მაღალი ჭერი მაქსიმუმ 4,3 მ, ფართო რაფები, ნათელი და იზოლირებული ოთახები, დიდი ჰოლი, ერთ კორპუსში განლაგებული ბინების მცირე რაოდენობა. ზოგიერთ სადარბაზოში ერთ სართულზე გვხვდება მხოლოდ ერთი ბინა.

დღეს „სტალინკების“ მთავარი ნაკლი უკვე სიძველეა, თუმცა ამ სახლებმა შინარჩუნეს თავისი „ღირსება“ - რაც ხარისხთან ერთად, არქიტექტურის ნატიფ ნიმუშს წარმოადგენს.

საქართველოშიც, როგორც დანარჩენი პოსტ საბჭოურ სივრცის ქვეყნებში სტალინური პროექტი ძირითადად სხვებისგან მისი სიმდიდრით გამოირჩეოდა, რაც მარტივად ამოსაცნობი იყო ნებისმიერი ადამიანისთვის. მისი სადარბაზოები სივრცითი და მოპირკეთებულია, მარმარილოთი ან სხვა მდიდრული ბუნებრივი ქვებით. ისინი ძირითადად დაბალ სართულიანია. შენობათა უმრავლესობა, სველი ბათქაშის მდიდრული ზედაპირითა და მარტივი აგურის წყობით არის ნაგები. სტალინური პროექტების საცხოვრებელი სახლების უმრავლესობა წარმოდგენილია თბილისში ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე.

„სტალინკების“ ბინები დღესაც არკარგავენაქტუალობას, სტალინური არქიტექტურა ითვლება საბჭოთა არქიტექტურის დიდ მიღწევად, ეს სტილი ექსტრავაგანტულ თანამედროვე მიმართულებად აღიარეს ჯერ კიდევ 1950 წელს, თუმცა აზრებისა და შეხედულებების გაყოფა საზოგადოებაში ხდება სტალინის პერიოდის შეფასების მიხედვით.

„სტალინკები“ ხაზს უსვამდნენ კლასების ფენებად დაყოფას, შესაბამისი საცხოვრებელი ფართის განაწილების მიზნით, რაც ეწინააღმდეგებოდა იმ პერიოდის

საბჭოურ მენტალობას. 1951 წელს პროფესიულ სამშენებლო კონფერენციაზე ღიად გამოცხადდა სტალინის პროექტების ფინანსურად წამგებიანობა და გადაწყდა ქარხნული წესით დამზადებული დიდი ზომის ბეტონის ფილებით კორპუსების აშენება. დაიგეგმა ახალი ქარხნების აშენება, მშენებლობის პროცესის დაჩქარებისა და გაიაფების მიზნით. ასე გაჩნდა უკვე კარგად ნაცნობი „ხრუმჩოვკების“ პროექტების სერია.



დასკვნა

განვლილი სამი ათწლეული საქართველოში გამოწვევებისა და რეფორმების ხანად ითვლება. ზოგიერთ სექტორში საქართველომ დაუჯერებელ წარმატებას მიაღწია და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში რეფორმების ლიდერადაც მოიაზრება. მათ შორის საცხოვრისის სექტორშიც, თუმცა ეს სფერო დღესაც განიცდის კრიზისს და ითხოვს სახელმწიფოს მხრიდან სისტემური რეფორმების აუცილებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახური <http://www.geostat.ge/>
ეროვნული ბანკის სააგენტო <https://www.nbg.gov.ge/>
ელექტრონული ვებ გვერდი <https://www2.colliers.com/>
2. თ.შენგელია (2010) საერთაშორისო ბიზნესის საინვესტიციო გარემო საქართველოში. კრებული: ინოვაციები ბიზნესში
3. გრეჰემი ე. (1999) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ვაჭრობა “ ეკონომიკური რეფორმები დღეს”
4. Bouwinvest უძრავი ქონების საინვესტიციო მენეჯმენტი B.V.
5. Savage M., Warde A. 1993. Urban Sociology, Capitalism and Modernity. London: Macmilan, 221 p.

<https://www.globalpropertyguide.com/Europe/square-meter-prices>

Real estate prices as financial soundness indicators <https://www.imf.org/external/pubs/ft/reif/2005/eng/ch1.pdf>

6. საბინაო პოლიტიკა საქართველოში, ავტორები ლ. ასაბაშვილი; ნ.ზაზანაშვილი, გ.ნიკოლაიშვილი, 2019 წ

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში სავაჭრო ბაზარი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ ფონზე, საინტერესოა უძრავი ქონების ბაზარი, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში ერთ-ერთი წამყვანი დარგის სტატუსს ინარჩუნებს.

ქვეყნის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესწავლა მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა ამ ბაზრის სუბიექტების წარმატებული ფუნქციონირებისთვის. განსაკუთრებით, იმ არასტაბილურ გარემოში, რომელიც დღეს ქვეყანაშია, აუცილებელია, ზუსტად ვიცოდეთ უძრავი ქონების ბაზრის განვითარების პერსპექტივები და მიმართულებები.

სტატიაში გაანალიზებული და განხილულია უძრავი ქონების ახალი და მეორადი ბაზრის პლატფორმა, პოსტსაბჭოური საბინაო სისტემა, მისი თავისებურებები და გავლენა საქართველოს საბინაო სისტემის ჩამოყალიბებაში.

დღეს უძრავი ქონების ბაზარი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში. იგი პირდაპირ კავშირშია ნებისმიერი საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან და, ასევე, სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ხალხის ინტერესებთანაც.

SUMMARY

THE SOVIET HOUSING SYSTEM AND ITS IMPACT ON GEORGIA

Naira Galakhvaridze - Professor
Sofia Goletiani - Doctoral Student
Georgian Technical University

The process of formulating market economy makes great impact on the country's economics. In this case, real estate, one of the most leading field in the recent years, is considered as attractive market.

Development and establishment of country's residential real estate market is essential and crucial part for successful functioning of this market and for people involved. Especially, unstable environment in which country is nowadays it is essential to know exactly what perspectives do the real estate market have.

The article analysis and discusses primary and secondary real estate market platforms and features. The post-Soviet housing system, its features and impact on the formation of the Georgian housing system.

Currently, real estate market has a special place in the social and economic relations. It is not only directly connected to every enterprises' business process but to people employed in various fields as well.

Real estate market's infrastructure is developing very fast on the global level however the development process is not consistent like the market itself.

„ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის ხელმძღვანელობა მიიწვიეს ერის სულიერი მამის დაბადების დღეზე მშობლიურ სოფელ ყვარელში

ილია ჭავჭავაძე, მუდამ თანამედროვე, თანამდევნი სული
„მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა“

ნუ დარჩება მარადიულ კითხვად ილიას
ტკივილიანი შეძახილი:
„მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?“

მე-19 საუკუნის მთელი 50 წლის განმავლობაში ილია ჭავჭავაძემ თავისი დაუშრეტელი ენერგიით შეაჩერა დაღმასვლა ქართველი ერისა, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სამეფოს გაუქმებით რომ დაიწყო და ქართული სახელმწიფოებრიობის აღსასრულით რომ დაამთავრა. ბუნებრივია, რომ ქართველი ერის მოწინავე წარმომადგენლები ვერ შეურიგდებოდნენ არსებულ მდგომარეობას და მას მოჰყვა რამოდენიმე სახალხო აჯანყება და შემდეგ 1832 წლის შეთქმულება, რომელთა მარცხმა გარკვეული პერიოდის მანძილზე უიმედო განწყობილება დაამკვიდრა ქართველ ხალხში.

სწორედ ამ დიდი სულიერი გაჭირვების ჟამს მოავლინა ისტორიამ საქართველოს, ქართველი ხალხის მხსნელად ილია ჭავჭავაძე. ის უსახელმწიფო, უხელმძღვანელო ქვეყანაში ქართული, ეროვნული საქმეებისთვის თავგამოდებული, მზრუნველი ხდება და შეუმუსრავი ენერგიით იბრძვის ყველა ფრონტზე აღადგინოს ის, რაც საქართველომ გიორგიევსკის ტრაქტატის უგულველბეყოფით დაკარგა. იგი ერის მამად იქცევა, ხოლო მოხვევის სიტყვები მისი „მგზავრის წერილებიდან“ ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდუნისო“, ქართველი ერის უმთავრეს სახელმწიფო პროგრამად აქცია. თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ, როგორი გზა გაიარა ქართველმა ხალხმა თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში. დიდი ილია ამის შესახებ ამბობდა - ქართველობისათვის 2 გზა იყო, ან ქრისტიანობა ან ვაჟკაცური სიკვდილი. იმავე ქრისტიანობისათვის ან ქართველობა, ან ხმლის პირზე გულის შეთლა.

ნამდვილი ქართველისათვის ეს წესი დღესაც წესად რჩება. მაგრამ დღეს ის ხმალი აღარ გასჭრის. „ჩვენ მამა-პაპათაგან სამი ღვთაებრივი საუნჯე დავგრჩა „მამული, ენა, სარწმუნოება“. თუ იმათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით?“

დიდი ილიას ამ ნათქვამში საქართველოს ხსნის გზა დაუსახა მან ქართველობას, ამის გამო საკუთარ თავზე მთელი ყველა დარტყმა რაც კი მოწინააღმდეგეებმა თავს დაატყვეს, იგი ხომ ამისთვის იყო გაჩენილი, რომ პირველი ტყვისათვის მიეშვირა მკერდი, გაჩენილი იყო იმისთვის, რომ ერთი ნაბიჯითაც უკან არ დაეხია, რადგან დათმობაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. დათმობა ხომ საქართველოს დალუპვას ნიშნავდა. ავი თქვა კიდევ: „თუ წუთი-სოფელს ერთის ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე ისე გაქთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.

ამ ერის დიდი წინამძღოლის იუბილეს აღნიშნავს დღეს სრულიად საქართველო, რომელსაც ქართველმა ხალხმა წინასწარმეტყველ ილიას ხსენების დღეს მის სიცოცხლეშივე რომ უწოდა.

ყოველ ილიაობას საგურამოში, სრულიად საქართველოს დიდი წარმომადგენლობა იყრიდა თავს და ეს დღე ქართველი ხალხის ჭეშმარიტ ეროვნულ დღესასწაულად

იქცეოდა ხოლმე.

ამ ილიაობათა შესახებ საინტერესო მოგონებები არსებობს, ამჯერად გამოვყოფდი ქართველი კლასიკოსი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის მოგონებას:

„ქართველო, ხელი ხმაღს იკარ

დღე გათენდა დიდებისა,

თოფ-იარაღი აისხი

დრო მოდის გამარჯვებისა.”

წინ ილია გამოგვეგება, გარს შემოვებვიეთ და სიმღერა დავასრულეთ. ილიას გაოცებული შევცქეროდი, მეგონა ახოვანი ჩოხოსანი, ან ქულაჯოსანი იქნებოდა, ნამდვილად კი ჩვენს წინაშე შუა ტანის, 57 წლის კაცი იდგა-სრული, პირსავსე, ჭადარა შერეული. ილია ილიმოდა, გვეალერსებოდა. ვინაობას გვეკითხებოდა, მერე წინგავვიძღვა და ხალხით სავსე ეზოში შეგვიყვანა. ჩვენი გამოკითხვა დიდხანს გაგრძელდა და რიგი ჩემზე მოვიდა. ამ სკოლაში ბორჩალოელი ჩემს მეტი ჯერ არავინ ყოფილა. ესილიას გაუკვირდა და გაცხარდა. მასწავლებელმა მეგრელიშვილმა შემარცხვინა, ილიას ჩემი ნაკლი ჩასჩურჩულა.

-აბა ბარათაშვილის ლექსი წამიკითხე, -მითხრა ილიამ. მეტი გზა არ იყო. წინდაწინვე გავწითლდი და დავიწყე:

„მირბის არაგვი არაგვინაი,

თან მოსძახიან მთანი ტყიანი-”

მახვილი ნამდვილი რუსული წესით ვიხმარე. ილიამ გაიცინა, არც სხვები ჩამორჩნენ, მე მეწყინა და მაშინვე გავჩუმდი.

ილიამ თავზე ხელი გადამისვა და დამაწყნარა. ვიღაცამ უთხრა ჩემზე, ჯერ ქართული გამოთქმა არ ეხერხება, სამაგიეროდ მწერლობას ისე ბეჯითად სწავლობს და ისე წერს თხზულებას, რომ მწერალი უნდა გამოვიდესო. მართლა? აბა შენ იცი, - მითხრა ილიამ, ვინძლო არ შეგვარცხვინო. იმ ვიღაცას ენამ უყვილა, თორემ მაშინ მწერლობა აზრადაც არ გამივლია.

ილიას დღეობაზე პირველად დავინახე პეტრე უშიკაშვილი, ნიკო ხაზანიშვილი, გიგა ყიფშიძე, დავით მიქელაძე. და-ძმა უორდროპი, არტურ ლაისტი, გრიგოლ აბრამიძე, კიტა აბაშიძე, ვალერიან გუნია, რაფიელ ერისთავი, გრიგოლ ვოლსკი, ზდანოვიჩი, ნატო გაბუნია და ბევრი სხვა მოღვაწე და მწერალი. მე ჩემი თავი ოლიმპზე მეგონა.

თამადად კოლა ერისთავია, სვამს და სხვებასაც ასმევს, თან ენამჭევრობს, დროგამოშვებით ილიას ლექსებს ამბობს და სხვებსაც ათქმევინებს. ილიას მეუღლის, ოლღას სადღეგრძელოს რომ გამოაცხადებდა უეჭველად განდევილის ნაწყვეტსაც იტყოდა ხოლმე.

ილია მასპინძლობს სუფრას, ხშირად ჩაჰყვება, ყველას დახედავს, ულხენს და თვითონაც ილხენს. განთქმული მომღერალი ყარალაშვილი თარს უკრავს და მღერის. ჩვენმა გუნდმა უამრავი სიმღერა იცოდა: „გუმინ შვიდი გურჯანელი“, „გაფრინდი შავო მერცხალო“, „მურმანო“, თამარის დროშა გაშალეს“, წაიყვანეს თამარ ქალი, „აღდექ გმირთა გმირო“, ჩუხჩუხით ჩამორბოდა. მრავალნაირი მრავალჟამიერი და სხვა. ილიას გაგიჟებით უყვარდა: ბერიკაცი ვარ ნუ მომკლავ“. ილიაობა ეროვნული დღე იყო და ამოდენა ხალხი ამიტომ იყრიდა თავს.

წიწამურის ტრაგედია მოუშალა ქართველ ხალხს, ეს ეროვნული დღესასწაული.

მხოლოდ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კახეთის განყოფილება აგრძელებს ამ შესანიშნავ ტრადიციას და 1911 წელს 20 ივლის აღნიშნავს „ილიაობას”.

ამ ილიაობის შესახებ, რომელზედაც მოწვეული იყო აკაკი წერეთელი, საინტერესო მოგონება შემოგვინახა წერა-კითხვის საზოგადოების ხელმძღვანელმა ვანო პაატაშვილმა.

საპატიო სტუმარს კახეთის ინტელიგენციამ საგანგებო შეხვედრა მოუწყო. აკაკის ილიას მშობლიური ყვარეის და მისი კარმიდამოს ნახვა მოუწადინებია. ვანო პაატაშვილი იგონებს: „დილა ადრიან აკაკის ეტლი დაიდრა მცირე ამალით გასაცილებლად. მამნიშვილის ბინაზე კარგმა ხალხმა მოიყარა თავი, აკაკი გამოემშვიდობა, სათითაოდ ყველას ჩამოართვა ხელი და მადლიერება გადაუხადა ისეთი იშვიათი მასპინძლობისთვის, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდა მის გულში. თან გაყვნენ აგრეთვე დრამატურგი შალვა დადიანი და ელენე ანდრონიკაშვილი. ყვარელიც ემზადებოდა მგოსნის დასახვედრად. ძვირფასი სტუმარი მიიღო ადგილობრივმა მემამულემ, ილიას ნათესავმა იური ჭავჭავაძემ.

იმ დროს კახეთში ნამეტნავად გაღმა მხარეს ყაჩაღობა იყო გავრცელებული. დღისით ცხადლივ უხვდებოდნენ მგზავრებს გასამარცხავად. ყვარლის მახლობლად შორს გამოჩნდა ცხენოსანთა ჯგუფი, აკაკიმ არაფერი იცოდა, ბევრს კი ყაჩაღები ეგონა და სული კბილით თვალს ადევნებდა მათ მოახლოებას. მაგრამ ეს პატარა ჯგუფი თანდათან გაიზარდა და ბოლოს ის ცხენოსან რაზმად გადაიქცა. მაშინ კი ყველა მიხვდა, რომ სტუმრის შესახვედრად მოვიდნენ. მალე შემოერთყნენ აკაკის ეტლს და ცხენიდან დაქვეითდნენ. ერთმა მათგანმა სალამი მიუძღვნა და კეთილი მობრძანება უსურვა. ყველანი ეტლიდან გადმოვიდნენ, აკაკი ფეხზე ადგა და მადლობა გადაუხადა. ასეთი ამბით და ზეიმით მიიღეს ყვარელებმა ძვირფასი სტუმარი, რომლის შესახვედრად დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. ყვარელიც შესაფერისად გაუმასპინძლდა. გაიმართა წარმოდგენა, დადგეს შალვა დადიანის ხელმძღვანელობით ილიას „დედა და შვილი“.

წარმოდგენის დროს წვიმა წამოვიდა, ხალხი მაინც არ დაიშალა. აკაკის კი ქოლგა დააფარეს და ასე უსმენდა ყვარლის საზოგადოებამ ვახშმადაც მოიწვია აკაკი, რომელმაც ძალიან მხიარულად ჩაიარა, უმრავლესობა გლეხოვა დაესწრო და ეს უფრო მოსწონდა და ყველას ესაუბრებოდა.

ლიანა ავაზაშვილი

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია-ყვარელში

ბოლო ათწლეულები არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა-საერო-სასულიერო, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, ღირსეულ პიროვნებათა საიუბილეო თარიღები, საქალაქო დღესასწაულები, სამეცნიერო კონფერენციები, სადაც არ მიეწვიათ და მონაწილეობა არ მიეღოთ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტს. აღსანიშნავია, რომ ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი გახლავთ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე აღმაშენებელი. რაც უდიდესი სტიმულია აკადემიის საქმიანობაში, ეროვნული და სამეცნიერო კვლევითი მოღვაწეობის თვალსაზრისით. საქვეყნოდ არის ცნობილი „ფაზისის“ აკადემიის მიერ (პრეზიდენტი ნუგზარ ნადარაია) გაწეული საქმიანობა საქართველოს ერთიანობის, ქრისტიანული რწმენის, სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, საქართველოს გმირული ისტორიისა და თანამედროვეობის, ეროვნული სულისკვეთების წარმოჩენისა და გაღვივებისათვის. რაც არის წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთიანობის გარანტი.

ფაზისის აკადემიის ყოველწლიურ ჟურნალ „ცოტნიედელის“ ყველა ნომერში ვრცლად არის გაშუქებული დიდი ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, მისი უდიდესი ღვაწლი ეროვნულ მოძრაობის გამოღვივების, ქვეყნის გამთლიანების, პროგრესული იდეალების, თავისუფლების, დამოუკიდებლობის, სოციალური თანასწორობისთვის ბრძოლის საქმეში მისეული ხედვის თვალსაზრისით, რაც განსაზღვრავს თანამედროვე ცხოვრების მიმართულებებს და როგორც დიდი წინასწარმეტყველი - ჩაუქრობელი

ლამპარი მიგვიძღვის ღვთიურ გზაზე.

21-ე საუკუნეში უფრო მნიშვნელოვანი გახდა ერთიანი ნიადაგის თეორია და „ერთიანი კავკასიური სახლის იდეა“, როგორც კაცობრიობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური მოწყობის, ერების დამოუკიდებლობის, იმპერიების, რღვევის გარდაუვალობის, ხალხებს შორის ძმობის, მეგობრობისა და თანასწორობის თაობაზე. ასე, რომ, არათუ ჩვენმა პატარა ქვეყანამ, დიდმა მსოფლიომაც უნდა იაროს ილიას გზით, რომელიც კარგად ხედავდა ერისა და საკაცობრიო იდეალების თანხვედრას, რომ კაცობრიობას ერები ქმნიან, და იგი ეროვნული თვითმყობადობის ინდივიდუალიზმის გარეშე უსახური და ამორფულია.

როგორ აკლია დღეს ილიასეული ხედვა, ილიას საქმეები, ილიას გული და სიტყვა.

ყვარელი, ილიას სახლ-მუზეუმი სტუმრებს ვერ იტევს, ვაზი, ღვინო, ლოცვა და სადღეგრძელო ღვთიური სიმბოლოებია საქართველოსი. დიდი მასპინძელი თითქოს ჩვენს გვერდითაა და ჩვენც ყურში ჩაგვესმის „მარად და ყველგან, საქართველოვ მე ვარ შენთანა“.

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის მიერ ყვარელში, ილიაობის დღესასწაულზე, ილიას სახელმწიფო ეროვნული მუზეუმისთვის საჩუქრად გადაცემული ხატის - „ქებაი და დიდებაი ღვთისმშობელ მარიამისა“ (დედანი დაბრძანებულია ფოთის საკათედრო ტაძრის საკურთხეველში. სამწუხაროდ, დღეს ფოთში მომლოცველებისთვის შეუძლებელია ხატის წინაშე ლოცვების აღავლენა, რატომ, როდემდე?!).

ხატის აღწერილობა: ცენტრში ბიჭვინთის ღვთისმშობელი ყრმა იესოთი, ზემოთ მფარველი ანგელოზები - მიქაელი და გაბრიელი, ქვემოთ მარცხნივ წმიდა ცოტნე აღმსარებლის (ცოტნე დადიანი), ქვემოთ მარჯვნივ წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის (ექვთიმე თაყაიშვილი) სახება.

კანონიკური ხატი აკურთხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II აღმაშენებელმა.

ხატის ავტორია არქიმანდრიტი მამა ისააკი (ღადუა), სამების საპატრიარქო ტაძრის სამონასტრო ლავრის წინამძღვარი.

აკადემიის დელეგაცია: რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი, მწერალთა კავშირის თავმჯდომე რეზო მიშველაძე (თავმჯდომარე), აკადემიკოსი ნუგზარ ნადარაია და მწერალთა კავშირის წევრი, აკადემიკოსი ელგუჯა მგელაძე.

სტუმრებს მასპინძლებმა ილიას დაწურული ღვინო მისხალ მისხალ

გაუნაწილეს და შეისვა სადღეგრძელო ღვთით მოვლენილის უკვდავსაყოფად. „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები“. ილიას ხსოვნას სიკვდილი არ უწერია და საქართველოც გაბრწყინდება.





საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ეკონომიკურ-მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის – **რომან კუჭუხიძის** გარდაცვალებას.

რომან კუჭუხიძე დაიბადა 1946 წელს ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაება საზოგადოებრივ და სამეცნიერო მუშაობაში. მან დაიცვა 1978 წელს საკანდიდატო, ხოლო 1989 წელს სადოქტორო დისერტაციები და გახდა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. რომან კუჭუხიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სტატისტიკის სამმართველოს უფროსად და კოლეგიის წევრად. თბილისის კომპარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად. თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსად. გორის ეკონომიკური ინსტიტუტის პრორექტორად სასწავლო-სამეცნიერო დარგში და კათედრის გამგედ. საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის პრორექტორად და კათედრის გამგედ.

რომან კუჭუხიძეს აღზრდილი ჰყავს ეკონომისტთა არაერთი თაობა. იგი 80-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მ.შ. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების. მისი შრომითი საქმიანობა ღირსეულად დააფასა ხელისუფლებამ. იგი დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენებით.

წავიდა ჩვენგან ჯერ კიდევ ბევრი განუხორციელებელი ჩანაფიქრის მქონე პიროვნება, რომელიც თავისი მოკრძალებული ცხოვრების წესით დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. მის აუხდენელ ოცნებად დარჩა მისი ერთადერთი წარმატებული ქალიშვილის ხვალისდელი დღის ბედნიერება და ლამაზი მომავალი. მან დატოვა ბრწყინვალე მეუღლე, რომელმაც მასთან ერთად განვლო მრავალი ათეული წელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს აკადემიკოს რომან კუჭუხიძის სული და უცოცხლოს და უხაროს თავისი ოჯახი, მეგობრები და ახლობლები.

დიდი გულისტკივილით,
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია.

პრუდიკული პიროვნების ხსოვნას



საქართველოს საზოგადოებამ, სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროს და ვეტერანთა მოძრაობის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ბიორბი ხაზარაძე.

წლების განმავლობაში იმყოფებოდა რა პარტიული, სახელმწიფო და ძალოვანი სტრუქტურების მაღალ თანამდებობებზე, გიორგი ხაზარაძემ გამოავლინა დიდი ორგანიზატორული ნიჭი, უდიდესი პასუხისმგებლობა და ახალგაზრდა, პროფესიული კადრების აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში დაუშრეტელი ენერჯია. სამაგალითოდ მართო ის კმარა რომ მან მოსკოვის საერთაშორისო დიპლომატიური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის განკუთვნილი პროგრამისა და ქართული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული, კულტურული, ესთეტიკური აღზრდის მეთოდების მიხედვით შეადგენა ნაშრომი „ქცევის ეტიკეტი ყველასათვის“, რომელშიც ის ოცნებობდა რომ ყოველი ქართველი ბავშვი უნდა აღიზარდოს გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომითი, ფიზიკური და ეროვნული პათოსით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში დამკვიდრებული ქცევის წესების გათვითცნობიერებისთვის.

ბული ქცევის წესების გათვითცნობიერებისთვის.

გიორგი ხაზარაძე თავის საქმიანობაში უდიდეს ყურადღებას უთმობდა აღმშენებლობით და საქველმოქმედო საქმიანობას.

მის მშობლიურ სამტრედიის რაიონში, განსაკუთრებით ცნობილ სოფელ ბაშში არ ყოფილა არც ერთი პატარა თუ დიდი საქმე, რომელშიც მას თავისი პირადი და გამორჩეული წვლილი არ შეეტანა.

მრავალწლიანი ნაყოფიერი საქმიანობისთვის მას მინიჭებული ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკის და დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდებები, დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით, ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენებით.

გიორგი ხაზარაძე გამოირჩეოდა როგორც ნამდვილი ქართული ოჯახის შემქმნელი რაინდი, ღირსეული შვილების აღმზრდელი და მოსიყვარულე ბაბუა.

უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს მისი სული.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს ბიზნესის
მეცნიერებათა აკადემიის
გაერთიანებული
2020 წელს

